# ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№045 (12724) 25 თებერვალი ოთხშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი


**ძალიან მნიშვნელოვანი**

დღეს ეროვნულზე

» 2-3




**დინამო VS ზესტაფონი**

# სამი მშვიდობით, ერთიც პენალტით

UEFA CHAMPIONS LEAGUE

» 5

ტექნიკური შედეგები



ინტერი-მანჩესტერი 0:0.
ფერდინანდი ადრიანოს წინააღმდეგ

**დღეს**

- ჩელსი VS იუვენტუსი
- რეალი VS ლივერპული
- სპორტინგი VS ბაიერნი
- ვილიარეალი VS პანათინაიკოსი

წინათქმა » 6



## ვიალი: იტალია და ინგლისი? 2:1

ინტერვიუ ჯანლუკა ვიალისთან » 10



## პოდიუმს კორტი მირჩევნია

ინტერვიუ ანა ივანოვიჩთან » 16



**არც ტაქტიკა, არც სისწრაფე, ერთსულოვნებამ გაგვიყვანა!**

» 4 ქართული ფეხბურთი ელიტრაუნდში



**მაია ჩიბურდანიძე გრანპრისთვის იბრძოლებს**

» 11 საჭადრაკო ამბები



**იუტას ხმალი, ატლანტას კისერი**

» 12 ლეგიონი

# საქართველოს XX ჩემპიონატი
## უმაღლესი ლიგა
## გამოტოვებული მატჩები

**25.02. თბილისი. ეროვნული. 14:00**

**დინამო – ზესტაფონი**

არბიტრი: მ. ურუშაძე;
ასისტენტები: მ. ელიკაშვილი, გ. ჩიგოგიძე;
მეოთხე მსაჯი: გ.ვადაჭკორია

**25.02. ბორჯომი. ჯ. ზეინკლიშვილი. 14:00**

**ბორჯომი – სპარტაკი**

არბიტრი: ლ. სილაგავა;
ასისტენტები: დ. კვეტენაძე, ა. გუნთაძე;
მეოთხე მსაჯი: ვ. გუმბერიძე

| | სულ | | | | | | შინ | | | | | სტუმრად | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
| 1. ვიტ ჯორჯია | 18 | 12 | 5 | 1 | 31-11 | 41 | 6 | 2 | 1 | 17-6 | 20 | 6 | 3 | 0 | 14-5 | 21 |
| 2. დინამო | 17 | 11 | 2 | 4 | 37-14 | 35 | 7 | 1 | 0 | 26-6 | 22 | 4 | 1 | 4 | 11-8 | 13 |
| 3. ზესტაფონი | 17 | 10 | 3 | 4 | 20-10 | 33 | 6 | 0 | 3 | 11-5 | 18 | 4 | 3 | 1 | 9-5 | 15 |
| 4. ოლიმპი | 18 | 8 | 8 | 2 | 22-11 | 32 | 5 | 4 | 0 | 12-2 | 19 | 3 | 4 | 2 | 10-9 | 13 |
| 5. სიონი | 18 | 7 | 7 | 4 | 21-15 | 28 | 3 | 4 | 2 | 12-9 | 13 | 4 | 3 | 2 | 9-6 | 15 |
| 6. ლოკომოტივი | 18 | 8 | 2 | 8 | 23-19 | 26 | 5 | 0 | 4 | 11-6 | 15 | 3 | 2 | 4 | 12-13 | 11 |
| 7. მგლები | 18 | 5 | 4 | 9 | 16-23 | 19 | 4 | 1 | 4 | 10-7 | 13 | 1 | 3 | 5 | 6-16 | 6 |
| 8. მესხეთი | 18 | 4 | 6 | 8 | 12-24 | 18 | 2 | 4 | 3 | 8-10 | 10 | 2 | 2 | 5 | 4-14 | 8 |
| 9. გაგრა | 19 | 4 | 4 | 11 | 14-32 | 16 | 4 | 3 | 3 | 11-12 | 15 | 0 | 1 | 8 | 3-20 | 1 |
| 10. ბორჯომი | 18 | 2 | 6 | 10 | 15-36 | 12 | 1 | 4 | 3 | 7-10 | 7 | 1 | 2 | 7 | 8-26 | 5 |
| 11. სპარტაკი | 17 | 2 | 3 | 12 | 13-29 | 9 | 1 | 2 | 6 | 8-16 | 5 | 1 | 1 | 6 | 4-12 | 4 |

## ეროვნული ბომბარდირები

| | |
|---|---|
| მერებაშვილი (დინამო) | 10 |
| გელაშვილი (ზესტაფონი) | 9 |
| ვაწაძე (დინამო) | 8 |
| კვარაცხელია (ვიტ ჯორჯია) | 8 |
| კიკნაძე (ბორჯომი) | 7 |
| სპასოევიჩი (დინამო) | 7 |

# ამბიციას და პრინციპის...



2008 წლის 3 დეკემბერი. საქართველოს სუპერთასი. დინამო-ზესტაფონი 1:0

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

„ჩვენს ყველაზე ტიტულოვან გუნდს თბილისის „დინამოს" ბოლო წლებში ორი პრინციპული მეტოქე ჰყავს: „ვიტ ჯორჯია" და „ზესტაფონი". ორივე ამ მონინაალმდეგესთან დინამოელთა დაპირისპირებას ყოველთვის თავისებური ინტრიგა ახლავს. ამასთან, არასდროს აქვს მნიშვნელობა იმ ფაქტსაც, თუ რომელ ადგილებზე არიან მეტოქეები კონკრეტულ მომენტში. ჰო, „ვიტ ჯორჯია" უკვე „მოშორებულია"; უფრო ზუსტად, სეზონის ბოლომდე „დინამო" კიდევ ერთხელ უნდა შეხვდეს დღესდღეობით ცხრილის ერთპიროვნულ ლიდერს; აი, მეორე და არანაკლებ პრინციპულ მეტოქესთან კი „დინამოს" კიდევ ორი დაპირისპირება ელოდება: დღეს და ათ აპრილს ზესტაფონში. ბარემ, აქვე იმასაც შეგახსენებთ, რომ დღევანდელი შეხვედრა მეთექვსმეტე ტურიდან არის გადმოტანილი; გეხსომებათ, ალბათ, რომ 2008 წლის 20 დეკემბერს ეროვნული სტადიონის მოედნის საფარი თოვლით იყო დაფარული და მატჩიც გადაიდო. აღარ გვინდა დეტალებში ჩავეძიოთ (მაშინაც, ბევრი ითქვა თუ დაიწერა); უბრალოდ, მხოლოდ ერთ ვერსიას გავიხსენებთ: „დინამო"-„ზესტაფონის" ის მატჩი ორივე კლუბის ხელმძღვანელთა საერთო შეთანხმებით გადაიდო; ანუ, ორივე გუნდისთვის იმ მომენტში მატჩის გადადება ბევრად სასიკეთო იყო: „დინამოს" წამყვანი ფეხბურთელები ტრავმირებული ჰყავდა, „ზესტაფონში" კი ახალი მთავარი მწვრთნელი სამი კვირის დანიშნული იყო და მანამდე თამაში არ ჰქონდა მოგებული. მოკლედ, დიდთოვლობამ როგორც იტყვიან, სულზე მიუსწრო პრინციპულ მეტოქეებს...

ახლა კი დღევანდელი მეტოქეების ურთიერთდაპირისპირებათა ისტორიაზეც ვთქვათ. მოგეხსენებათ, თბილისის „დინამო" ერთადერთი გუნდია, ოცივე ჩემპიონატში რომ მონაწილეობს. ზესტაფონის გუნდებს კი, სახელიც ხშირად ეცვლებოდათ და შედეგიც ასევე სხვადასხვა ჰქონდათ. თუმცა „დინამოს", იმავე „მარგვეთთან" თუ „მეტალურგთან" თითქმის ყოველთვის დადებითი ბალანსი ჰქონდა. რაც შეეხება საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონს", იურიდიულად 2004 წელს დაარსდა. უფრო კონკრეტულად კი ასეთი ისტორია იყო: ზესტაფონის „მეტალურგი" წყალტუბოს „სამგურალთან" გაერთიანდა და უმაღლეს ლიგაში ამ უკანასკნელის ადგილიც დაიკავა. გუნდის მთავარ მწვრთნელად უკრაინელი სპეციალისტი, **ვლადიმერ ზემლიანოი** დაინიშნა, რომელმაც საქართველოში ორი ლეგიონერი ჩამოიყვანა: თანამემამულე **ოლეგ ბეჟენარი** და მოლდოველი **სერგეი ნუდნი**. ზემლიანოის, მართლაც, საშინელი დებიუტი ჰქონდა: „ზესტაფონმა" პირველ შვიდ შეხვედრაში ექვსი წააგო და მხოლოდ ერთი მოიგო. რა გასაკვირი იქნებოდა, რომ კლუბის პრეზიდენტს **ილია კოკაიას**, ვისაც ამბიციური კლუბის ჩამოყალიბება ჰქონდა განზრახული, ასეთი სტარტი არ დააკმაყოფილებდა. მოკლედ, ზემლიანოი მალევე გაათავისუფლეს, თუმცა მანამდე მოხდა „დინამოსა" და „ზესტაფონის" პირველი დაპირისპირება. ის შეხვედრა 2004 წლის 30 აგვისტოს ჩატარდა და მასპინძელთა, დინამოელთა გამარჯვებით (2:0) დასრულდა. ამ შეხვედრას შემთხვევით არ ვიხსენებთ: „დინამოს" იმდროინდელი მთავარი მწვრთნელი **გია გეგუჩაძე** გახლდათ - „ზესტაფონის" დღევანდელი თავკაცი! ეგ კი არა, „დინამოში" თამაშობდნენ **ზურაბ მამალაძე, შოთა გრიგალაშვილი, ლევან მელქაძე** და **მიხეილ კაკალაძე**. შეგახსენებთ, რომ ეს ოთხეული სულ ცოტა ხნის წინ „ზესტაფონში" გია გეგუჩაძის მოთხოვნით ჩაირიცხა. რაც შეეხება „დინამოს" დღევანდელ შემადგენლობას, ოთხი წლის წინანდელი მატჩიდან გუნდში მხოლოდ **შოთა კაშია** და **ლევან ხმალაძე** დარჩნენ. სხვათა შორის, „დინამო"-„ზესტაფონის" პირველ მატჩში ერთი გოლი სწორედ კაშიამ გაიტანა...

2004-05 წლების ჩემპიონატი ოთხ წრედ ტარდებოდა; „დინამომ" მეორე მატჩიც მოუგო „ზესტაფონს", სადაც მთავარ მწვრთნელად ახალი დანიშნული იყო **თემურ მახარაძე**. სამაგიეროდ, საქართველოს ჩემპიონატების ისტორიაში ერთ-ერთმა საუკეთესო მწვრთნელმა რევანში მესამე წრეში აიღო, თანაც — თბილისში. ეს ყველაფერი ზამთრის პაუზის მერე მოხდა: „ზესტაფონმა" ჩინებული სტარტი აიღო და ერთიმეორის მიყოლებით დაამარცხა ძლიერი მეტოქეები. გუნდის ასეთი სახეცვლილების ერთ-ერთი მიზეზი თემურ მახარაძის სელექციაც იყო: „ზესტაფონში" ჩაირიცხნენ როგორც გამოცდილი (**ზურაბ ქვაჩახია, ზურაბ იონანიძე, სევასტი თოდუა, კახა ჩხეტიანი, ვალტერ გუჩუა**), ასევე ახალგაზრდა ფეხბურთელებიც (**თენგიზ ჩიკვილაძე, ბექა გოცირიძე, გიორგი განუგრავა**). აი, ჩემპიონობისთვის მებრძოლ „დინამოს" კი კრიზისი დაეწყო და ოთხ საწყის შეხვედრაში მხოლოდ ექვსი ქულა მოიპოვა. და მაინც, ვერავინ იფიქრებდა, რომ „ზესტაფონი" სტუმრად შეძლებდა მრისხანე მეტოქის დამაცხებას. არადა, ასეც მოხდა: 2005 წლის 12 მარტს, ავლაბარში, სკა-ს სტადიონზე სენსაციური შედეგი დაფიქსირდა! ყველაფერი კი ერთმა (თანაც, როგორმა) გოლმა გადაწყვიტა - **გოჩა სულაკაძემ**, მართლაც, ზღაპრული დარტყმით „დინამოს" ბრაზილიელი მეკარე **კუნეგატო** (გახსოვთ, ვინმეს?) უშანსოდ დატოვა. ამ შეხვედრას უფრო მძიმე „გაგრძელება" მოჰყვა: „დინამოს" ხელმძღვანელობამ გია გეგუჩაძე თანამდებობიდან გაათავისუფლა...

თუმცა უცნაური უფრო მერე იყო, როცა საკმაო ხნის განმავლობაში გეგუჩაძე, ფაქტობრივად, უმუშევარი გახლდათ. კი, „გაგრაში" არცთუ პატარა საქმე გააკეთა სპორტულ დირექტორად მუშაობის დროს, მაგრამ რატომღაც, უმაღლეს ლიგაში ამ ამბიციურ და მცოდნე სპეციალისტს არავინ იწვევდა. და აი, შარშან, კონკრეტულად კი ნოემბრის ბოლოს, გეგუჩაძე კვლავ დაუბრუნდა უმაღლეს ლიგას. ყველაზე უცნაური კი, ალბათ, ის იყო, რომ ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით „ზესტაფონს" პირველი ოფიციალური მატჩი ...„დინამოსთან" ჰქონდა. სამი დეკემბრის სუპერთასის შეხვედრაზე ქვემოთ ვისაუბრებთ, მანამდე კი რამდენიმე სიტყვით ისევ ძველი დაპირისპირებები გავიხსენოთ. აქვე, დავაზუსტოთ, რომ მხოლოდ ჩემპიონატის შეხვედრებს ვიხსენებთ; თორემ, დღევანდელი მეტოქეები ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოს თასზეც არაერთხელ შეხვდნენ ერთმანეთს და თითქმის ყველა მატჩი საინტერესოდ მიმდინარეობდა.

...XVII და XVIII ჩემპიონატებში „დინამო" ვერაფრით ახერხებდა „ზესტაფონის" ძლევას. თემურ მახარაძის ხელმძღვანელობით „ზესტაფონმა" ამ დროის განმავლობაში ორჯერ მოუგო „დინამოს" და ორჯერ ფრედ ითამაშა. სამაგიეროდ, წინა ჩემპიონატში „დინამომ" ორივე მატჩში გაიმარჯვა და ორივე შემთხვევაში მატჩის შედეგს უაღრესად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ პირველი მატჩი ვახსენოთ, „შემოდგომის ჩემპიონის" ვინაობა რომ უნდა გაერკვია: **დავით დილმელაშვილისა** და **მიხეილ ხუციშვილის** ორი ეფექტური გოლით „დინამომ" დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ამასთან, სწორედ ამ შეხვედრაში შეწყდა „ზესტაფონის" სარეკორდო 35-მატჩიანი წაუგებელი სერია!

არანაკლებ პრინციპულ ხასიათს ატარებდა მეორე მატჩიც — 3 მაისს „დინამომ" სტუმრადაც შეძლო მეტოქის დამარცხება და ჩემპიონობა სწორედ „ზესტაფონში" გაიფორმა. რა თქმა უნდა, არ არის პატარა ამბავი, ორწლიანი პაუზის მერე ჩემპიონი ერთ-ერთ უშუალო კონკურენტის მოედანზე რომ ხდები; თუმცა როგორც კი ეს მატჩი გვახსენდება, მაშინვე, „გვერდში უნდა ამოვუყენოთ" იმავე გუნდების ოთხი დღის შემდგომი დაპირისპირებაც (ოღონდ, თასზე)...

საიუბილეო, მეოცე ჩემპიონატი „დინამომ" და „ზესტაფონმა" არაერთგვაროვნად დაიწყეს და ერთმანეთს მეხუთე ტურში შეხვდნენ. თემურ მახარაძემ ტრადიცია არც ამჯერად დაარღვია და „დინამოს" მერამდენედ მოუგო. სხვათა შორის, ეს იყო „დინამოს" მესამე წაგება ხუთ შეხვედრაში — ასეთი კატასტროფული სტარტი კი ეროვნული ჩემპიონატების ისტორიაში ჩვენს ყველაზე ტიტულოვან გუნდს არასდროს ჰქონია. თუმცა, ამის მერე „დინამომ" თამაშის ხარისხიც გააუმჯობესა და შედეგიც; ისიც თვალნათლივ ჩანდა, რომ გუნდის გერმანელ მწვრთნელს **რაინერ ცობელს** ახალ გარემოსთან ადაპტირებისათვის გარკვეული დროც სჭირდებოდა. ახლა კი „დინამომ" დაიწყო წაუგებელი სერია, მაშინ, როცა „ზესტაფონს" არასტაბილურობა დასჩემდა: ძლიერ მეტოქესთან გამარჯვებას შედარებით სუსტთან დამარცხება მოჰყვებოდა.

...ზემოთ სათასო პაექრობები ვახსენეთ; ისე, მართლაც, უცნაურია, მაგრამ, ფაქტია: უკვე მერამდენე წელიწადია „დინამო" და „ზესტაფონი" თასის გათამაშებაში ერთმანეთს არ უნდა ასცდნენ! ასე იყო ამ გათამაშებაშიც, როცა ორივე ფავორიტი მეოთხედფინალში დაწყვილდა. პირველი მატჩი ზესტაფონში გაიმართა და ნულოვანი ფრით დასრულდა; იგივე ანგარიში დაფიქსირდა განმეორებითი მატჩის ძირითად და დამატებით დროშიც; და აი, მაშინ, როცა ყველა თერთმეტმეტრიანების სერიის მოლოდინში ვიყავით, „დინამომ", ერთი შეხედვით, მარტივი, მაგრამ ეფექტიანი „სტანდარტული" გაითამაშა: ლევან ხმალაძის ზუსტმა თავურმა დარტყმამ გამარჯვება მასპინძლებს მოუტანა! ეს მატჩი შარშან, 26 ნოემბერს ჩატარდა. ოთხიოდ დღეში თემურ მახარაძემ „ზესტაფონს" საშინაო მატჩი მოაგებინა და მთავარი მწვრთნელის პოსტი საკუთარი სურვილით დატოვა. მის ნაცვლად კი, როგორც ზემოთ გითხარით, გია გეგუჩაძე დაინიშნა, ვისთვისაც პირველივე ოფიციალური მატჩი... ისევ „დინამოსთან" უნდა ყოფილიყო.

3 დეკემბრის მატჩიც ერთი კვირისწინანდელის, ფაქტობრივი გამეორება იყო: კვანძი კვლავაც ბოლო წამებზე გაიხსნა! ეგ კი არა, ისეთივე „შინაარსის" საჯარიმო დარტყმა და ლევან ხმალაძის ისეთივე გოლი!..

დაბოლოს, ორივე გუნდის დღევანდელ სატურნირო მდგომარეობაზეც; ორივე გუნდი რომ ამჟამად პირველ სამეულში იმყოფება, აბსოლუტურად ლოგიკურია. ეგ კი არა, „დინამოსაც" და „ზესტაფონსაც", ალბათ, უფრო მეტი ამბიცია გააჩნიათ. დანარჩენს კი დღევანდელი შეხვედრა წარმოაჩენს...

**გია ტუხაშვილი**

### დინამო ზესტაფონი VS

**ყველა დაპირისპირება**

| | |
|---|---|
| **2004-05** | |
| დინამო-ზესტაფონი (გონჩაროვი, შ. კაშია) | 2:0 |
| ზესტაფონი-დინამო (დვალი-2) | 0:2 |
| დინამო-ზესტაფონი (სულაკაძე) | 0:1 |
| ზესტაფონი-დინამო | 0:0 |
| **2005-06** | |
| ზესტაფონი-დინამო (ნუდნი) | 1:0 |
| დინამო-ზესტაფონი (ბობოხიძე-2; იონანიძე-2) | 2:2 |
| **2006-07** | |
| ზესტაფონი-დინამო (შ. ლონლაძე) | 1:0 |
| დინამო-ზესტაფონი (იაშვილი, ფეიქრიშვილი; გ. ჭელიძე, ბ. გოცირიძე) | 2:2 |
| **2007-08** | |
| დინამო-ზესტაფონი (დილმელაშვილი, ხუციშვილი) | 2:0 |
| ზესტაფონი-დინამო (ვაწაძე) | 0:1 |
| **2008-09** | |
| ზესტაფონი-დინამო (ბ. გოცირიძე) | 1:0 |

*მეტოქეებმა ერთმანეთში 11 მატჩი ჩაატარეს: „ზესტაფონმა" 4 მოიგო, 3 ფრედ დასრულდა და 4 წააგო. ბურთების სხვაობა: 8-11*

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გამოცემებში და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო-ზესტაფონი

# ძალიან მნიშვნელოვანი...

ეს მატჩი დეკემბერში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ დედაქალაქურმა თოვლმა თამაშის ჩატარებას ხელი შეუშალა. ახლა ვითარება ბევრად განსხვავებულია, შესვენებისას ორივე გუნდში სერიოზული საკადრო ცვლილებები მოხდა, ამდენად, დღევანდელი მატჩი მშვენიერი ტესტია საამისოდ, რათა რაინერ ცობელმა და გია გეგუჩაძემ ძალები შეამოწმონ.

გავიხსენოთ, რომ ამ სეზონში ეს გუნდები თასისა და სუპერთასის გათამაშებაშიც შეხვდნენ ერთმანეთს. აქედან გამომდინარე, „დინამო“ და „ზესტაფონი“ ერთმანეთს ზედმიწევნით კარგად იცნობენ...

საინტერესოა, რას ფიქრობენ ფეხბურთელები მნიშვნელოვანი მატჩის წინ. რესპონდენტებად ის მოთამაშეები შევარჩიეთ, რომელთაც „დინამო“-“ზესტაფონის“ მატჩებში გადამწყვეტი გოლები აქვთ გატანილი. ჩემპიონის რიგებში ასეთია ლევან ხმალაძე, რომელმაც „დინამოს“ „ზესტაფონი“ ზედიზედ ორჯერ დაამარცხებინა. იმერელთა შორის კი უბერებელ ზურაბ იონანიძეზე ამბობენ - „დინამოს“ წამალიაო...

## ლევან ხმალაძე: გვჯერა და მოვიგებთ კიდეც!



- მნიშვნელოვანი მატჩი გვაქვს და მზადების პროცესიც შესაფერისია. „ზესტაფონს“ ამ სეზონში ბევრჯერ შევხვდით, ასე რომ, მეტოქეს კარგად ვიცნობთ. მხოლოდ მოგება! - სხვა შედეგის გაგონებაც არ გვინდა. გვჯერა, 3 ქულას ავიღებთ...

**- თუმცა ეს იოლი არ იქნება...**

- რა თქმა უნდა, არ გვაქვს იმის ილუზია, რომ იოლად მოვიგებთ, მაგრამ სხვა გზა არ გვაქვს - „ვიტ ჯორჯიასთან“ ქულათა სხვაობა ახლავე თუ არ შევამცირეთ, მერე გვიან იქნება.

**- „დინამოს“ საბრძოლო შემადგენლობა ჰყავს თუ ვინმეს მოისაკლისებთ?**

- სამწუხაროდ, დანაკლისს ვერ ავცდით. დისკვალიფიკაციის გამო გულვერდ თომაშვილი და მილოშ კრმკო ვერ ითამაშებენ. ეს ის ორი ფეხბურთელია, რომელთა არყოფნა „დინამოს“ სერიოზულად დააზარალებს, მით უმეტეს, ასეთ მნიშვნელოვან შეხვედრაში.

**- როგორ ფიქრობთ, „ზესტაფონი“ ახლა უკეთესი გუნდია, თუ შარშანდელი სჯობდა?**

- ძნელია ამის თქმა, უშუალოდ მატჩში დაგვანახვებს, ვინ როგორი გუნდია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ზესტაფონელები თბილისში მოგებისთვის იბრძოლებენ. ბოლოს და ბოლოს, მათ ჯერ კიდევ აქვთ ჩემპიონობის შანსი, ჩვენც 2 ქულით ჩამოგვრჩებიან და ამ შანსისთვის თავს არ დაზოგავენ. ამიტომ, ჩვენც მძიმე ბრძოლისთვის ვემზადებით.

**- თამაშის ინტრიგა ისიცაა, რომ „ზესტაფონის“ მწვრთნელი გია გეგუჩაძე თავის დროზე „დინამოს“ წვრთნიდა და მაშინ მის გუნდში თავადაც იყავით...**

- კი, მას კარგად ვიცნობ. მისი გუნდები ყოველთვის მოგებისთვის იბრძვიან. ამასთან, გეგუჩაძეს დღევანდელი „ზესტაფონი“ მოსამზადებელ შეკრებაზე ჰყავდა და როგორც თავად სურდა, ისე მოამზადა.

**- „ვიტ ჯორჯიასთან“ მოგება კი გინდოდათ, მაგრამ 3 ქულა ვერ აიღეთ... რა მოუტანა „დინამოს“ ამ ფრემ?**

- გორში ნამდვილად შეგვეძლო მოგება, ეგ იყო, საგოლე მომენტები ვერ გამოვიყენეთ, მეტოქის მეკარემ ჩინებულად თამაშა, თორემ კიდევ გავიტანდით... სამწუხაროდ, ფრეს დავჯერდით, არადა, ეს თამაში რომ მოგვეგო, ლიდერთან ჩამორჩენა მხოლოდ 3 ქულა იქნებოდა. ახლა გაითვალისწინეთ ისიც, რომ „ვიტ ჯორჯიასთან“ ბოლო მატჩი შინ გვაქვს... თუმცა ამ ფრის მიუხედავადაც ჯერ არაფერია დაკარგული. „ზესტაფონს“ უნდა მოვუგოთ, რათა „ვიტ ჯორჯიასთან“ სხვაობა სამ ქულამდე დავიყვანოთ.

**- გორის მატჩმა დიდი ენერგია წაიღო. ძალების აღდგენა რამდენად მოასწარით?**

- სეზონი ახლახან განახლდა და ძალების ნაკლებობას არ ვუჩივით. სხვა შემთხვევაში ნამდვილად გაგვიჭირდებოდა, ახლა კი ეს პრობლემა არ გვაწუხებს.

**- ბოლო ორ მატჩში „ზესტაფონს“ სწორედ თქვენ გაუტანეთ გადამწყვეტი გოლები...**

- საბედნიეროდ, ეს პატივი მე მერგო. მთავარია, მოვიგოთ და რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გაიტანს გოლს.

**- როგორ ფიქრობთ, რა იქნება გადამწყვეტი ფაქტორი ამ მატჩში?**

- ფაქტია, რომ ბრძოლისა და მონდომების გარეშე შედეგს ვერ მიაღწევ. მაგრამ იღბალიც აუცილებელია. შეიძლება, მეტოქე დაჯაბნო, მაგრამ თუ ბედმა ზურგი გაქცია, დარჩები უქულოდ.

**- გულშემატკივარი კარგ სანახაობას ელოდება...**

- „ზესტაფონსა“ და „ვიტ ჯორჯიასთან“ „დინამოს“ მატჩები ჩვენი მასშტაბების „ელ კლასიკო“ და „მადონინაა“... ვფიქრობ, საინტერესო სანახაობა იქნება. მოგება ჰაერივით გვჭირდება და იმედია, მოვიგებთ კიდეც.

## ზურაბ იონანიძე: ახლა ჩვენი ჯერია

- „გაგრასთან“ მატჩის შემდეგ თბილისში დავრჩით და აქვე ვვარჯიშობთ. განსაკუთრებულად ვემზადებით, ისე, როგორც ამას „დინამოსთან“ დაპირისპირება ითხოვს.

**- მეკარე ზურაბ მამალაძე ისევ არ გეყოლებათ?**

- სამწუხაროდ, არა. თუმცა კარგ ფორმაშია როინ კვასხვაძე გვყავს. საერთოდ, ჩვენი გუნდის ყველა რგოლში საკმაოდ მძაფრი კონკურენციაა და, იმედია, მამალაძის არყოფნა არ დაგვეტყობა.

**- საჩემპიონატო პაუზის შემდეგ „დინამო“ გარკვეულწილად შეიცვალა. ამჟამინდელ გუნდს რამდენად კარგად იცნობთ?**

- „დინამოს“ ბოლო მატჩები არ მინახავს. დარწმუნებული ვარ, ჩვენს მწვრთნელებს მეტოქე კარგად ჰყავთ შესწავლილი. „დინამოსთან“ თასზე და სუპერთასზე დავმარცხდით, ახლა ჩვენი ჯერია.

**- შაბათს „დინამოს“ უფრო რთული მატჩი ჰქონდა, ვიდრე თქვენ. მიგაჩნიათ, რომ ეს ნიუანსი „ზესტაფონის“ წისქვილზე ასხამს წყალს?**

- არა მგონია, ასე იყოს. მართალია „ვიტ ჯორჯია“ ძლიერი გუნდია და დამსახურებულადაც ლიდერობს, მაგრამ ჩვენც არანაკლებ რთული მატჩი გვქონდა. „გაგრა“ ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის იბრძვის, ამიტომაც არაფერი დაგვითმო და ბოლომდე იბრძოლა. ასე რომ, ბოლო ტურმა ჩვენც დიდი ენერგია წაგვართვა.

**- მოქმედ ჩემპიონს მხოლოდ 2 ქულით ჩამორჩებით. კარგი შანსი გაქვთ, გაუსწროთ კონკურენტს...**

- რა თქმა უნდა, ჩვენთვის ეს მოტივაციაა. მაგრამ მატჩი „დინამოსთვისაც“ არანაკლებ მნიშვნელოვანია. ახლა თუ დამარცხდნენ, მერე ჩემპიონობის შენარჩუნება ძალზე გაუჭირდებათ.

**- ფანებს თუ ელოდებით ზესტაფონიდან?**

- ველოდებით, რადგან ჩვენი ერთგული ქომაგი ყველა მატჩში გვგულშემატკივრობს. ამ სეზონში ტიტულის გარეშე არ უნდა დავრჩეთ. რაკი თასიდან გამოვეთიშეთ, ახლა მთლიანად ჩემპიონატზე ვართ ორიენტირებულნი. ვიტყოდი, ოქროს მედლებისთვის ბრძოლაში ეს მატჩი ჩვენთვის გადამწყვეტიც კია.

**- საჩემპიონო მარათონში მთავარ კონკურენტად ვის მიიჩნევთ?**

- „დინამოსა“ და „ვიტ ჯორჯიას“. ამ ორიდან ვისთან უფრო დიდი ბრძოლა მოგვიწევს, ეს ოთხშაბათის მატჩის შემდეგ და მარტში უფრო კარგად გამოჩნდება. ისე, არც რუსთავის „ოლიმპის“ იგნორირება შეიძლება.



**- ზესტაფონელი გულშემატკივარი ამბობს, „დინამოს“ წამალი იონანიძეაო. ფანებს ამჯერადაც თქვენი იმედი ექნებათ...**

- „დინამოს“ კარში არაერთი გოლი მაქვს გატანილი, მათ შორის, მნიშვნელოვანიც. თუ ახლაც გავიტან, ხომ კარგი, თუ არა და... მოდით, ასე ვიტყვი - მთავარია გავიმარჯვოთ, დანარჩენი ჩემთვის მეორეხარისხოვანია.

**- ბოლო ხანებში მარცხენა ფლანგზე გათამაშებენ. არ გიჭირთ?**

- არ მიჭირს. როცა საჭიროა, ბურთის „ამოტანასა“ და ართმევაზეც ვზრუნავ...

**- როგორ ფიქრობთ, „დინამოსთან“ მატჩი უხვგოლიანი იქნება?**

- არა მგონია, ბევრი ბურთი გავიდეს. ვფიქრობ, პირველ გოლს ძალზე დიდი მნიშვნელობა ექნება, თუმცა არა - გადამწყვეტი. ჩვენი და „დინამოს“ მატჩები ყოველთვის საინტერესოა და დარწმუნებული ვარ, ახლაც ასე იქნება. იმისიც მჯერა, რომ ეს თამაში ჩვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება.

**დავით ცაბაძე**

# იპოვეთ ხუთი განსხვავება

„დინამო“-“ზესტაფონი“, ანუ რაინერ ცობელი გია გეგუჩაძის წინააღმდეგ. რა აქვთ მათ განსხვავებული და საერთო? ფეხბურთში ბევრი ნიუანსია, რომელიც ერთი შეხედვით უმნიშვნელოა, მაგრამ საერთო ჯამში - ძალიან გავლენიანი. დღევანდელ დაპირისპირებაშიც ალბათ ასე იქნება, რამეთუ „დინამოსა“ და „ზესტაფონს“ შორის დიდი სხვაობა არ არის. შევეცადეთ, გვეპოვა სწორედ ის ნიუანსები, რითიც გეგუჩაძე და ცობელი ზედმიწევნით ინდივიდუალიზებულები იქნებოდნენ. ვნახოთ, რა გამოვიდა აქედან...

### მწვრთნელობამდე

ფეხბურთელი გია გეგუჩაძე ცნობილი არასდროს ყოფილა. ამბობენ, მინი-ფეხბურთში ის ძალიან კარგად წარმოაჩენდა თავსო. **რაინერ ცობელი** კი იმ მიუნხენის „ბაიერნის“ ცენტრალური ნახევარმცველი გახლდათ, 70-ან წლებში ზედიზედ სამჯერ რომ მოიგო ჩემპიონთა თასი. მოკლედ, აქ აშკარა უპირატესობას დინამოელთა დამრიგებელი ფლობს, მაგრამ რამდენად წაადგება ეს თუნდაც დღევანდელ შეხვედრაში?

გეგუჩაძეს მიაჩნია, რომ მწვრთნელისთვის მთავარია თამაშის შინაგანად შეგრძნება და არა ის, თუ როგორი ფეხბურთელი იყო მწვრთნელობამდე...

### ხელწერა და სტილი

რა ფეხბურთს თამაშობს ცობელის „დინამო“? ძნელია ამ კითხვაზე ზუსტი პასუხის გაცემა. „დინამო“ არ თამაშობს „კატენაჩოს“ და მაინცდამაინც არც რომანტიკული ფეხბურთის მიმდევარია. გამოჩნდა, რომ ცობელს დიდად არ უყვარს რისკიანი, ავანტიურისტული ფეხბურთი. გერმანელის „დინამო“ კარგად დაბალანსებული გუნდია და მორჩა! ცობელი ლეგიონერი მწვრთნელია და კლუბის ხელმძღვანელობასა თუ გულშემატკივარს აქვს უფლება, მოითხოვოს, რომ ცობელი ქართველ მწვრთნელებზე მნიშვნელოვნად მეტი იყოს. გერმანელი ამას ჯერჯერობით ვერ ახერხებს.

გეგუჩაძე ჰოლანდიური სტილის მიმდევარია, თუმცა რამდენად შეძლებს „ზესტაფონში“ ამ სტილის დამკვიდრებას, ჯერაც



რაინერ ცობელი



გია გეგუჩაძე

საკითხავია. მწვრთნელ გეგუჩაძეს აქვს საკუთარი სახე და ეს უკვე ბევრს ნიშნავს. ის ეყრდნობა პრინციპს - გუნდი ერთ გამორჩეულ ფეხბურთელზე არ უნდა იყოს ჩამოკიდებული, გუნდი არ უნდა თამაშობდეს ამ ფეხბურთელზე, პირიქით, ყველა ფეხბურთელი გუნდზე უნდა თამაშობდეს.

„დინამოს“ თამაშს კი მნიშვნელოვნად განაპირობებს ერთი ფეხბურთელი - **გიორგი მერებაშვილი**. თუ „ზესტაფონმა“ დღეს ის ვერ შეაჩერა, გეგუჩაძემ ფეხბურთში რევოლუციაც რომ მოახდინოს, „დინამოსთან“ მარცხს მაინც ვერ ასცდება.

### თვალსაწიერი

მიუნხენის „ბაიერნიდან“ გამოსული კაცი მწვრთნელად გერმანიის გარდა არაბეთში, ეგვიპტესა და ირანშიც მუშაობდა, თვალსაწიერი საქართველოთიც გაიფართოვა. ცობელს უყვარს განსხვავებული კულტურის მქონე ქვეყნებში მოგზაურობა და მუშაობა.

გეგუჩაძე საქართველოს **იოჰან ბოსკამპით** მეშვეობით გასცდა, რომლის თანაშემწე საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც იყო. უცხოელ მწვრთნელთან მუშაობამ მას მნიშვნელოვანი გამოცდილება შესძინა, მან ბევრი ახალი რამ დაინახა. ბოსკამპის თანაშემწედ არაბულ კლუბ „ელ ვასლშიც“ უმუშავია.

გეგუჩაძის განწვრთნილმა „დინამომ“ უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ითამაშა, ცობელის არც ერთ გუნდს ასეთი წარმატებისთვის ჯერ არ მიუღწევია.

### ურთიერთობა ფეხბურთელებთან

„დინამომ“ ფარერის კუნძულების სოფელ რუნავიკის გუნდთან რომ წააგო, ცობელმა თქვა - **გიორგი ნერგაძის** შეცდომის გამო გავუშვით გოლიო. გეგუჩაძეს კი საკუთარი გუნდის მარცხი კონკრეტულად არც ერთი ფეხბურთელისთვის არ დაუბრალებია.

გეგუჩაძეზე ამბობდნენ - ლამის გაუცინარი ხელმწიფესავით იქცეოდა, როცა „დინამოს“ მწვრთნელი იყო, ფეხბურთელებთან და კლუბის ადმინისტრაციასთან დისტანცია ეჭირაო. ზუსტად ვერ გეტყვით, ეს მითია თუ სინამდვილე, ის კი ფაქტია - იმ ფეხბურთელებმა, რომელთაც „დინამოსთან“ განშორება გეგუჩაძის მწვრთნელობისას მოუწიათ, საერთაშორისო დონეზე ღირებულს ჯერ ვერაფერს მიაღწიეს.

### პირობები და გამოცდილება

„დინამოს“ საქართველოში საუკეთესო პირობები აქვს, რამეთუ ერთადერთი კლუბია, ვისაც სრულყოფილი ბაზა გააჩნია - მოედნები, სატრენაჟორო დარბაზი, საძინებლები... ეს უპირატესობა „დინამომ“ უნდა გამოიყენოს. ამით ის „ზესტაფონს“ აღემატება და ცხადია, ცობელსაც გეგუჩაძეზე კომფორტულ სიტუაციაში აყენებს.

გეგუჩაძემ ქართულ ფეხბურთზე გაცილებით მეტი იცის, ვიდრე ცობელმა, თუმცა საერთო ჯამში ეს უკანასკნელი უფრო გამოცდილია. არის კი გერმანელი „ზესტაფონის“ თავკაცზე გამჭრიახი და ნიჭიერი? ერთი თამაშით ამას ან განვსაზღვრავთ, ან ვერა - ზოგადად, ასეთია ფეხბურთი...

**დავით თავართქილაძე**

ტრანსფერი



მამუკა ლონლაძე (მარცხნივ) მაშალიში თამაშით კმაყოფილია

# ვერც კი წარმოვიდგენდი, ისეთ კარგ გუნდში მოვხვდი

## ლონლაძე უზბეკეთში წავიდა

**თავდამსხმელმა მამუკა ლონლაძემ ცხინვალის „სპარტაკი" დატოვა. საქართველოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე კოლორიტული ფეხბურთელი კარიერას უზბეკეთში გააგრძელებს. ლონლაძე იქაური ჩემპიონატის მეოთხეადგილოსან „მაშალიში" ჩაირიცხა. ეს ამბავი თავად ფეხბურთელმა გაგვიმხილა. მამუკა თბილისში ორიოდე დღით ჩამოვიდა და სწორედ მაშინ გავესაუბრეთ...**

**- მამუკა, ცხინვალის „სპარტაკიდან" წახვედი, თუ რა ხდება? რატომ არ ჩანხარ?**

- უკვე ერთი თვეა, „სპარტაკიდან" წავედი და ვერც კი წარმოვიდგენდი, ისეთ კარგ გუნდში მოვხვდი - უზბეკურ მუბორაქის „მაშალიში", რომელსაც აზიის თასზე ასპარეზობის დიდი გამოცდილებაც აქვს, 2006 წელს კი ამ გათამაშების ნახევარფინალში გავიდა. საერთოდ, ეს გუნდი უზბეკური ფეხბურთის ერთ-ერთი ლიდერია, შარშანდელი პირველობა მეოთხე ადგილზე დაასრულა (უზბეკეთის ჩემპიონატი გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ტარდება და ახალი პირველობა ჯერ არ დაწყებულა - ავტ)... მოკლედ, ძალიან კარგი პირობებია, ანთალიაშიც ვიყავით შეკრებაზე და ხუთ შეხვედრაში 5 გოლიც გავიტანე. მწვრთნელიც და პრეზიდენტიც აღნიშნავენ, რომ ჩემი სახით, სრულიად მოულოდნელად, საჭირო თავდამსხმელი შეიძინეს. რაც შეეხება ამხანაგურ თამაშებს, ჯერ პოლტავის „ვორსკლასთან" მოვიგეთ 1:0 და ეს ერთადერთი გოლი მე გავიტანე... ჰო, მართლა - ეს შეხვედრა ჩვენმა არბიტრმა გიორგი ვადაჭკორიამ იმსაჯა... შემდეგ 1:1 ვითამაშეთ რამენსკოეს „სატურნთან" და ესეც ჩემი გოლის წყალობით, შემდეგ მაკედონიურ „სკოპიესთან" 3:2 გავიმარჯვეთ და ამ შეხვედრაში დუბლი შევასრულე, ბელარუსულ „გომელთან" 2:2-ზე დამთავრებულ თამაშში ერთხელ გამოვიჩინე თავი, მეორე გოლი კი ჩემი წაქცევისთვის დანიშნულ პენალტს მოჰყვა, ერთადერთი, პერმის „ამკართან" 2:0-ზე მოგებულ მატჩში ვერ შევძელი ბურთის გატანა. დააკვირდით შედეგებს? აქედანაც ხომ ჩანს, რომ „მაშალი" სერიოზული გუნდია. ოთხჯერადი ვარჯიშების ფონზე ვთამაშობდით, თანაც ყველა ძირითადი შემადგენლობით გვეთამაშებოდა.

**- სამჯერადი ვარჯიშები გამიგია, მაგრამ ოთხჯერადი? პირველად მესმის...**

- აქამდე მეც არ გამეგო. როგორც მითხრეს, ეს უკრაინული სკოლაა. პირველი ვარჯიში დილის შვიდ საათზე გვქონდა, მეორე თერთმეტზე, მერე სამზე და ბოლოს საღამოს შვიდზე. ოთხ საათზე კი, ანუ ორი ვარჯიშის შემდეგ, თამაშებს ვატარებდით. ერთი დღე გვქონდა დასვენება და იმ დღესაც ორი საათი უბურთოდ გვავარჯიშეს. თავიდან ძალიან გამიჭირდა, მკლავდნენ ვარჯიშით, მაგრამ მერე და მერე შევეგუე... სხვათა შორის, „გომელთან" მატჩის შემდეგ ამ გუნდის მწვრთნელმა მათთან გადასვლაც შემომთავაზა, მაგრამ „მაშალისთან" ხელშეკრულება უკვე გაფორმებული მქონდა. ანთალიამდე ტაშკენტში გვქონდა შეკრება და ხელი მოვაწერე კონტრაქტს, რომელიც 1+1 სისტემითაა შედგენილი. მერე ჩვენი მწვრთნელისგან შევიტყვე, რომ თურმე „სკოპიეც" დაინტერესებულა ჩემით...

**- საერთოდ, უზბეკეთში როგორ მოხვდი?**

- „მაშალის" მწვრთნელთან რეკომენდაცია რევაზ ძოძუაშვილმა გამიწია. ვფიქრობ, ბატონ რეზოს არ ვარცხვენ.

**- იქაური ფეხბურთი მართლა განვითარების გზაზეა?**

- მარტო ჩემი გუნდის მაგალითზეც შეიძლება ითქვას, რომ იქ საუკეთესო პირობები და შესანიშნავი საფეხბურთო სიტუაციაა. ამას ნამდვილად არ ველოდი და ახლა ძალიან კმაყოფილი ვარ.

**- გუნდში რომელიმე ცნობილი უცხოელი ხომ არ გყავთ?**

- არა, ცნობილი უცხოელები არ გვყავს, სამაგიეროდ, მწვრთნელია ყველასთვის კარგად ცნობილი - უკრაინელი სერგეი ბონდარენკო. თავდაპირველად, შეკრებაზე ჩასული 10 ფეხბურთელიდან მან მხოლოდ 5 დაგვტოვა - მე, ორი რუსი და ორიც უკრაინელი. საქმე ისაა, რომ უზბეკეთში ლეგიონერებზე შეზღუდვაა. ერთ მატჩში მწვრთნელს მხოლოდ 5 უცხოელის გამოყენება შეუძლია. სამწუხაროდ, „მაშალიში" სხვა ქართველი არ არის.

**მერაბ მამულაშვილი**

ფუტსალი

ინტერვიუ ავთანდილ ასათიანთან

# არც ტაქტიკა, არც სისწრაფე, ერთსულოვნებით გავედით

**ხომ გეუბნებოდით, გავფრინდებით-მეთქი? - ამბობს უზომოდ ბედნიერი ავთანდილ ასათიანი. საქართველოს ფუტსალელთა ნაკრებმა, ახალგაზრდა მთავარი მწვრთნელის ხელმძღვანელობით, პირველად ეროვნული ნაკრებების ისტორიაში ჯგუფური ეტაპი დასძლია. მალტაში დასრულებულ ტურნირზე „ჯვაროსნებმა" ჯერ მასპინძელი მალტა დაამარცხეს (3:1), შემდეგ ფავორიტ საბერძნეთთან 0:5 დამარცხდნენ, გადამწყვეტი შეხვედრა კი ალბანელებს 3:0 სძლიეს და ელიტრაუნდში გავიდნენ. მოთამაშე-მწვრთნელ ასათიანს მალტიდან დაბრუნების შემდეგ გავესაუბრეთ...**

**- გილოცავთ ელიტრაუნდში გასვლას! სიმართლე ითქვას, ბოლოდროინდელი შედეგების გადამკიდე, ქართველი ფუტსალელებისგან ასეთ წარმატებას არავინ ელოდა...**

- ისტორიულ წარმატებას მივაღწიეთ. ფუტსალში კი არა, წარმატებები მთლიანად ქართულ ფეხბურთში მოგვენატრა. მესმის, ჩვენი შედეგი მოულოდნელია. ძალიან კარგად ვითამაშეთ და მინდა, ბიჭებს საჯაროდ ულრმესი მადლობა გადავუხადო. აღმოჩნდა, რომ მათ გაცილებით მეტი შესაძლებიათ, ვიდრე მეგონა. დღემდე სიხარულისგან ვერ ვფხიზლდები და ვერ ვხვდები, როგორ გავედით ელიტრაუნდში? 17 წელია ფუტსალში არაფრისთვის მიგვიღწევია, რომელ გასვლაზე იყო ლაპარაკი. ამდენისთვის არც ერთ ეროვნულ ნაკრებს არ მიუღწევია. თან, გასვლაც არის და გასვლაც - 6 ქულა ღირსეულად, დამაჯერებლად და ლამაზი ფეხბურთით მოვიპოვეთ.

**- ასეთი რა შეიცვალა ნაკრებში, რომელიც ბოლო 15 წელია, თითქმის ყველაფერს აგებდა?**

- ვფიქრობ, წარმატებას საფუძველი აზერბაიჯანის საერთაშორისო ტურნირზე ჩაეყარა, სადაც ყველასთვის მოულოდნელად, ადგილობრივი, ყირგიზეთისა და მოლდოვის ნაკრებთა კომპანიაში, მეორე ადგილი დავიკავეთ. ბიჭები სწორედ მაშინ გახდნენ გაცილებით თავდაჯერებულები, ვიდრე მანამდე იყვნენ. გულახდილად გეტყვით - ტაქტიკით, სისწრაფით, აზროვნებით, შესაძლოა, ჯგუფში არავის ვჯობდით, მაგრამ ჩვენნაირი შეკრული და მეგობრული გუნდი იქ არ ყოფილა. სწორედ ერთსულოვნებით გავიმარჯვეთ. ასეთი სულისკვეთება არც ერთ გუნდში არ მინახავს. ერთის შეცდომას მეორე ასწორებდა და თავგამოდებით იბრძოდნენ, ღირსეული გუნდის სახელი რომ გვქონოდა. ეს ჩემთვის უდიდესი სიურპრიზი იყო. პირველი მატჩი მასპინძლებთან გვქონდა და ყველაფერი გავითვალისწინეთ - საკუთარი კედლების ფაქტორი, მსაჯობა... ბიჭებს ვთხოვე - ოღონდ ეს თამაში მოვიგოთ და, თუნდაც გავვარდეთ-მეთქი. მოინდომეს, 3:1 გავიმარჯვეთ და მალტელებს შანსი არ დავუტოვეთ. შემდეგ კი, არ დავმალავ, 0:5 პირადად ჩემი შეცდომის გამო წავაგეთ, თორემ საბერძნეთი ნამდვილად არ გვჯობდა ორი თავით. დარწმუნებულნი ბრძანდებოდეთ - რომ არა ტაქტიკური შეცდომები და ფსიქოლოგიური პრობლემა, ასეთი ანგარიშით 200-დან ერთ მატჩსაც არ წავაგებდით.

**- რაში შეცდით?**

- პირველ დღეს, საბერძნეთი-ალბანეთის მატჩის შემდეგ, ბერძნებზე კარგი შთაბეჭდილება არ დამრჩა. მართალია, 3:0 მოიგეს, მაგრამ ჩვეულებრივ გუნდს ჰგავდა. ეტყობა, შეფასებაში აშკარად მოვტყუვდი. ტაქტიკის არჩევაშიც შევცდი, მათსავე ნახევარზე პრესინგი ვეთამაშეთ და ფიზიკურად ველარ გავძელით. უკვე პირველ ტაიმში 0:2-ს ვაგებდით. ამის შემდეგ თამაშის შემოტრიალება ძალიან ძნელი იყო. სხვათა შორის, წაგებაში დიდი როლი ფსიქოლოგიურმა ფაქტორმაც ითამაშა. კვიპროსში ჩვენი ორი ლეგიონერი - რევაზ დევდარიანი და ლაშა თორთლაძე თამაშობს. ისინი მალტასთან ვერ დაგვეხმარნენ და იმედი გვქონდა, რომ საბერძნეთთან მაინც დავიმატებდით. სამწუხაროდ, სავიზო პრობლემები დროულად ვერ მოგვარდა, გვიან ჩამოფრინდნენ და საბერძნეთთან ვერ დავიხმარეთ. ამან ბიჭები ფსიქოლოგიურად გატეხა, რადგან დევდარიანიცა და თორთლაძეც გუნდისთვის დიდი ძალაა. სხვათა შორის, კვიპროსის ფუტსალის ლიგა ერთ-ერთი საუკეთესოა და იქ თამაში პრესტიჟულია... საბერძნეთთან მატჩს დავუბრუნდები და ერთსაც გეტყვით - ამბობენ, ზოგი ჭირი მარგებელიაო. ბერძნებთან თამაში



ავთანდილ ასათიანი

ალბანელებმაც ნახეს და ეტყობა, იფიქრეს - ქართველებს ცალი ფეხით მოვუგებთო და მოედანზე ცოტა ზერელედ გამოვიდნენ, ეგონათ, რომ 3 ქულა ლამის გარანტირებული ჰქონდათ. მატჩამდე ერთი დღე გვქონდა დასვენება და ეს დღე ფსიქოლოგიაზე სამუშაოდ გამოვიყენეთ. ბიჭებს ვუთხარი - მოდი, ისტორიაში შევიდეთ-მეთქი... და ალბანელებთან ისე ითამაშეს, ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბეს - მონდომებით, ჭკვიანურად, შემართებითა და აგრესიულად. თავიდანვე ბიჭებს დაცვაში მკაცრი თამაში მოვთხოვე, სათამაშო დისციპლინა უნდა დაგვეცვა. მატჩი დაძაბული გამოდგა, მეორე ტაიმის დასრულებამდე ანგარიში 0:0 იყო, მაგრამ ნერვების ბრძოლაში ალბანელებს ვაჯობეთ. ერთი გოლი კონტრშეტევისას გავიტანეთ, ამას მალე მეორეც მივაყოლეთ. ბოლოს კი შემოგვიტიეს, მაგრამ მივხვდი, რომ ველარ დაგვამარცხებდნენ, ერთიც გავიტანეთ და 3:0 მოვიგეთ. თავი ზღაპარში მგონია, თუმცა ახლა უკვე დროა, ჯგუფური ტურნირისთვის მოვემზადოთ. იტალიას უძლიერესი გუნდი ჰყავს და ჯგუფის უპირობო ფავორიტია, ბელარუსი და ლიტვაც ძლიერი გუნდები არიან, ტურნირი ლიტვაში გაიმართება და ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა ძალიან გაგვიჭირდება. თუმცა ახლა დასაკარგი არაფერი გვაქვს, ბოლომდე ვიბრძოლებთ და იმედია, სამშობლოში კვლავ წარმატებით დავბრუნდებით. სხვათა შორის, კარგი შედეგის გამო ელიტრაუნდში რუსების ნაკრებს ავცდით.

**- თქვენ, ნაკრების მოთამაშე-მწვრთნელი, ასეთ დაძაბულ დროს მოედანზე გასვლას ახერხებდით?**

- ტრავმის გამო ალბანელებთან ბოლო შეხვედრა გამოვტოვე, დანარჩენ ორში კი ბიჭებს ჩვეულებრივად ვეხმარებოდი...

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# პრაღაში არ ათამაშეს

ჩეხური გამბრინუსლიგა უქართველოდ განახლდა - „მლადა ბოლესლავის" რიგები დატოვა **გიორგი განუგრავამ**, ხოლო პლზენის „ვიქტორიაში" არ უთამაშია **დიმიტრი ტატანაშვილს**. მე-17 ტურში პლზენელები უპირობო ლიდერ, პრაღის „სლავიას" ესტუმრნენ და 2:3 დამარცხდნენ. თამაშამდე დიმიტრი ჩვეულად, გუნდთან ერთად ემზადებოდა, ასე რომ, ჩვენთვის უცნობია, რატომ არ ენდვნენ მას პრაღაში. „ვიქტორია" 22 ქულით 16-გუნდიან გამბრინუსლიგაში მეათე ადგილზეა. დიმიტრი ტატანაშვილი ჩეხეთში პირველ სეზონს ატარებს, მას 12 მატჩში 1 გოლი აქვს გატანილი, ეს მან სწორედ „სლავიასთან" მოახერხა პირველ წრეში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დიმიტრი ტატანაშვილი

ამბები

# ბაიამ კოლხეთს მოუგო

ზუგდიდის „ბაია" თურქული შეკრებიდან დაბრუნდა და საკუთარ ბაზაზე ფოთის „კოლხეთთან" საკონტროლო შეხვედრა გამართა. მატჩი ზუგდიდელთა გამარჯვებით, 3:0 დასრულდა. მე-12 წუთზე მასპინძლები კაპიტანმა **გიგა ჟვანიამ** ეფექტური დარტყმით დააწინაურა. ზუგდიდელებმა ანგარიში პირველ ტაიმშივე გაზარდეს. თავი **ირაკლი ეხვაიამ** გამოიჩინა. მეორე ტაიმში „ბაიას" მთავარმა მწვრთნელმა **ჰერბერტ ცანკერმა** ექვსი ფეხბურთელი შეცვალა. მე-80 წუთზე **ზვიად სიხარულიამ** საბოლოო ანგარიში დააფიქსირა - 3:0. „ბაიამ" ასეთი შემადგენლობით ითამაშა: **ზარქუა, ექონია, პაჭკორია (კაკუშაძე), ჟვანია, ქვარცხავა, ნ. შონია (სიხარულია), გუგუჩია (ვართაგავა), ეხვაია (რაფავა), წურწუმია (დ. კუტალია), გ. ქირია (კ. შონია), სვირავა.**




ბექა კირვალიძე

# ირაკლისში ქართველი აიყვანეს

ბევრჯერ დაგვიწერია და კიდევ ერთხელ გავიმეორებთ - საქართველოს დასაკარგი შვილი არ ჰყავს. უცხოეთში კი სანთლით უნდა ვეძებოთ თითოეული ჩვენიანი, რომელიც საქართველოს ასაკობრივი ნაკრებებისთვის, შესაძლოა, საინტერესო იყოს.

ერთ ასეთ ფეხბურთელზე საქართველოს ნაკრების ფორვარდ **დავით სირაძის** მამამ, ბატონმა სოსომ გვიამბო. სალონიკის „ირაკლისში" 17 წლის ქართველი **ბექა კირვალიძე** თამაშობს. ის ამჟამად „ირაკლისის" მესამე გუნდში ვარჯიშობს და კლუბში დიდ იმედებსაც უკავშირებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

პოლიტიკოსის თვალით... ინტერვიუ აკაკი ასათიანთან

სპორტი და პოლიტიკა, სპორტი და ფეხბურთი - განუყრელი სფეროებია და ამიტომაცაა, პოლიტიკოსები დიდ ყურადღებას რომ აქცევენ სპორტს. საქართველოში კი ყველაზე სახალხო სპორტი ფეხბურთია და ვერავინ უარყოფს, რომ ჩვენთან ფეხბურთი არ არის პოლიტიზირებული კარგი თუ ცუდი გაგებით.

პოლიტიკა და ფეხბურთი - ერთობ დელიკატური საკითხი, რომელიც ვერ იტანს ხისტ მოქმედებებს, ჰარმონიულობა კი აქ ძნელი მისაღწევია, საქართველო ხომ რთული ქვეყანაა. აქ მიზანმიმართული მოქმედებაა საჭირო. ახლანდელი ხელისუფლება ფეხბურთისგან განზე არ დგას, თუმც არაერთხელ უხეშად ჩაერია ფეხბურთის ფედერაციის საქმიანობაში...

ჩვენი რესპონდენტი აკაკი ასათიანია, ტრადიციონალისტთა კავშირისა და დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პარლამენტის (უზენაესი საბჭო) თავმჯდომარე. ასათიანი ფეხბურთის ქომაგია და ფეხბურთს კონცეფტუალურად უყურებს, ხელისუფლება კი ფეხბურთთან დაკავშირებით მის აზრებს არ იზიარებს.

აკაკი ასათიანს შარშანაც ჩამოვართვით ინტერვიუ. ბოლო ერთ წელიწადში არცთუ ცოტა რამ მოხდა ქართულ ფეხბურთში და სალაპარაკო მართლაც რომ გვქონდა, თუმცა ზოგად ასპექტებს მაინც ვერ ავუარეთ გვერდი...



# დანესდეს შეღავათები და ყველაფერი გამოსწორდება

## ქართულ ფეხბურთში სიტუაცია უკეთესობისკენ რომ შეიცვალოს, ათი წელია საჭირო

**- ბატონო აკაკი, დღეს ძალიან ბევრს ლაპარაკობენ ირაკლი ალასანიაზე. ხალხში გარკვეულწილად უკვე ჩამოყალიბდა ასეთი აზრი - ამ ხელისუფლებას ალასანია და ახალი ალიანსი შეცვლისო. შესაძლოა, ეს პრიმიტიული მსჯელობაა, მაგრამ მაინც, როგორ გგონიათ, თუ მართლა მოხდა ასეთი ცვლილება, ახალ ხელისუფლებას რა დამოკიდებულება ექნება ფეხბურთისადმი?**

- არ იქნება მიშა? მაშინ იქნება ალასანია - გეთანხმებით, ეს მართლაც პრიმიტიული დამოკიდებულებაა. რაც შეეხება ფეხბურთს, არ მგონია, ამ მხრივ პოლიტიკა ისე შეიცვალოს, როგორც ჩვენ გვინდა.

**- შესაძლოა, მაგრამ როდესლაც ხომ უნდა დადგეს ქართულ ფეხბურთში მნიშვნელოვანი ძვრების მომენტი?**

- ბრაზილიის ნაკრების ალმავლობა დაემთხვა იმ პერიოდს, როცა ქვეყანაში ძალიან მძიმე ეკონომიკური სიტუაცია იყო. ბრაზილიაში მაშინ 100 მილიონი კაცი ცხოვრობდა, დიდ ქვეყანაში ფეხბურთს შეუძლია ხელისუფლებისგან დამოუკიდებლად, სტიქიურად გამოძებნოს დიდი რესურსი ფეხბურთისთვის. არის ასეთი ნათქვამი: ღმერთმა გადაწყვიტა, ყველაზე კარგად ფეხბურთი ბრაზილიელებმა ითამაშონო და სხვა ხალხებმა უთხრეს - ჩვენ რა დავაშავეთო, ღმერთმა მათ უთხრა - ბრაზილიელებს კი ეყოლებათ საუკეთესო ფეხბურთელები, მაგრამ მათ ეყოლებათ ფეხბურთის ყველაზე ცუდი მმართველებიო. ახლა დაახლოებით ასეა ჩვენი საქმე, მაგრამ ჩვენ პატარა ქვეყანა ვართ და აქ არსებული ცუდი სიტუაცია ბუნებრივია უარყოფითად მოქმედებს ფეხბურთზეც. როგორ გგონიათ, რატომ დადის ბევრი ხალხი საქართველოს მორაგბეთა ნაკრების მატჩებზე? რაგბი ჯერ არ არის სახალხო სპორტი საქართველოში, მაგრამ ვინც რაგბიში მიდის, თავგანწირვისთვისაა განწყობილი - ყალთაბანდები რაგბის ვერ ითამაშებენ. ფეხბურთი კი იმდენად პროფესიულ დონეზეა ასული, რომ თუ სათანადო ატმოსფერო არ შეიქმნა, არაფერი გამოვა. ფეხბურთში წარმატების მიღწევა ძალიან ბევრ რამეზეა დამოკიდებული.

**- თქვენი ნება რომ იყოს, რას შეცვლიდით? რაში ხედავთ გამოსავალს?**

- პოლიტიკური ვითარების შეცვლა დიდი სტიმული იქნებოდა ქართული ფეხბურთისთვის. მხარს ვუჭერ ჩვენი ქვეყნის რეგიონული მოწყობის იდეას და თუ ეს განხორციელდა, ეროვნული ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში 10-12 ნორმალური გუნდი გვეყოლება. როცა იოჰან კრუიფი ბარსელონაში ჩავიდა, გაოცდა - ლამის ყოველი მატჩი ისტორიული პროცესების გამოძახილი იყო - კასტილია, კატალონია, გალისია, ანდალუსია... დაახლოებით იგივე ხდება საფრანგეთის თუ გერმანიის ჩემპიონატშიც, ყოველივე ეს კი აიძულებს ქვეყანას, რომ ფეხბურთი განვითარდეს. ჩვენთან კი რა ხდება - ქვეყნის პირველი პირი ნიშნავს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს, მერე მოჰყავთ უცხოელი მწვრთნელი, შედეგი კი მაინც არ არის.

**- ხელისუფლება იხდის ფულს ცნობილი უცხოელი მწვრთნელისთვის და რატომ უნდა თქვას ამაზე უარი ფეხბურთის ფედერაციამ? რატომ არ უნდა მიიღოს ფედერაციამ ასეთი ძღვენი?**

- ჟურნალისტების მიერ მოპოვებული კულუარული ინფორმაციით, კლაუს ტოპმიოლერის კონტრაქტი დაახლოებით სამი მილიონი დოლარი დაჯდა, ამას თუ დავუმატებთ კიდევ სამ მილიონს, მივიღებთ თანხას, რომლითაც ნორმალურ ეროვნულ ჩემპიონატს ჩავატარებთ ათი გუნდით - თითოეულს 600-600 ათასი დოლარი თუ შეხვდება, ჩვენი პირობებისთვის კარგი თანხა გამოვა. ამას დავუმატოთ შეღავათები იმ ბიზნესმენებზე, ვინც ფეხბურთში ჩადებს ფულს და მერწმუნეთ, ყველაფერი მნიშვნელოვნად გამოსწორდება.

**- რა შეღავათებზეა ლაპარაკი, როცა ხელისუფლებას თურქეთში თურგუთ ოზალის მიერ განხორციელებული რეფორმის მსგავსის გაგონებაც არ სურს?**

- გახსოვთ რა ბალანსი იყო 20 წლის წინ ქართულ და თურქულ ფეხბურთს შორის? საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის მეორე ლიგაში მოთამაშე ქართული გუნდი მოწინავე თურქულ გუნდს დაამარცხებდა, ახლა კი რა განსხვავებაა ქართულ და თურქულ ფეხბურთს შორის, კარგად მოგეხსენებათ. თურქული ფეხბურთი სწორედაც თურგუთ ოზალის რეფორმებით დაწინაურდა, რომლითაც ფეხბურთში მოსაქმე ბიზნესმენებს საგადასახადო შეღავათები დაუწესდათ.

**- რით ჰგავს პოლიტიკა სპორტს?**

- პოლიტიკა მართლაც ჰგავს სპორტს. პოლიტიკასა და სპორტში მთავარია შედეგი, ამით განისაზღვრება ყველაფერი, ნაკლებად გვაინტერესებს, რა პიროვნული თვისებების კაცია პოლიტიკოსი თუ ფეხბურთელი, ვინ როგორი კაცი იყო... ფეხბურთს შეუძლია, ბევრი პრობლემა გადაატანინოს ქვეყანას. არგენტინის ნაკრების წარმატებებიც ქვეყანაში შექმნილ ცუდ სიტუაციას დაემთხვა, გერმანიის ნაკრები კი პირველად 1954 წელს გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და წარმოიდგინეთ, რამხელა ამბავი იყო ეს მეორე მსოფლიო ომში წაგებული ქვეყნისთვის. ხომ გახსოვთ, რა მებრძოლი, გაუტეხელი ხასიათი გამოსჭვივოდა დასავლეთ გერმანიის ნაკრების ფეხბურთელებში? და რატომ იყო ასე? იმიტომ, რომ ისინი ომში დამარცხებული ქვეყნის შვილები იყვნენ, ახლა კი გერმანიას აღარ ჰყავს ისეთი ფეხბურთელები, რადგან ბუნდესნაკრებში ახლა უკვე მაძღარი ქვეყნის შვილები თამაშობენ. ეროვნულ ნაკრებში ფეხბურთელებს სილამაზის მიხედვით არ არჩევენ, მაგრამ დააკვირდით, ამა თუ იმ ქვეყნის ნაკრების ფეხბურთელები ჰიმნის შესრულებისას რომ ჩამწკრივდებიან, როგორ ეტყობათ ეროვნული იერი, კარგად ჩანს, როგორები არიან იტალიელები, ესპანელები... საქართველოს ნაკრების ფეხბურთელებიც კარგი ბიჭები არიან, მაგრამ მათ რომ ვუყურებ... აქ უნდა გავითვალისწინოთ ის, თუ რა პირობები იყო საქართველოში 90-ან წლებში. ფეხბურთელს არ ჰქონდა შხაპის მიღების საშუალებაც კი, აღარაფერს ვამბობ კარგ კვებაზე...

**- დრო გადის, მაგრამ ქართული ფეხბურთი წინ კი არა, უკან მიდის...**

- ხელისუფლება უნდა შეიცვალოს. თუ ვინმე სხვა გზას ხედავს ან მიამიტია, ან აწყობს ეს სიტუაცია. დღესვე უნდა შევუდგეთ საქმეს... მიმაჩნია, რომ ქართულ ფეხბურთში სიტუაცია უკეთესობისკენ მკვეთრად რომ შეიცვალოს, ათი წელია საჭირო. ეს კომპლექსური საკითხია, დაწყებული ბავშვთა ფეხბურთიდან და გაგრძელებული ეროვნული ჩემპიონატით.

**- ვინ მიგაჩნიათ იმ პოლიტიკურ ძალად, ხელისუფლებაში რომ მოვიდეს და ფეხბურთსაც რიგიანად მიხედოს?**

- ვეცდები, მე მოვიდე ხელისუფლებაში. მნიშვნელოვანი გეოპოლიტიკური მდგომარეობა უკვე ისედაც გვაქვს, ახლა საქართველომ ხელოვნებითა და სპორტით უნდა დაიმკვიდროს ადგილი...

დავით თავართქილაძე

ჩემპიონთა ლიგა 1/8 ფინალი. I მატჩები

**ინტერი-მანჩესტერ იუნ 0:0**

**ინტერი:** ჟულიო სეზარი - მაიკონი, რივასი (46. კორდობა), კივუ, სანტონი - კამბიასო - ხ. ძანეტი, მუნტარი (76. კრუსი) - სტანკოვიჩი - იბრაჰიმოვიჩი, ადრიანო (77. ბალოტელი).

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი - ო'ში, ფერდინანდი, ევანსი, ევრა - ფლეთჩერი, ქერიქი, გიგზი, ჟი-სუნ პარკი (84. რუნი) - კრისტიანო რონალდო - ბერბატოვი.

**მსაჯი:** ლუის მედინა კანტალეხო (ესპანეთი)

**მაყურებელი:** 79 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: მანჩესტერი
პირველი ჯარიმა: ინტერი
პირველი კუთხური: მანჩესტერი
პირველი გაფრთხილება: ინტერი

| | | |
|---|---|---|
| 12(2) | დარტყმა | 15(5) |
| 20 | ჯარიმა | 18 |
| 3 | კუთხური | 6 |
| 2 | თამაშგარე | 2 |
| 4 | გაფრთხილება | 2 |
| 51% | ბურთის ფლობა | 49% |

**ლიონი-ბარსელონა 1:1**

**ლიონი:** ლორისი - მენსა, ბუმსონგი, კრისი, გროსო - ტულალანი - ჟუნინიო (79. კალსტრიომი), მაკუნი - ედერსონი (64. ს. დელგადო), ა. კეიტა (88. პიანიჩი) - ბენზემა.

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი - დანიელ ალვეში, მარკესი, პიკე, პუიოლი - ჩავი, ი. ტურე, სერხი ბუსკეტსი (77. ს. კეიტა) - მესი, ეტო'ო, ანრი.

**გოლები:** 1:0 ჟუნინიო (7), 1:1 ანრი (67)

**მსაჯი:** ვოლფგანგ შტარკი (გერმანია)

**მაყურებელი:** 38 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ბარსელონა
პირველი ჯარიმა: ლიონი
პირველი კუთხური: ლიონი
პირველი გაფრთხილება: ლიონი

| | | |
|---|---|---|
| 13(4) | დარტყმა | 12(5) |
| 19 | ჯარიმა | 16 |
| 5 | კუთხური | 7 |
| 6 | თამაშგარე | 2 |
| 3 | გაფრთხილება | 3 |
| 40% | ბურთის ფლობა | 60% |

**ატლეტიკო-პორტუ 2:2**

**ატლეტიკო:** ლეო ფრანკო - სეიტარიდისი, პაბლო, უიფალუში, ანტონიო ლოპესი - პაულო ასუნსაო, რაულ გარსია (67. მანიშე) - მაქსი როდრიგესი (80. მიგელი), სიმაო - ფორლანი, აგუერო (56. სინამა-პონგოლე).

**პორტუ:** ჰელტონი - საპურანუ (79. პედრო ემანუელი), როლანდო, ბრუნო ალვეში, სისოხო - ფერნანდო - ლუჩო გონსალესი, რაულ მეირელესი (90. ტომაშ კოშტა) - ლისანდრო ლოპესი (90. სეკტიუი), ჰულკი, კრისტიან როდრიგესი.

**გოლები:** 1:0 მაქსი როდრიგესი (3), 1:1 ლისანდრო ლოპესი (22), 2:1 ფორლანი (45+2), 2:2 ლისანდრო ლოპესი (72)

**მსაჯი:** ჰოვარდ უები (ინგლისი)

**მაყურებელი:** 54 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: ატლეტიკო
პირველი ჯარიმა: ატლეტიკო
პირველი კუთხური: პორტუ
პირველი გაფრთხილება: ატლეტიკო

| | | |
|---|---|---|
| 13(4) | დარტყმა | 12(7) |
| 25 | ჯარიმა | 18 |
| 5 | კუთხური | 3 |
| 0 | თამაშგარე | 1 |
| 2 | გაფრთხილება | 2 |
| 53% | ბურთის ფლობა | 47% |

**არსენალი-რომა 1:0**

**არსენალი:** ალმუნია - სანია, გალასი, ტურე, კლიში - ებუე (82. რამზი), დენილსონი, დიაბი (62. სონგი), ნასრი - ბენდტნერი (67. ველა), ვან პერსი.

**რომა:** დონი - მ. მოტა, ლორია (71. დიამუტენი), მექსე, რიისე - დე როსი - ტადეი, ბრიგი (57. დ. პისარო) - პეროტა - ტოტი, ჟულიო ბაპტიშტა (82. ვუჩინიჩი).

**გოლი:** 1:0 ვან პერსი (37-პენ)

**მსაჯი:** კლაუს ბო ლარსენი (დანია)

**მაყურებელი:** 58 000

სტატისტიკა

მატჩი დაიწყო: რომა
პირველი ჯარიმა: არსენალი
პირველი კუთხური: რომა
პირველი გაფრთხილება: რომა

| | | |
|---|---|---|
| 15 (3) | დარტყმა | 6 (1) |
| 16 | ჯარიმა | 12 |
| 2 | კუთხური | 1 |
| 5 | თამაშგარე | 4 |
| 2 | გაფრთხილება | 3 |
| 55% | ბურთის ფლობა | 45% |



არსენალი-რომა 1:0

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები

# რანიერისა და ბენიტესის დიდი დაბრუნება

## სტივ ჯერარდი მადრიდში სათამაშოდ მზადაა



შეიძლება, რაფა ბენიტესმა მადრიდში სტივ ჯერარდიც ათამაშოს

### ჩელსი-იუვენტუსი

„იუვენტუსის" თავკაცი **კლაუდიო რანიერი** იმ გუნდის დამარცხებას შეეცდება, რომელსაც ოთხი წლის განმავლობაში (2000-04) ხელმძღვანელობდა. 2004 წელს, დათხოვნამდე ცოტა ხნით ადრე, რანიერიმ „ჩელსი" (პირველად კლუბის ისტორიაში) ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალში გაიყვანა. ორი მატჩის ჯამში „არისტოკრატებმა" „მონაკოსთან" 5:3 წააგეს.

ჩემპიონთა ლიგაში „ჩელსის" 15-მატჩიანი წაუგებელი საშინაო სერია აქვს. ის "სტემფორდ ბრიჯზე" ბოლოს 2006 წლის თებერვალში, „ბარსელონასთან" დამარცხდა (1:2). საუცხოო ფორმაშია ფრანგი თავდამსხმელი **ნიკოლა ანელკა**. მან ამ სეზონში (ყველა ტურნირზე) 21 გოლი შეაგდო.

ანელკას მხარდამხარ ითამაშებს **დიდიე დროგბა**. ლონდონელთა ყოფილი თავკაცი **ლუიშ ფელიპე სკოლარი** დროგბას არ სწყალობდა. მის დროს კოტდივუარელი თავდამსხმელი თადარიგში იჯდა. ბრაზილიელი, როგორც წესი, ერთი ფორვარდით თამაშობდა. ის ამბობდა, რომ ორი თავდამსხმელის დაყენების შემთხვევაში, ნახევარდაცვას პრობლემები შეექმნებოდა.

სკოლარისაგან განსხვავებით, **გუუს ჰიდინკი** ორ თავდამსხმელს იყენებს. ანელკასა და დროგბას დუეტმა „უოტფორდსა" და „ასტონ ვილასთან" შთამბეჭდავად ითამაშა. როდესაც ბურთი მეტოქეს ჰქონდა, ფორვარდები მის ასართმევად თავდაუზოგავად იბრძოდნენ. ჰიდინკს მიაჩნია, რომ თავდასხმა ამავე დროს თავდაცვის პირველი ხაზია და რომ თავდამსხმელების თამაში მხოლოდ მაშინ ჩაითვლება ეფექტურად, თუ ისინი მცველის მოვალეობასაც რიგიანად შეასრულებენ.

რანიერის იმედი აქვს, რომ ლონდონელი გულშემატკივარი თბილად მიიღებს. მისი მოღვაწეობისას გუნდმა მნიშვნელოვანი ტიტულები ვერ მოიპოვა, მაგრამ იტალიელი სპეციალისტი მაინც საკმაოდ პოპულარულია. აი, რა კომენტარი გააკეთა რანიერიმ ლონდონში გამგზავრების წინ: *„ჩელსიმ" დაამტკიცა, რომ დიდი გუნდია. მან ჩემპიონთა თასი ერთი გაცუდებული 11-მეტრიანის გამო დაკარგა. ვფიქრობ, მეტოქე ფავორიტია, მაგრამ ჩვენ მაინც გამარჯვებას შევეცდებით."*

შაბათს, „პალერმოსთან" კალენდარული მატჩისას (2:0), რანიერიმ **ალესანდრო დელ პიერო** დაასვენა. „ჩელსის" წინააღმდეგ კაპიტანი ძირითად შემადგენლობაში ითამაშებს. მას ბრაზილიელი თავდამსხმელი **ამაური** გაუწევს პარტნიორობას. ამ უკანასკნელმა სიცილიელებთან შეცვლაზე ითამაშა და **დავიდ ტრეზეგეს** საგოლე პასი გაუკეთა. ტრეზეგემ ეს-ესაა მუხლის ტრავმა მოიშუშა. იტალიელი მიმომხილველების ვარაუდით, ის ლონდონში თადარიგში ეყოლებათ.

„იუვენტუსის" სასტარტო შემადგენლობაში ითამაშებს პორტუგალიელი ნახევარმცველი **ტიაგო**, რომელიც ტურინულ გრანდში „ჩელსიდან" გადავიდა. მოედნის ცენტრში ვიხილავთ „ლივერპულის" ყოფილ ვარსკვლავს **მომო სისოკოსაც**, რომელმაც შაბათს „პალერმოს" საუცხოო გოლი გაუტანა. იმასაც შეგახსენებთ, რომ „იუვენტუსმა" სერია A-ში ჩატარებული ბოლო ხუთი მატჩიდან მხოლოდ ორი მოიგო და ცხრილში მეორე ადგილი უკავია. მას ლიდერი „ინტერისაგან" ცხრა ქულა ჰყოფს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ჩელსი:** ჩეხი, ბოსინგვა, ტერი, ალექსი, ეშლი კოული, ობი მიკელი, ლემპარდი, ბალაკი, კალუ, ანელკა, დროგბა.

**იუვენტუსი:** ბუფონი, მელბერგი, ლეგროტალიე, კიელინი, მოლინარო, კამორანეზი, სისოკო, ტიაგო, ნედვედი, დელ პიერო, ამაური.

**არბიტრი:** ოლეგარიო ბენკერენკა (პორტუგალია)

### რეალი-ლივერპული

„რეალი" „ლივერპულს" ბოლოს 1981 წლის ჩემპიონთა თასის ფინალში შეხვდა. 28 წლის წინანდელ მატჩში მერსისაიდელებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს. „ლივერპულის" თავკაცი **რაფა ბენიტესი** მადრიდელია. ის „რეალში" 1973 წლის ზაფხულში ჩაირიცხა. მან სამეფო კლუბის ახალგაზრდულ და სათადარიგო გუნდებში შვიდი სეზონი გაატარა, შემდეგ მძიმე ტრავმა მიიღო და ნაადრევად დაასრულა კარიერა.

ბენიტესი „რეალში" 1986 წელს დაბრუნდა. ის ახალგაზრდული გუნდის მთავარი მწვრთნელი გახდა. შემდეგ რაფას მადრიდელთა მეორე შემადგენლობა ჩააბარეს, ხოლო 1993-94 წლებში, დროებით, 11 მატჩის განმავლობაში, „რეალის" მეორე მწვრთნელის თანამდებობაც ეკავა. ის **ვისენტე დელ ბოსკეს** თანაშემწე იყო.

ბენიტესის გარდა, „ლივერპულს" კიდევ ერთი ყოფილი მადრიდელი ჰყავს. **ალვარო არბელოაზე** მოგახსენებთ. მან „რეალში" სამი სეზონი გაატარა. მისი მადრიდული კარიერის ზენიტი 2004-05 წლების სეზონში პრიმერა დივიზიონში ჩატარებული ორი მატჩი გახლდათ.

მოგეხსენებათ, „ლივერპულს" ხუთი ესპანელი ლეგიონერი ჰყავს: არბელოა, **ჩაბი ალონსო, პეპე რეინა, ალბერტ რიერა** და **ფერნანდო ტორესი**. ტორესი „რეალის" მოსისხლე მტრის, „ატლეტიკოს" ყოფილი ვარსკვლავია.

„რეალის" თადარიგში ლივერპულელთა ყოფილ ვარსკვლავ **იერჟი დუდეკს** ვიხილავთ. პოლონელი მეკარე 2005 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალის გმირია. „მილანთან" მატჩის შემდეგ დანიშნული 11-მეტრიანების სერიაში მან **ანდრეი შევჩენკოს** პენალტი მოიგერია, რითაც სამუდამოდ დაიმკვიდრა ადგილი „ლივერპულის" სახელოვან ისტორიაში.

სტატისტიკის მოყვარულებს იმასაც შევახსენებთ, რომ „ლივერპული" ბოლო ხუთ სეზონში მეოთხედ შეეცდება ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში გასვლას, „რეალმა" კი მეოთხედფინალის საგზური უკანასკნელად შორეულ 2004 წელს მოიპოვა.

და კიდევ, **რაულს** ორი გოლიღა აშორებს **გერდ მიულერის** რეკორდისაგან. გერმანელ ლეგენდას ევროტურნირებზე (ჩემპიონთა თასზე, თასების თასსა და უეფას თასზე) 66 გოლი აქვს გატანილი. რაულის ანგარიშზე უკვე 64 გოლია. აღსანიშნავია, რომ გონსალეს ბლანკომ უკლებლივ ყველა გოლი ჩემპიონთა ლიგაში შეაგდო.

დავუბრუნდეთ დღევანდელ მატჩს. „რეალი" საუცხოო ფორმაშია. მან პრიმერა დივიზიონში ზედიზედ ცხრა მატჩი მოიგო, ამ ხნის განმავლობაში 22 გოლი გაიტანა (მათ შორის, 10 გოლი ბოლო ორ ტურში ) და მხოლოდ ორი გაუშვა. მადრიდელებმა „ბარსელონასთან" სხვაობა შვიდ ქულამდე დაიყვანეს. **ხუანდე რამოსი** ჩინებულად მუშაობს. სენიორ რამოსი ბენიტესს ბოლოჯერ გასული სეზონის ბოლო ტურში შეხვდა. მისმა იმჟამინდელმა კლუბმა, „ტოტენჰემმა" „ლივერპულს" უმასპინძლა და 0:2 წააგო.

„ლივერპულს" საქმე ცუდად მისდის. პრემიერლიგაში მისი სატურნირო მდგომარეობა ტურიდან ტურამდე უარესდება. მერსისაიდელები „მანჩესტერ იუნაიტედს" უკვე შვიდი ქულით ჩამორჩებიან. გასულ უქმეებზე „მანჩესტერ სიტისთან" 1:1 მეექვსე ფრე იყო, რომელიც მერსისაიდელებმა ამ სეზონში „ენფილდ როუდზე" ითამაშეს. „მარკასთან" ინტერვიუში რამოსმა ხუმრობით შენიშნა - ჩემპიონთა ლიგის კენჭისყრის შემდეგ, ჩვენი და „ლივერპულის" თამაშის ხარისხი მკვეთრად შეიცვალა, ჩვენი უკეთესობისაკენ, მეტოქის კი უარესობისკენო.

რაფა ბენიტესმა **სტივ ჯერარდი** მადრიდში წაიყვანა. ინგლისელთა კაპიტანს მუხლის ტრავმის გამო სამი კვირა გაუცდა. გუშინ საღამოს მისი თამაშის საკითხი ჯერ კიდევ არ იყო გადაწყვეტილი. ბენიტესი ექიმების რეკომენდაციას ელოდება.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**რეალი:** კასილიასი, რამოსი, პეპე, ფაბიო კანავარო, ჰაინცე, რობენი, გაგო, დიარა, სნეიდერი, რაული, იგუაინი.

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგერი, შკრტელი, დოსენა, მასკერანო, ჩაბი ალონსო, რიერა, ჯერარდი, კუიტი, ფერნანდო ტორესი.

**არბიტრი:** რობერტო როსეტი (იტალია)

### სპორტინგი-ბაიერნი

„ბაიერნში" კრიზისი მძვინვარებს. ზამთრის არდადეგების შემდეგ მიუნხენურმა გიგანტმა ოთხიდან სამი თამაში წააგო (სულ ამ სეზონში ხუთი წაგება დაუგროვდა) და ცხრილში მეოთხე ადგილამდე დაქვეითდა. მას 21 ტურის შემდეგ 38 ქულა აქვს, რაც ძალიან ცოტაა. ბოლო ტურში ბავარიელები შინ „კიოლნთან" დამარცხდნენ (1:2).

ამასობაში, „სპორტინგმა" პორტუგალიური ფეხბურთის ერთ-ერთ გრანდს, „ბენფიკას" სძლია (3:2). გუნდის ახალგაზრდა თავკაცმა **პაულუ ბენტუმ** „სპორტინგის" მთავარი მწვრთნელის რანგში მე-100 მატჩი ჩაატარა. მისი შეგირდები 18 ტურში დაგროვებული 34 ქულით მესამე ადგილზე იმყოფებიან.

„ბაიერნმა" ჩემპიონთა ლიგის საშემოდგომო ეტაპი შთამბეჭდავად ჩაატარა. მიუნხენელებმა ჯგუფის ექვს მატჩში 14 ქულა დააგროვეს (ოთხი მოგება, ორი ფრე), **მიროსლავ კლოზემ** ყველაზე მეტი გოლი გაიტანა, ხოლო **ფრანკ რიბერიმ** ყველაზე მეტი შედეგიანი გადაცემა მიითვალა.

„ბაიერნი" „სპორტინგს" 2006-07 წლების ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირშიც შეხვდა. ლისაბონში სტუმრებმა მინიმალური ანგარიშით გაიმარჯვეს, მიუნხენში კი უგოლო ფრე დაფიქსირდა. ევროტურნირებში ბავარიელებს პორტუგალიურ კლუბებთან 20 მატჩი აქვთ ჩატარებული. სტატისტიკა ასეთია: 11 მოგება, რვა ფრე და მხოლოდ ერთი წაგება (1986-87 წლების სეზონში „პორტუსთან").

რაც შეეხება დღევანდელ მატჩს, „სპორტინგს" **ელდერ პოშტიგა** ჰყავს დაშავებული. მისი თამაში საეჭვოა. მასპინძლებს სხვა საკადრო პრობლემებიც აქვთ. მცირე ტრავმები აწუხებთ **მიგელ ველოსოსა** და **რუი პატრისიუს**. ამიტომ მათი ასპარეზობაც კითხვის ნიშნის ქვეშ დგას.

პრობლემებია ბავარიელთა ბანაკშიც. **ლუკა ტონი** ტრავმას იმუშებს. „ბაიერნის" ექიმების აზრით, მან დღეს ლისაბონში უპრობლემოდ უნდა ითამაშოს. „კიოლნთან" შეხვედრაში **იურგენ კლინსმანმა ლუსიუ** დაასვენა. დღეს ბრაზილიელ ლეგიონერს კვლავ ძირითად შემადგენლობაში ვიხილავთ.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**სპორტინგი:** ტიაგო, პედრო სილვა, ტონელი, ანდერსონ პოლგა, გრიმი, როშემბაკი, იზმაილოვი, ვუკჩევიჩი, ჟოაო მუტინიო, ლიდსონი, დერლეი.

**ბაიერნი:** რენზინგი, ოდო, ლუსიო, დემიკელისი, ლამი, ვან ბომელი, ზე რობერტო, ალთინთოფი, რიბერი, კლოზე, ტონი.

**არბიტრი:** ბერტრან ლაიეკი (საფრანგეთი)

### ვილიარეალი-პანათინაიკოსი

„ვილიარეალი" ჩემპიონთა ლიგაში მეორედ ასპარეზობს და მეორედაც უპრობლემოდ მოახერხა პლეი ოფში გაღწევა. სადებიუტო 2005-06 წლების სეზონში „ყვითელმა სუბმარინებმა" ნახევარფინალში გააღწიეს. ისინი დრამატულ მატჩში „არსენალთან" დამარცხდნენ.

„ვილიარეალმა" ჩემპიონთა ლიგაში სულ 18 მატჩი ჩაატარა. მან მხოლოდ ხუთი მოიგო და მხოლოდ სამი მარცხი იწვნია. ესპანელებმა შეხვედრების აბსოლუტური უმრავლესობა ფრედ დაასრულეს. აღსანიშნავია ისიც, რომ „ვილიარეალმა" შინ, „ელ მადრიგალზე" ჩატარებული ცხრა შეხვედრიდან ექვსში გოლი არ გაუშვა და ჯერჯერობით, მხოლოდ ერთმა გუნდმა მოახერხა მათ მშობლიურ არენაზე ერთზე მეტი გოლის გატანა (დანიურმა „ოლბორგმა", რომელსაც „ვილიარეალმა" 6:3 მოუგო).

„პანათინაიკოსი" მიმდინარე სეზონს უსახურად ატარებს. საბერძნეთის ჩემპიონატში ის დაუძინებელ მტერ „ოლიმპიაკოსს" 12 ქულით ჩამორჩება. „პანათინაიკოსმა" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში თავი ისახელა და პირველი ადგილი დაიკავა. მან თვით მილანის „ინტერს" გაუსწრო, რის გამოც ეს უკანასკნელი „მანჩესტერ იუნაიტედს" გადაეყარა.

„პანათინაიკოსს" ესპანეთში სტუმრობა ცუდად აქვს დაცდილი. თავად განსაჯეთ: ჩემპიონთა ლიგაში თამაშისას, ის ესპანეთს ექვსჯერ ეწვია და ექვსჯერვე წააგო, ამ თამაშებში ორი გოლი გაიტანა და 15 გაუშვა. მიმომხილველთა ვარაუდით, ბერძნები ამ წყვილშიც უიმედო აუტსაიდერები არიან. თუმცა „პანათინაიკოსის" გულშემატკივრები მაინც ოპტიმისტურად არიან.

„ვილიარეალის" თავდამსხმელი **ნიჰათი** ფრთხილობს. ის ჟურნალისტებს შეახსენებს, რომ „პანათინაიკოსმა" ჯგუფში თვით „ინტერს" გაასწრო. ნიჰათი ვარაუდობს, რომ მისი გუნდის მცველებს დიდი ჯაფა დაადგებათ. ამიტომ კარის უსაფრთხოებაზე ზრუნვა თავდამსხმელებსაც მოუწევთ.

ბერძნების განაცხადშია ცენტრალური მცველი **ლუკას ვინტრა**, რომელმაც მუხლის ტრავმა მოიშუშა. „პანათინაიკოსის" თავკაცი **ჰენკ თენ კეიტი** მას ძირითადში დაყენებას უპირებს.

#### სავარაუდო შემადგენლობები

**ვილიარეალი:** დიეგო ლოპესი, ხავი ვენტა, გოდინი, ფუენტესი, ბრუნო, სენა, ეგურენი, კასორლა, პირესი, როსი, ლორენტე.

**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, სარიეგი, გუმასი, სიმაო, სპიროპულოსი, ჟილბერტო, კარაგუნისი, ივანშიტცი, ნილსონი, სალპინგიდისი, მანციოსი.

**არბიტრი:** კონრად პლაუტცი (ავსტრია)

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრაგმენტი წარსულიდან

# დიდი მამელუქის თეთრი წარსული

## რაფა ბენიტესი შინ ბრუნდება

დღეს დიდი მატჩია, ძალიან დიდი, შეიძლება იმაზე ბევრად დიდიც კი ვიდრე ჩვენ წარმოგვიდგენია. „რეალი"-„ლივერპული", ნეტავ იმას, ვინც ამ შეხვედრას სტადიონზე ნახავს, მაგრამ ჩვენ იმდენი მაინც უნდა მოვახერხოთ, რომ ამ მართლაც დიდ დაპირისპირებას ნამდვილ საფეხბურთო გარემოში ვუყუროთ. საათ-ნახევრით ყველაფერი უნდა გადავდოთ და გრანდების დაუვიწყარი ბრძოლის მოლოდინში გავირინდოთ. „რეალი"-„ლივერპული" - ამით ყველაფერია ნათქვამი, მაგრამ ერთი ადამიანის გათვალისწინებით ესპანური და ინგლისური გიგანტების დაპირისპირება განსაკუთრებულ ელფერს იძენს. **რაფა ბენიტესი** შინ ბრუნდება!

ბენიტესი 1960 წლის 16 აპრილს დაიბადა. ამ ადამიანს სამეფო კლუბთან მრავალფეროვანი ცხოვრების 20 წელი აკავშირებს. მადრიდულ კლუბში 1974 წელს, ჯერ კიდევ 13 წლის ასაკში მოხვდა. მადრიდული კლუბის საყმაწვილო სკოლის სკაუტებმა ის ეგრეთ წოდებულ თებერვლის სოციალურ ტურნირში აღმოაჩინეს და უმალ თავისთან წაიყვანეს. სკაუტებმა მასში ტექნიკური და ფიზიკურად არაჩვეულებრივად განვითარებული ბავშვი დაინახეს. 1974 წელს საყმაწვილო კლუბ „კასტილიაში" ასპარეზობდა. მომდევნო სეზონიდან ის რანგით უფრო მაღალ გუნდში, ეგრეთ წოდებულ კატეგორიაში გადაიყვანეს, რასაც მალე B კატეგორია მოჰყვა. ბენიტესი საოცნებო A კატეგორიის ახალგაზრდულ კოლექტივში 1977/78 წლების სეზონში აღმოჩნდა. აქედან „რეალის" სათადარიგო გუნდამდე რამდენიმე ნაბიჯიღა იყო. აღსანიშნავია, რომ სენიორ რაფამ „ოვიედოს" საუნივერსიტეტო გუნდშიც მოასწრო თამაში, მაგრამ ეს მისთვის დიდი ვერაფერი შვება იყო. ბენიტესმა ყველაზე დიდი ოცნება ვერ აისრულა, მან სამეფო კლუბის ძირითად კოლექტივში ვერ ითამაშა. 80-იანი წლების დასაწყისში „ლივერპულის" მთავარი მწვრთნელი მოკრძალებული შესაძლებლობების მქონე კლუბში, „პარლაში" გაანათხოვრეს. ბატონი რაფა ყოველდღე „რეალში" დაბრუნებაზე ოცნებობდა, მაგრამ ეს ოცნება 1984 წლის 30 ივნისს საბოლოოდ მოკვდა. მას სამეფო კლუბთან გაფორმებული კონტრაქტი ამოეწურა, ხელმძღვანელობამ კი თანამშრომლობის გახანგრძლივება აღარ ისურვა. ბენიტესმა საფეხბურთო კარიერა ისე დაასრულა, რომ უკან დაბრუნების რეალური შანსი არ მისცემია.

თუმცა „რეალმა" ბენიტესი მაინც მიიღო, ოღონდ მწვრთნელის რანგში. 26 წლის ბიჭს „კასტილია B" ჩააბარეს. ეს ფაქტი იმ წუთიდან ზუსტად ერთი წლისთავზე მოხდა, როცა იმედგაცრუებულმა ფეხბურთელმა ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდა. უნდა აღინიშნოს, რომ სენიორ რაფაელს „რეალის" საყმაწვილო ფეხბურთში დიდი წარმატებები ჰქონდა. 1989/90 წლებში მან ახალგაზრდული ჩემპიონატი ყველა დროის ყველაზე ახალგაზრდა შემადგენლობით მოიგო. „პეგასოსთან" გადამწყვეტ შეხვედრაში ბენიტესსა და მის ბიჭებს უმძიმესი ბრძოლა გადახდათ. ესპანელი ექსპერტები გვარწმუნებენ, რომ ის თამაში ახალგაზრდული ფეხბურთის ქრესტომათიად იქცა. 1990/91 წლების სეზონში ბენიტესი დააწინაურეს და „რეალ მადრიდ A" ანდეს. 19-წლამდელ ბიჭებთან ერთად ბატონმა რაფამ ესპანეთის ჩემპიონატში გაიმარჯვა. ორჯერ კი ქვეყნის თასი დაისაკუთრა. 1993 წელს ის სამეფო კლუბის სათადარიგო გუნდის მთავარ მწვრთნელად დანიშნეს. ბენიტესმა **გარსია რემონის** პოსტი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ **რაულმა** და **გუტიმ** სწორედ „ლივერპულის" არაჩვეულებრივი მწვრთნელის სკოლა გამოიარეს. სეგუნდა დივიზიონში მან საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწია. 1995/96 წლების სეზონში „რეალის" სათადარიგო გუნდი მერვე ადგილზე გავიდა. შეუპოვარი რაფაელ ბენიტესის ოცნება, რომელიც ძირითად გუნდში მოხვედრას უკავშირდებოდა, აუხდენელი დარჩა, მაგრამ „სანტიაგო ბერნაბეუზე" ფეხის შედგმის საშუალება მაინც მიეცა. სეზონის დასრულებამდე 11 ტურით ადრე წარუმატებელი შედეგების გამო ხელმძღვანელობამ **ბენიტო ფლორო** თანამდებობიდან დაითხოვა და გუნდი **ვისენტე დელ ბოსკეს** პირველობის დასრულებამდე გადაულოცა. შემდგომში მადრიდული გრანდის ერთ-ერთმა ყველაზე წარმატებულმა მწვრთნელმა თანაშემწედ სწორედ რაფა ბენიტესი მიიწვია. ამის შემდეგ სენიორ რაფაელი სიღრმისეულად დაფიქრდა და გადაწყვიტა, ნიჭის გამოსავლენად სხვა ასპარეზი მოენახა. 1995 წელს „ვალიადოლიდთან" კონტრაქტის გაფორმებით მან სამეფო კლუბში თითქმის 21-წლიანი მოღვაწეობა დაასრულა. ამ ადამიანის შემდგომ მიღწევებზე საუბრით თავს აღარ შეგაწყენთ. „ვალენსიასთან" ერთად მან პრიმერა დივიზიონში გაიმარჯვა, „ლივერპულს" კი ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა.

**ილია ნიკოლაიშვილი**


Nombre y apellidos BENITEZ MAUDES Rafael
Apodo
Estado soltero Nació el 16 de Abril de 1.960
Natural de MADRID Provincia de ----
Nombre de los padres Francisco y Mª Rosario
Nombre y apellidos de la esposa ----
Profesión estudiante Club de que procede Torn. Social
DOMICILIOS
En Madrid Teléfono
Otros Residencia Universitaria - Oviedo (Tfno. 233450)
Veranea en
CARNET DE IDENTIDAD
Número:
Lugar:
F/Expedición:
MATRICULA DEL COCHE Y MARCA
Marca:
Matrícula:
FECHA DE INGRESO
Febrero 1.974
FECHA DE BAJA
30-6-84
HISTORIAL
1973 Inft. Castil
1974
1975 AFICIONADO

რაფა ბენიტესის ისტორიიდან

მანჩესტერ სიტი



# თურმე, რობინიო და ბელამი ხულიგნობენ

## ვინ იგონებს ასეთ ჭორებს?

„მანჩესტერ სიტიში" სიტუაცია დაძაბულიაო, წერს ბრიტანული პრესა. გაზეთების მტკიცებით, გუნდის წარუმატებელ თამაშს ისიც ემატება, რომ ისედაც ნერვულ სიტუაციას კიდევ უფრო ძაბავენ გუნდის მთავარი ვარსკვლავები, **რობინიო** და **ბელამი**. „ნიუს ოფ ზე ვორლდის" ცნობით, აღნიშნული ფეხბურთელები ვარჯიშებზეც კი არავის ერიდებიან და ხშირად არანორმატიულ ლექსიკას იყენებენ, ხოლო გასახდელში რამდენჯერმე საქმე ხელჩართულ ჩხუბამდეც კი მისულა. ამასთან, ფეხბურთელთა უმრავლესობა თურმე კრეიგ ბელამის მხარეს იჭერს, რადგან მათი აზრით, ბრაზილიელი ძალზე გამომწვევად იქცევა და თანაგუნდელებს ზემოდან უყურებს. მისი „მომხრეების" ბანაკში კი ერთადერთი ფეხბურთელია, მისივე თანამემამულე **ელანო ბლუმერი**. თუკი გავითვალისწინებთ, რომ ბელამის არც „სიტიმდე" ჰქონდა მაინცდამაინც გადასარევი რეპუტაცია, პირიქით, ის ერთობ დიდი სტაჟის მქონე ჩხუბისთავადა ცნობილი, არ არის გამორიცხული, ინფორმაცია რეალური იყოს.

აღნიშნული ინფორმაცია კატეგორიულად უარყო თავად უელსელმა ფეხბურთელმა. ის „სქაი სპორტსის" ჟურნალისტს გაესაუბრა, ვისაც შემდეგი რამ განუცხადა: *„ჩემთვის ეს ამბავი ცნობილი არ იყო. გაზეთები სარგებლობენ ჩემი შელახული იმიჯით და ათასგვარ სისულელეს მიგონებენ. სწორედ ამიტომ არის, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში 14 გაზეთს ვუჩივლე. ამჯერად ამას სწორედ ის გამოცემა აკეთებს, რომელსაც უკვე სამჯერ ვუჩივლე... ეტყობა, კიდევ ერთხელ მომიწევს მათთან საქმის დაჭერა. სამწუხაროდ, გაუგებრობა და თავის მართლება ჩემი ცხოვრების უცვლელ თანამგზავრად იქცა".*

**შალვა ბიბილაშვილი**

ფეიენოორდი

# მაკაი კარიერას ფეიეში დაასრულებს

## მორიგი სასჯელი როტერდამელთათვის

„ფეიენოორდის" ვეტერანმა თავდამსხმელმა **როი მაკაიმ** გადაწყვიტა, კარიერის ბოლომდე ამ კლუბში დარჩეს. *„ჩემს ხელშეკრულებას კლუბთან ვადა 2010 წლის ივლისში გასდის. არ მინდა „ფეიენოორდის" დატოვება, მით უფრო წარუმატებელი სეზონის შემდეგ. ასეთი საქციელი ჩემს სტილში არ არის. როტერდამში თავს მშვენივრად ვგრძნობ და არც კლუბში მაწუხებს რაიმე პრობლემა. ერთი სული მაქვს, ახალი სეზონი დაიწყოს და გუნდი მარიო ბეენმა ჩაიბაროს. არ შემიძლია აღფრთოვანება არ გამოვხატო იმ წარმატებებით, რომელსაც მან „ნაიმეგენში" მიაღწია. მარიოზე მხოლოდ დადებითი დახასიათება მესმის. ის, რომ მომავალ წელს მისი შეგირდი უნდა გავხდე, ძალზე სასიამოვნოა. მისმა მოსვლამ გუნდს შინაგანი სიმშვიდე უნდა მოუტანოს. მიმდინარე სეზონი საბოლოოდ ჩავაგდეთ - წავაგეთ ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა წაგვეგო. დროა, მხოლოდ და მხოლოდ მომავალზე ვიფიქროთ. იმედია, იმდენს მაინც მოვახერხებთ, რომ უეფას თასის საგზურს მოვიპოვებთ,"* - განაცხადა ჰოლანდიის ნაკრების ყოფილმა თავდამსხმელმა.

„ფეიენოორდის" მეორე ვეტერანი **იონ დალ ტომასონი** გამოტყდა, რომ მას არ აკვირვებს მისი კლუბის კოშმარული შედეგები. *„გუნდს შემადგენლობაში უამრავი ახალგაზრდა ფეხბურთელი ჰყავს. ხანდახან ისინი თამაშს უმაღლეს დონეზე ატარებენ, ხანდახან კი... მთელი სეზონის უმაღლეს დონეზე ჩასატარებლად სტაბილურობა არ ჰყოფნით. ახალგაზრდები ჯერაც იზრდებიან როგორც პროფესიონალები და მათი დადანაშაულება წარუმატებლობებში არ შეიძლება. თუკი გულწრფელად გაინტერესებთ ჩემი აზრი, გეტყვით, რომ მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა ასეთი შემადგენლობით შეუძლებელია. არ მიკვირს, რომ სერიოზული შედეგები არ გვაქვს. გაითვალისწინეთ, რომ უამრავი ტრავმირებული გვყავს. გუნდს კვალიფიციური ფეხბურთელები აშკარად არ ჰყოფნის იმისთვის, რომ დაშავებულები სათანადოდ შევცვალოთ. ჩვენ არ ვართ „ჩელსი" და „მილანი,"* - განუცხადა ჟურნალისტებს ფეხბურთელმა.

უეფამ „ფეიენოორდის" წინააღმდეგ მკაცრი სანქციები დააწესა. ჰოლანდიური გრანდი ევროთასებზე მომდევნო შეხვედრას ნაწილობრივ ცარიელი ტრიბუნების წინაშე ჩაატარებს - დაიხურება სტადიონის ორი ტრიბუნა „სტადიონტრიბუნე" და „ოლიმპიატრიბუნე". ამასთან, კლუბი სოლიდურ ჯარიმას - 50 ათას ევროსაც გადაიხდის. მორიგი ინციდენტი „ფეიენოორდის" გულშემატკივართა მონაწილეობით გასული წლის 17 დეკემბერს, პოლონურ „ლეხთან" თამაშისას მოხდა. თამაშის მიმდინარეობისას, „დე კუიპის" ორ ტრიბუნაზე არეულობა დაიწყო, ამასთან, ფანებმა გამოიყენეს აკრძალული პიროტექნიკური საშუალებები, რომლებსაც მინდორზეც ისროდნენ. ზოგადად „ფეიენოორდს" ბრალად წაუყენეს თამაშის არასათანადო ორგანიზება. ყველაფერთან ერთად კლუბს დაევალა უსაფრთხოების ზომების გაძლიერება. ჰოლანდიელებს უეფას გადაწყვეტილების გასაჩივრება ოფიციალური შეტყობინების მიღებიდან სამ დღეში შეუძლიათ. შეგახსენებთ, რომ შეხვედრა სტუმრებმა მინიმალური სხვაობით 1:0 გაიმარჯვეს. ვაიგულშემატკივართა აღშფოთება იმან გამოიწვია, რომ აღნიშნული შეხვედრა როტერდამელთათვის ზედიზედ მესამე საშინაო მარცხი აღმოჩნდა.



**შალვა ბიბილაშვილი**

ამბები

### ოუენს ოპერაციას გაუკეთებენ

„ნიუკასლის" კაპიტანი **მაიკლ ოუენი** მკურნალობას განაგრძობს. ჯერ კიდევ იანვარში მან „მანჩესტერ სიტის" წინააღმდეგ შეხვედრისას მუხლის ტრავმა მიიღო. თითქოს უკვე მწყობრში უნდა ჩამდგარიყო და მსუბუქი ვარჯიში განეახლებინა, მაგრამ ახლა ექიმებმა საზარდულის პრობლემა აღმოაჩინეს და ოპერაციის დღე დანიშნეს. „ოუენის საბოლოო გამოჯანმრთელების ვადას საზარდულის ოპერაცია არ გადასწევს. მაიკლი ძუნძულს უკვე ერთ კვირაში შეუდგება," - განუცხადა პრესას „კაჭკაჭების" დროებითმა დამრიგებელმა **კრის ჰიუგტონმა**.

### სისეს დარჩენა უნდა

„მარსელისა" და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელი **ჯიბრილ სისე** ერთწლიანი არენდით „სანდერლენდში" ასპარეზობს. ფეხბურთელის განცხადებით, ის სიამოვნებით გააფორმებს სრულფასოვან კონტრაქტს „შავ კატებთან", თუკი ინგლისელები მისი ხელშეკრულების გამოსყიდვას მოისურვებენ. საიჯარო კონტრაქტში მითითებულია, რომ 27 წლის ფეხბურთელის შესაძენად 10 მილიონი გირვანქის გადახდაა საჭირო.

### გალათასარაიმ სქიბე დაიფრინა

„გალათასარაის" ხელმძღვანელობას ყელში ამოუვიდა გერმანელი **მიხაელ სკიბეს** ცუდი მუშაობა და გუშინ მთავარი მწვრთნელის პოსტიდან გადააყენა. მის ადგილას კი წარსულში „ლომების" გამოჩენილი მცველი, თურქეთის ნაკრების ყოფილი ფეხბურთელი **ბიულენთ ქორქმაზი** დანიშნა. 40 წლის სპეციალისტთან ხელშეკრულება 2010 წლის ივლისამდე დაიდო, - გვამცნობს თურქული კლუბის ოფიციალური საიტი. ბიულენთი „გალათასარაის" მწვრთნელთა შტაბში 2006 წლიდან შედიოდა, იქამდე კი „კაისერში", „ბურსასფორსა" და „გენჩლერბირლიგიში" მუშაობდა.

**შალვა ბიბილაშვილი**

ეროვნული
ბიბლიოთეკა






# KIA, MADE WITH PASSION

Find the passion of a tennis match in all-new OPTIMA
with sporty and aesthetic design




**Major sponsor and official car of Australian Open 2009**

**კია მოტორსი ავსტრალიის ღია ჩემპიონატის ოფიციალური სპონსორი**

კია მოტორსის ოფიციალური წარმომადგენელი „იბერია ბიზნეს ჯგუფი“
დავით ალმაშენებლის ხეივანი მე-2 კმ, ტელ.: 53 01 91 www.kiamotors.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

გოტფრიდ ლენცი წარმოგიდგენთ — უქმეებიდან უქმეებამდე

# დრიბლინგი ევროპაში

გასულ უქმეებზე იტალიელი მწვრთნელები ყურადღების ცენტრში მოექცნენ. კარლო ანჩელოტის სერიოზული ეჭვი აქვს, რომ „მილანის“ ფანებს მისი სიფათის ყურება მოჰბეზრდათ, კლაუდიო რანიერი „ჩელსისთვის“ ემზადება და ამბობს, „არისტოკრატების“ ბოლო მატჩის ყურებისას პირველივე ტაიმში ჩამეძინაო, ფაბიო კაპელლო კი რატომღაც „ფულჰემისა“ და „ვესტ ბრომვიჩის“ შეხვედრას დაესწრო. თქვენ წინაშეა „ლელოს“ დიდი დრიბლინგი ევროპაში.

იტალია

## ანჩელოტის ფიქრები

„მილანის“ თამაში გუნდის ტოფოზებს სიამოვნებას აღარ ანიჭებთ. ამიტომაც იყო, „კალიარისთან“ მატჩში, რომელიც „როსონერიმ“ 1:0 მოიგო, „სან სიროდან“ მხოლოდ სტვენა რომ ისმოდა. ფანების აგრესიის უმთავრესი სამიზნე **კლარენს ზეედორფი** იყო, რომელმაც ამისათვის „შური იძია“ და გამარჯვების გოლი გაიტანა, თუმცა აქ ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჰოლანდიელის საგოლე დარტყმამდე **ფილიპო ინძაგიმ** თამაშის წესები დაარღვია. მოგვიანებით ზეედორფმა თქვა, წესით, ფანები უნდა დაგვეხმარონ, კი არ უნდა გვისტვინონ, არამედ მხარი უნდა დაგვიჭირონ, ვინც სტადიონზე იმისთვის მოდის, რომ საყვარელ გუნდს უსტვინოს, უმჯობესია, შინ დარჩესო. „მილანის“ თავკაცი **კარლო ანჩელოტი** კი სერიოზულად დაფიქრდა, იქნებ ქომაგებს მე მოვბეზრდიო. აი, რა განაცხადა კარლეტომ მატჩის შემდეგ:

*„მილანს“ 2001 წლიდან ვწვრთნი და არ გამოვრიცხავ, რომ ფანებს უბრალოდ აღარ სიამოვნებთ ის, რომ სათადარიგოთა სკამზე, მწვრთნელის რანგში ერთსა და იმავე კაცს ამდენხანს უყურებენ.“* ანჩელოტი სიმართლესთან ახლოსაა.

დღეს „იუვენტუსი“ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში „ჩელსის“ ხვდება და „ბებერი ქალბატონის“ თავკაც **კლაუდიო რანიერის** „არისტოკრატებზე“ საუბრისას თვალები უბრწყინდება. რანიერი ლონდონურ კლუბს ოთხი წლის განმავლობაში წვრთნიდა და ინგლისის დედაქალაქში ბევრი მეგობარი ჰყავს. რანიერი ამაყობს იმით, რომ „ჩელსის“ სათავეში იმ დროს ედგა, როცა გუნდს არ ჰყავდა **რომან აბრამოვიჩი**. *„რომ არა რანიერი, უმაღლესი დონის ფეხბურთელი ვერასდროს გავხდებოდი!“* - ეს კი **ფრენკ ლემპარდის** სიტყვებია, რომელსაც იტალიელ სპეციალისტთან დიდი მეგობრობა აკავშირებს. თვითონ რანიერის დღევანდელი „ჩელსი“ ძალიან არ მოსწონს და ორშაბათს იხუმრა კიდეც, შაბათს „ჩელსის“ თამაშს („ასტონ ვილასთან“) ვუყურებდი და პირველი ტაიმის დამთავრებამდე ჩამეძინაო. კლაუდიოს დღეს „სტემფორდ ბრიჯზე“ თავისი შესაძლებლობების დამტკიცება სურს.

ინგლისი

## წერილი ბოროს ფანებს

„ლივერპულმა“ „მანჩესტერ სიტისთან“ 1:1 ითამაშა და ეს უკვე მეექვსე ფრე იყო, რომელიც მერსისაიდელებმა ამ სეზონში „ენფილდ როუდზე“ დააფიქსირეს, რაც ნამდვილად არ არის სახარბიელო შედეგი. სეზონის დამთავრებამდე 12 ტურია დარჩენილი და „ლივერპული“ „მანჩესტერ იუნაიტედს“ 7 ქულით ჩამორჩება. *„ფაქტია, რომ თუ გაჩემპიონების შანსის შენარჩუნება გვინდა, 14 მარტს მანჩესტერი „ოლდ ტრაფორდზე“ უნდა დავამხოთ!“* - აცხადებს **რაფაელ ბენიტესი**. ინგლისელი ექსპერტები კი დარწმუნებულნი არიან იმაში, რომ ბენიტესმა ამერიკელებთან აშკარად უსარგებლო მოლაპარაკებებითა და **სერ ალექს ფერგიუსონთან** დისკუსიით (ციტატა: *„ინგლისში ყველაფერს ფერგიუსონი აკონტროლებს“*) საქმე თვითონ გაიფუჭა და გუნდიც კალაპოტიდან ამოაგდო. სინამდვილეში, „ლივერპული“ ვერ თამაშობს ისე, როგორც ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდს შეეფერება.

კვირას, ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **ფაბიო კაპელლო** „ფულჰემისა“ და „ვესტ ბრომვიჩის“ მატჩს დაესწრო და არავინ იცის, რატომ აირჩია იტალიელმა მაინცდამაინც ეს შეხვედრა, რადგან ფაქტია, რომ პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის მებრძოლები საფეხბურთო კლასიკას ვერ დადგამდნენ. თანაც, ამ შეხვედრაში მხოლოდ ორი ისეთი ფეხბურთელი მონაწილეობდა, რომლებიც შესაძლებელია, რომ კაპელლოს სიისთვის განვიხილოთ: **ენდი ჯონსონი** (ფულჰემი) და **სკოტ კარსონი** (ვესტ ბრომვიჩი). ამ ორ მოთამაშესაც, ინგლისის ნაკრებში მოხვედრის მხოლოდ თეორიული შანსები აქვთ. არ გამოვრიცხავთ, რომ კაპელლომ 7-მილიონიანი ხელფასის გამო თავი ვალდებულად მიიჩნია, რომ ასეთ მატჩსაც უნდა დასწრებოდა. ფაქტია, რომ დონ ფაბიო, როგორც იტალიელი ინგლისის ნაკრების მთავარი მწვრთნელის პოსტზე, უმძიმესი წნეხის ქვეშაა მოქცეული.

ინგლისის მეხუთე ლიგის წარმომადგენელი „იბსფლიტ იუნაიტედი“ შარშან 700 000-ად ერთ-ერთმა ინტერნეტ ფორუმმა (!) იყიდა. ფორუმის




32 000 წევრმა 35-35 ფუნტი გადაიხადა იმაში, რომ გუნდი მათი საკუთრება ყოფილიყო, სამაგიეროდ, მიიღეს იმის უფლება, რომ კლუბის აბსოლუტურად ყველა (სპორტულ თუ ფინანსურ საკითხებში) გადაწყვეტილების მიღება ან შეცვლა შეეძლოთ. იბსფლიტმა წელს თასის ერთი ეტაპი გაიარა, მაგრამ ამ მართლაც დიდ წარმატებას ეიფორია არ გამოუწვევია. წინა თვეში მხოლოდ 492-მა ფორუმელმა მისცა ხმა იმას, რომ მწვრთნელ **ლაიამ დაიშს** პოსტი შეენარჩუნებინა და მიუხედავად ამისა, ამ უკანასკნელმა პლებისციტი ძლივძლივობით, მაგრამ მაინც მოიგო. ამჯერად, მხოლოდ ორი მესამედია თანახმა, რომ კიდევ გადაიხადონ ფული და ეს სეირობა გაგრძელდეს. ასე რომ, ფინანსური კრიზისი ინგლისის მეხუთე ლიგის წარმომადგენელ „იბსფლიტ იუნაიტედსაც“ შეეხო...

„მიდლსბროს“ უსაფრთხოების სამსახურის უფროსი **სიუ უოტსონი** შეწუხებულია იმის გამო, რომ „ბოროს“ ფანების ერთ-ერთი ბლოკი სტადიონზე „ცუდად“ იქცევა. უოტსონმა ხსენებულ ფან-კლუბს წერილი გაუგზავნა, სადაც ის მათ თხოვს, „რივერსაიდზე“ წამდაუწუმ ნუ ხტიხართ, მშვიდად იყავით, ნუ აგიჟებთ ფეხბურთელებს და განსაკუთრებით სხვა გულშემატკივრებსო. ხსენებულ ბლოკში, წესის მიხედვით, ფანები უნდა ისხდნენ. ცხადია, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მათ წამოდგომა და საყვარელი გუნდის მხურვალე ქომაგობა ეკრძალებათ, მაგრამ... უოტსონის წერილი ასე მთავრდება: *„ძალიან გთხოვთ, შეწყვიტეთ! „როდესაც“ „ბორო“ გოლს გაიტანს, შეგიძლიათ იხტუნავოთ, რამდენიც გინდათ, მაგრამ ყოველ წუთს ალიაქოთი და ყიჟინა სხვა, მშვიდ გულშემატკივრებს და ფეხბურთელებსაც უბრალოდ აგიჟებს!“*

ესპანეთი

## გეშინოდეთ ყოფილების

ზოგადად, სიტყვა „ყოფილი“ უმეტესწილად ცუდ მოგონებებს იწვევს და ნეგატივთან ასოცირდება. აგერ, „ბარსას“ ყოფილმა გამთამაშებელმა **ივან დე ლა პენიამ** კატალონიურ დერბიში „ბარსელონას“ დუბლი შეუსრულა და ბოლო 21 შეხვედრაში პირველი მარცხი აგემა. ესეც არ იყოს, „ესპანიოლმა“ ბოლო 27 წლის განმავლობაში პირველად მოიგო დერბი „კამპ ნოუზე“! და ყველაფერი ამითაც არ დამთავრებულა: პრიმერადივიზიონის დაარსებიდან დღემდე პირველად მოხდა ისე, რომ ლიდერმა ბოლოადგილოსანთან საკუთარ მოედანზე წააგო. თუმცა „ბარსას“ თავკაცმა **პეპ გუარდიოლამ** მარცხი პრაგმატულად შეაფასა, ჩემპიონობა არც მანამდე გვქონდა განაღდებული და არც ამ წაგებით დაგვიკარგავს გაჩემპიონების შანსიო.

იმ დროს, როცა ცხრილის სათავეში ყველა „ბარსელონას“ და „რეალს“ უყურებს, ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელის **ხოსე ანტონიო კამაჩოს** გუნდი გასავარდნი ზონიდან ნელ-ნელა მოძვრება. „ოსასუნას“ ოთხი თამაშია, არ წაუგია და „მარიორკასა“ და „ვალენსიის“ შემდეგ კამაჩოს გუნდმა „ნუმანსიასთანაც“ კარგად ითამაშა (2:0). **პლასილისა** და **შოჯაეის** გოლების წყალობით „ოსასუნა“ ახლა უკვე მე-17 ადგილზეა. კამაჩო კი ბანალურად ამბობს: *„ძველებურად ვმუშაობთ, უბრალოდ ახლა უფრო გვიმართლებსო.“*

ვინც თქვა, რომ ესპანეთის პირველობის ბედი გადაწყვეტილი იყო, მწარედ შეცდა. მადრიდის „რეალმა“ ორ კვირაში „ბარსასთან“ ჩამორჩენა 12-დან 7 ქულამდე შეამცირა. თუკი ასეთი ტენდენცია გაგრძელდება, სეზონის დამთავრდებამდე 5 ტურით ადრე „კამპ ნოუზე“ გასამართ სუპერკლასიკოს სუპერინტრიგა ექნება!

გერმანია

## ჯალათი ბოატენგები

ბუნდესლიგა მეორე წრეში ლიდერებს წინდებივით იცვლის. „ჰოფენჰაიმი“, „ჰერტა“, ახლა „ჰამბურგი“ - ვინ იქნება შემდეგი? ფაქტია, რომ „ბაიერნი“ ნაღდად არ იქნება, რადგან რეკორდმაისტერი გვარიანად არის აჭრილი და **იურგენ კლინსმანს** უკვე დღეებს უთვლიან. მეორე წრეში ბუნდესლიგაში კვლავ გაერთიანდნენ ძმები **ბოატენგები** - ჯალათები, რომლებსაც მეტოქეების ჩეხვის გარდა არაფერი ეხერხებათ. დორტმუნდელმა **კევინ პრინს** ბოატენგმა შალკელ **მლადენ კრსტაიჩს** კინაღამ ფეხები რომ მოამტვრია (ისევე, როგორც ორი კვირის წინ **მიროსლავ კლოზეს**), ამაზე უკვე ვწერდით. მისმა ძმა **ჯერომმა** კი, რომელიც „ჰამბურგის“ ღირსებას იცავს, „ლევერკუზენთან“ ორი ისეთი ფოლი გააკეთა, მე-60 წუთზე შესული, მოედნიდან ზუსტად 26 წუთში გააძევეს. კიდევ კარგი, რომ „დორტმუნდის“ თავკაცმა **იურგენ კლოპმა** ჭკუა იხმარა და **კევინ პრინცი** პირველი ტაიმის შემდეგ თამაშიდან მოხსნა, თორემ ფაქტია, რომ მასაც ნაადრევად მოუწევდა შხაპის მიღება.

საფეხბურთო გერმანია შეშფოთებულია იმით, რომ ბრემენის „ვერდერი“ საშინელ დღეშია. ყველაფერს ისიც დაემატა, რომ **თომას შააფის** „მუსიკოსებმა“ ახლა „კოტბუსთანაც“ წააგეს და ერთი წლის წინ ჩემპიონობისთვის მებრძოლი „ვერდერი“, ახლა პოტენციურად ისეთი გუნდია, რომელსაც მიზნად ელიტაში ადგილის შენარჩუნება უნდა ჰქონდეს დასახული.

ყველაზე ვაჟკაცური გუნდი კი, გერმანიაში ნაღდად **ფელიქს მაგათს** ჰყავს: „ვოლფსბურგი“. „მგლებმა“ ზედიზედ მერვე საშინაო თამაში მოიგეს და საკუთარ მოედანზე უძლეველები არიან, თანაც, მოუგეს „ჰერტას“ რომელიც ლიდერი იყო. ტყუილი იყო ალიაქოთი - „ჰერტა“ მაინც არ უქნია ღმერთს...

საფრანგეთი

## ახალი რობერტო კარლოსი

„ლიონი“ საფრანგეთის ჩემპიონობას ადრე ინაღდებს და ჩემპიონთა ლიგიდან ადრე ვარდება - როგორც ჩანს, ეს წესია, რომელსაც გადახვევა არ ეგების! თუმცა ლიონელები წელსაც ბევრს ბაქიბუქობენ, ყველაფერი სხვანაირად იქნებაო - მიუხედავად იმისა, რომ მერვედფინალში მათი მეტოქე თვით მრისხანე „ბარსელონაა“. *„ერთი და იგივე ყელში ამოვიდა. ყოველ წელს მერვედფინალიდან ვარდებით. წელს, რადაც უნდა დაგვიჯდეს, მეოთხედფინალში მაინც უნდა გავიდეთ!“* - ყვირის „ლიონის“ ლიდერი **ქარიმ ბენზემა**. გუნდის სჯერა **ჟან-ალან ბუმსონგსაც**, თუ ყველაფერი კარგად იქნება, „ბარსასთან“ სენსაციის მოხდენა შეგვიძლიაო. „თუ ყველაფერი კარგად იქნება“ - ასე „კოტბუსსაც“ შეუძლია ჩემპიონთა ლიგის მოგებაზე ოცნება!

„ბორდოს“ მაგრად უჭირს. ვიცე-ჩემპიონებმა ბოლო 4 შეხვედრიდან ვერც ერთის მოგება ვერ მოახერხეს და მხოლოდ სამ ქულას მოუყარეს თავი. დღეს „ბორდო“ „ლიონს“ უკვე 8 ქულით ჩამორჩება. ფაქტია, რომ ბოლო ჩემპიონობიდან 10 წლის შემდეგაც კი, ჟირონდელები სეზონის ბოლოს ისევ ხელცარიელები დარჩებიან. განსაკუთრებით ფატალურია ის, რომ მას მერე, რაც მთავარმა მწვრთნელმა **ლორან ბლანმა** კონტრაქტი გააგრძელა, მისი ფეხბურთელები სულ უფრო და უფრო ცუდად გამოიყურებიან.

შესანიშნავ სეზონს ატარებს „ლილის“ ნახევარმცველი **ბასტოსი**. ბრაზილიელმა ამ სეზონში უკვე 9 გოლის გატანა მოახერხა და სამი საგოლე გადაცემა მიითვალა. 25 წლის შუამარბი საფრანგეთის ლიგის ყველაზე საშიშ ნახევარმცველად მიიჩნევა. მისი სავიზიტო ბარათი კი უძლიერესი მარცხენა ფეხია. ჯარიმების დარტყმის მისეული ტექნიკა **ჟუნინიო პერნამბუკანოს** ტექნიკას გვახსენებს (მაგრამ ჯერ მხოლოდ გვახსენებს), ფეხბურთის თამაშის სტილი კი **რობერტო კარლოსისას**. რა გასაკვირია, რომ ასეთი ტიპი არაერთ გრანდს აღუძრავს ინტერესს. რობერტო კარლოსი და ჟუნინიო ერთად? ასეთ მოთამაშეზე ევროპული სუპერგუნდები მხოლოდ ოცნებობენ.

**გოტფრიდ ლენცი**



ეროვნული ბიბლიოთეკა



ინტერვიუ

ჯანლუკა ვიალი

# იტალია vs ინგლისი 2:1

## საფეხბურთო ჭადრაკი დიდი დოზით

ამ დღეებში მთელი ევროპული სპორტული მასმედია ჩემპიონთა ლიგით ცხოვრობს და გამონაკლისი არც იტალიური პრესა გახლავთ. გუშინ, „გაძეტა დელო სპორტში“ საკმაოდ საინტერესო ინტერვიუ დაიბეჭდა, ყველაზე ავტორიტეტული აპენინური გამოცემის ჟურნალისტი ჯანლუკა ვიალის ლიგის პერიპეტიებზე ესაუბრა. მთავარი თემა „ჩელსი“-„იუვენტუსის“ დაპირისპირება გახლავთ. როგორც იცით, ვიალის თავისი მდიდარი კარიერის განმავლობაში ორივე გუნდში უასპარეზია და ბუნებრივია, სათქმელიც ბევრი ჰქონდა.

**- სენიორ ჯანლუკა, როგორ დასრულდება იტალია-ინგლისის საკლუბო დაპირისპირება?**

- 2:1 ჩვენს სასარგებლოდ. ჩემი აზრით, ჩემპიონთა ლიგას უფრო მობილიზებულნი და მოტივირებულნი იტალიური გუნდები ხვდებიან. „რომამ“ კარგა ხანია დაკარგა სკუდეტოს მოპოვების შანსი, რთულ მდგომარეობაშია „იუვენტუსიც“ და მათ კარგად იციან, რომ შესაძლოა, ჩემპიონთა ლიგა სეზონის წარმატებულად დასრულების ერთადერთი შანსი იყოს. რაც შეეხება „ინტერს“, ამ გუნდს ევროარენაზე მუდმივი წარუმატებლობები აქვს და დადგა დრო, რომ რაიმე ღირებულს მიაღწიოს. ამისთვის „ნერაძური“ მზადაა, თუმცა უძლიერესი მეტოქე რომ ჰყავს, ესეც ფაქტია. წილისყრისას მილანელებს არ გაუმართლათ.

**- ანუ, მინიმალური ანგარიშით ვიმარჯვებთ. იქნებ დაკონკრეტდეთ, რომელი გუნდები გააგრძელებენ ბრძოლას.**

- აი, ამაზე კი პასუხი ნამდვილად არ მაქვს. ჩემი პროგნოზით, სამი იტალიური გუნდიდან, შემდეგ ეტაპზე ორი გავა, თუმცა უფრო მეტად ვერ დავკონკრეტდები. დღეს, „იუვე“, „რომა“ და „ინტერი“ საკმარისად ძლიერები არიან და არც იმას გამოვრიცხავ, რომ სამივე მათგანი აღმოჩნდეს მეოთხედფინალში. თუმცა, არც ისე მინდა გამიგოთ, თითქოს ინგლისელთა შესაძლებლობებს ვაკნინებდე, კარგად ვიცი, რომ პრემიერლიგის გუნდები დიდ ძალას წარმოადგენენ. წინ დიდი მატჩები გველის და დარწმუნებული ვარ, გულშემატკივარი ნასიამოვნები დარჩება.

**- კარგით, მაშინ სათითაოდ ვისაუბროთ წყვილებზე. „ინტერი“-„მანჩესტერით“ დავიწყოთ.**

- ჩემი აზრით, ეს არის მერვედფინალური ეტაპის ცენტრალური დაპირისპირება. ერთმანეთის პირისპირ ევროპის ორი უძლიერესი გუნდი წარდგება. გასულ უქმეებზე, ორივე გუნდის პაექრობას ვუყურე და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ წინ დიდი მატჩები გველის. ამასთან, საქმე აბსოლუტურად განსხვავებულ გუნდებთან გვაქვს, რომლებსაც განსხვავებული საფეხბურთო ფილოსოფიები აქვთ. ძალიან მაინტერესებს როგორ წარიმართება ალექს ფერგიუსონისა და ჟოზე მოურინიოს დაპირისპირება. ევროპის ორი გამორჩეული ტაქტიკოსის დუელის ხილვა ერთ რამედ ღირს. შანსებზე არაფერს ვიტყვი, რადგან აქ ფავორიტზე საუბარი ნამდვილად ზედმეტია. ყველაფერი განმეორებით შეხვედრაში, „ოლდ ტრეფორდზე“ გაირკვევა.

**- „რომა“-„არსენალი“.**

- ასევე ძალიან საინტერესო დაპირისპირება, რომლის პროგნოზი ურთულესი საქმეა. სამწუხაროდ, ფრანჩესკო ტოტი არცთუ კარგ ფორმაშია და ეს „რომასთვის“ სერიოზული პრობლემაა. თუმცა პუპონე დიდი ფეხბურთელია და ასეთ მატჩებში ნამდვილად შეუძლია თავისი სიტყვის თქმა. „არსენალი“ პრემიერლიგაში მთლად დამაჯერებლად ვერ ასპარეზობს და არსენ ვენგერი მთელ იმედებს ლიგაზე ამყარებს. „მეთოფეები“ აუცილებლად შემტევ ფეხბურთს ითამაშებენ და „ჯალოროსის“ მცველებს დიდი ჯაფა დაადგებათ. ზემოთ მწვრთნელები ვახსენე და იმავეს ვიტყოდი ამ შემთხვევაშიც. სპალეტი და ვენგერი ძალან ნიჭიერი სპეციალისტები არიან, რომლებსაც დიდებულად შეუძლიათ შეხვედრაში კორექტივების შეტანა. საერთოდ, იტალიური და ინგლისური კლუბების დაპირისპირება მწვრთნელების დუელებითაც ფასობს. საფეხბურთო ჭადრაკს დიდი დოზით მივიღებთ.

**- და მივადექით თქვენი ყოფილი გუნდების დაპირისპირებას, „ჩელსი“-„იუვენტუსი“. რას იტყვით ამ დუელზე?**

- ერთი შეხედვით, ფავორიტი „ჩელსია“, რადგან ამ გუნდში უდიდესი თანხები ჩაიდო და დიდი ფეხბურთელებიც თამაშობენ. თუმცა ასე მარტივად არაა საქმე და ჩემი აზრით, შანსები თანაბარია. კლაუდიო რანიერი შესანიშნავად მუშაობს და ძალიან კარგი გუნდიც დააყენა. ამ ფორმაციის „იუვენტუსს“ ჩემპიონთა ლიგის მოგებაც კი შეუძლია. თანაც, მთავარი არ უნდა დაგვავიწყდეს. ესაა ტრადიციები. „ვეკია სენიორა“ გადამწყვეტ პაექრობებს მაღალ დონეზე ატარებს და ვფიქრობ, რომ გამონაკლისი არც „ჩელსისთან“ შეხვედრები იქნება. ტურინელები ბოლომდე დაიხარჯებიან.

**- ორივე გუნდში არაერთი წელი გაქვთ გატარებული. იქნებ განგვიმარტოთ ამ კლუბების საფეხბურთო ფილოსოფიები?**

- პირდაპირ ვიტყვი, იყო „იუვენტუსის“ ფეხბურთელი გაცილებით უფრო რთულია და ამის ახსნა ისევ და ისევ ტრადიციებშია. „ვეკია სენიორა“ მუდმივად მაღალი მიზნებისთვის იბრძოდა და ეს ამ გუნდის გულშემატკივარზეც ნათლად აისახება. ტიფოზები ფეხბურთელებს დიდ წნეხში აქცევენ და მინიმალურ შეცდომას არ პატიობენ, რაც თავისთავად მძიმე ტვირთია. „ჩელსის“ ფანები გაცილებით რაციონალურები არიან და ყველაფერს არისტოკრატული სიმშვიდით იღებენ. ორ განსხვავებულ კულტურასთან გვაქვს საქმე. ჩემთვის ორივე ძალიან ფასეულია. შესანიშნავად ვგრძნობდი თავს ტურინშიც და ლონდონშიც.

**- დელ პიერო-ამაური თუ დროგბა-ანელკა?**

- საინტერესო კითხვაა, თუმცა მე სხვა მიმართულებით წავალ. დროგბა-ანელკას ტანდემი ევროპაში ერთ-ერთ უძლიერესად მიმაჩნია და ვფიქრობ, რომ მათი პოტენციალი ჯერ კიდევ არ არის ბოლომდე რეალიზებული. მეორე მხრივ, ჩემში აღფრთოვანებას იწვევს „იუვეს“ დაცვის ცენტრალური ტანდემი. საუბარი მაქვს ნიკოლა ლეგროტალიესა და ჯორჯო კიელინიზე. „ჩელსის“ ფორვარდებისა და „ბიანკონერის“ უკანახაზელების დაპირისპირება ძალიან დამაინტრიგებლად მოჩანს. ტურინელ მცველებს დიდი ყურადღება მართებთ და ვნახოთ, როგორ გაართმევენ თავს დაკისრებულ მოვალეობას. არ დავმალავ და ძალიან მინდა, რომ „სკუადრა აძურას“ წევრებმა მეტოქის მართლაც მრისხანე თავდამსხმელები გაანეიტრალონ.



**- ანუ, თქვენ „იუვენტუსს“ უგულშემატკივრებთ?**

- „ჩელსი“ ჩემს გულშია და ამ გუნდის მიმართ ყოველთვის დიდი სიმპათიით ვიყავი განწყობილი, მაგრამ აუცილებლად „იუვენტუსს“ ვუგულშემატკივრებ. ეს მგონი გასაკვირი არც უნდა იყოს. „იუვე“ ჩემი მშობლიური გუნდია და თანაც ჩვენი ქვეყნის ღირსებას იცავს. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ძალიან არ მომწონს ბოლო დროს ინგლისურ ფეხბურთში განვითარებული პროცესები. ვფიქრობ, რომ ალბიონელებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ პრემიერლიგაში შემოდინებულ უცხოურ მილიარდებს.

**- ამ პროცესების წინააღმდეგი ხართ?**

- მინდა დამტკიცდეს, რომ ფეხბურთში ფული მთავარი არაა. „მანჩესტერ სიტიში“ მიმდინარე პროცესები უკვე ყოველგვარ ზღვარს სცილდება და ეს ნამდვილად დიდი პრობლემაა. არ შეიძლება ასე ხელოვნურად შექმნა გრანდი, ეს მხოლოდ დააზარალებს ფეხბურთს. ფული ნებისმიერ სფეროში საჭიროა და ეს კარგად მესმის, თუმცა ეს ყველაფერი რაღაც ჩარჩოში უნდა ჯდებოდეს და გარკვეულ ნორმებს ექვემდებარებოდეს. ძალიან გამეხარდა, როდესაც კაკამ „მილანში“ დარჩენის გადაწყვეტილება მიიღო, ეს ფეხბურთის გამარჯვება იყო. რიკის ადგილზე მეც ანალოგიურად მოვიქცეოდი.

**- ბევრი საუბრობს იმაზე, რომ თქვენ ტურინის „იუვენტუსის“ მომავალ მწვრთნელი ხართ. რას იტყვით ამაზე?**

- ეს კითხვა რამდენიმე კვირის წინაც დამისვეს და მაშინაც გამიკვირდა. „იუვენტუსს“ კლაუდიო რანიერი წვრთნის და მის გათავისუფლებას არავინ აპირებს. ფაქტია, რომ კლუბის მესვეურები ახალ მწვრთნელზე არ ფიქრობენ და როგორ შეიძლება, რომ ამ ვითარებაში „იუვეში“ ჩემს დანიშვნაზე ვისაუბროთ. ექსპერტთა ნაწილი რანიერის მუშაობას არცთუ დადებითად აფასებს, რასად კატეგორიულად არ ვეთანხმები. ჩემი აზრით, კლადიო საქმეს შესანიშნავად უძლვება.

**ლაშა წიკლაური**



ვალენსია

# ფეხბურთელებმა იჩივლესო...

## მარჩენა ინფორმაციას უარყოფს, თუმცა მას ხელმძღვანელობის ინტერესების გატარებას აბრალებენ

„ვალენსიაში“ ისევ უმწვავესი ფინანსური კრიზისი მძვინვარებს. გუნდში მიმდინარე უმძიმესი მოვლენების შესახებ ინფორმაციას ოპერატიულად გაწვდით ხოლმე, მაგრამ საჭიროდ ვთვლით, რომ ვალენსიური გასაჭირი რამდენიმე სიტყვით შეგახსენოთ. საქმე ის არის, რომ „ღამურებს“ მსოფლიოში გამეფებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა ყველაზე მძიმედ დაარტყა და გაკოტრების საფრთხის წინაშე დააყენა. ბოროტი ენების მტკიცებით, ესპანური კლუბი უკვე, ფაქტობრივად, გაკოტრებულია. ვერ გეტყვით, ეს ინფორმაცია რამდენად სანდო და უტყუარია, მაგრამ ის კი უდავოა, რომ „ვალენსიაში“ ურთულესი ფინანსური მდგომარეობაა შექმნილი. ხელმძღვანელობა ფეხბურთელებისთვის ხელფასის გადაჰდასაც ვერ ახერხებს. დაახლოებით 10-12 დღის წინ გაცხადდა, რომ სამხრეთელებს მოთამაშეების გაუსტუმრებელი ხელფასების სახით 15-მილიონიანი ვალი დაუგროვდათ. მას შემდეგ ბიჭებს ანაზღაურება ისევ არ აუღიათ, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვალი ყოველდღიურად იზრდება. აქამდე ამბობდნენ, რომ მოთამაშეები სიმშვიდეს არ კარგავდნენ და უხელფასოდ მუშაობის გამო სკანდალის მოწყობას არ გეგმავდნენ.

გუშინ ესპანურმა საინფორმაციო სააგენტოებმა ძალიან საინტერესო ცნობა გაავრცელეს. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით „20 მინუტოს დე ვალენსიის“ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას სტილის დაცვით გაგაცნობთ:

*„ვალენსიელების მოთმინებას წერტილი დაესვა. დასრულდა ის დრო, როცა უხელფასო ბიჭები ფოტოკამერების წინ უდარდელად იღიმოდნენ. საიდუმლოს ფარდა აეხადა. „ვალენსიაში“ სასოწარკვეთილება სუფევს. იქ არავინაა ბედნიერი. სარწმუნო წყაროდან შევიტყვეთ, რომ გუნდის რამდენიმე ლიდერის ინიციატივით ფეხბურთელების საინიციატივო ჯგუფი შეიქმნა. მათ მენეჯერებსა და ადვოკატებს უხმეს და ერთობლივი კონსულტაციების შემდეგ გადაწყვიტეს, ესპანელ ფეხბურთელთა ასოციაციაში საჩივარი შეიტანონ. ეს ის პირველი ნაბიჯია, რომელსაც ყველა ლოგიკის მიხედვით, მეორე და ყველაზე რადიკალური სვლა უნდა მოჰყვეს. შორს აღარ არის ის დღე, როცა „ვალენსიის“ ვარსკვლავები და „რიგითი“ ფეხბურთელები დაირაზმებიან და ფიფას კარს საჩივრით მიადგებიან. ძნელია, იშრომო, ყოველ დღე ვარჯიშით თავი მოიკლა, კვირაში რამდენჯერმე ითამაშო და ხელფასი არ მიიღო. ფეხბურთელები კომფორტულ, მდიდრულ ცხოვრებას მიეჩვივნენ. ისინი, ასეთ ცხოვრებას დიდი ხნით ვერ მოიკლებენ. მოდით, სიმართლეს თვალი გავუსწოროთ და ვთქვათ, რომ ეს საშინელი კრიზისი კლუბის ხელმძღვანელობაში დღემდე არსებული დაძაბულობისა და გაუტანლობის შედეგია. ბაუტისტა სოლერმა და სორიანომ ამბიციების დაკმაყოფილებას „ვალენსიის“ სიმტკიცე გადააყოლეს. ხელისუფლებისთვის ბრძოლამ გუნდი გაკოტრებამდე მიიყვანა. ბაუტისტა სოლერი თანამდებობიდან გადადგა, მაგრამ დღემდე აქციების უდიდეს ნაწილს აკონტროლებს და ამით მანიპულირებს. არც სორიანო იხევს უკან. ამ ყველაფერს სხვადასხვა კომპანიის ხელმძღვანელები კარგად ხედავენ და სპონსორობაზე აღარც კი ფიქრობენ. ეს კლასიკური, ქრესტომათიული მაგალითია იმისა, თუ როგორ ღუპავს ამბიცია საფეხბურთო გუნდს“.*

ვალენსიური გაზეთის ამ სკანდალურ სტატიას ესპანურ მედიაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. გულშემატკივრები შიშმა შეიპყრო. კლუბის დასაშლელად და გასანადგურებლად მაინცდამაინც ფიფაში ჩივილი არ არის საჭირო. საკმარისია ესპანელ ფეხბურთელთა ასოციაციამ ხელმძღვანელების გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოტანოს და ამას სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებაც დაერთოს, კლუბის გაკოტრება შემდგარი ფაქტი გახდება. ფეხბურთელები უმალ დაიქსაქსებიან, ზოგი სად მონახავს თავშესაფარს, ზოგი სად. დიდი ტრადიციების მქონე საფეხბურთო კოლექტივი კი მდიდარი და თავზეხელაღებული ოპტიმისტი ინვესტორის გამოჩენამდე არსებობას შეწყვეტს. ეს მართლაც რეალური სცენარია. ამასობაში, „ღამურების“ კაპიტანმა **კარლოს მარჩენამ** ძალა გამონახა და ხანძრის ჩაქრობა გულწრფელი საუბრით სცადა. მარჩენამ „რადიო ონდა სეროს“ ეთერით ასეთი რამ განაცხადა:

*„თაღლითი უნდა ვიყო, თავი ისე მოგაჩვენოთ, თითქოს არაფერი ხდება და ფეხბურთელებს არაფერი გვაწუხებს. არა, რა თქმა უნდა. ჩვენ ძალიან ბევრ რამეზე ვნერვიულობთ. გუნდში უმძიმესი მდგომარეობაა და სწორედ ეს გახლავთ ჩვენი ყველაზე დიდი სატკივარი. ბუნებრივია, იმაზეც სერიოზულად ვწუხვართ, რომ ხელფასებს არ გვირიგებენ. მშვენივრად ვიცი, ამით შრომის კოდექსი ირღვევა, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ კლუბში ერთსულოვნება სუფევს. ჩვენ გვჯერა პრეზიდენტის. ის გამოსავალს აუცილებლად იპოვის. ფული გამოჩნდება და პრობლემები მოგვარდება. „20 მინუტოს დე ვალენსიაში“ გამოქვეყნებული სტატიის შესახებ არც კი ვიცი რა უნდა ვთქვა. ავტორი კი გვარწმუნებს, რომ ინფორმაცია სანდო წყაროსგან მოიპოვა, თუმცა არა მგონია, თავად ის გვაწვდიდეს სანდო ცნობას. მე გუნდის კაპიტანი გახლავართ და გარწმუნებთ, რომ ფეხბურთელების საინიციატივო ჯგუფი ჩემ გარეშე არ შეიქმნებოდა. ეს უბრალოდ გამორიცხულია. შესაბამისად, „ვალენსიის“ მოთამაშეებს სარჩელიც არსად შეუტანიათ. მე მსგავსი რამ არ მსმენია. ვიმეორებ, კაპიტანი გახლავართ და გამორიცხულია, რომ არ გამეგო. ყველას ძალიან ვთხოვ, ისედაც ურთულეს ვითარებას კიდევ უფრო ნუ გავართულებთ. თუ „ვალენსიაზე“ გული შეგვტკივა, მოდით, მისი კეთილდღეობისთვის ერთად ვიბრძოლოთ“.*

როგორც ხედავთ, კარლოს მარჩენამ „20 მინუტოს დე ვალენსია“ დეზინფორმაციის გავრცელებაში დაადანაშაულა. აღსანიშნავია, რომ ამასთან დაკავშირებით, ესპანურმა გამოცემამ განმარტება გააკეთა. ითქვა, რომ საინიციატივო ჯგუფი სწორედ მარჩენას გვერდის ავლით შეიქმნა. ჩვენი კოლეგები ამტკიცებენ, რომ კარლოსი კაპიტნის სტატუსიდან გამომდინარე კლუბის ხელმძღვანელობასთან ძალიან ახლო ურთიერთობაშია და შემადგენლობაში ფარულად, თუ თვალხილულად მათი ინტერესების გატარებას ცდილობს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

ქარატე-დო



# 3 ოქრო, 1 ბრინჯაო და პოლონეთის თასი

საქართველოს კარატე-დოს ეროვნულმა ნაკრებმა 20-22 თებერვალს ბრწყინვალედ იასპარეზა პოლონეთის ქალაქ კოვარში. ქართულმა კარატემ პოლონეთის ღია ჩემპიონატზე კიდევ ერთხელ დაამტკიცა მაღალი შესაძლებლობები და ერთ-ერთი პოპულარული ჯილდო — „პოლონეთის თასი" საქართველოში ჩამოიტანა. აღსანიშნავია, რომ პოლონეთის ღია ჩემპიონატი გამორჩეულად პოპულარულია ევროპული კარატეს სივრცეში. შეჯიბრება ქალაქის მერის პატრონაჟით ტარდება. იგი თავიდან ბოლომდე ესწრებოდა ასპარეზობას და მხურვალედაც გულშემატკივრობდა თანამემამულეებს.

*„საქართველოს ოლიმპიური კომიტეტის, სპორტის დეპარტამენტისა და საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის ერთობლივი, სწორი მიდგომით, სპორტული მიღწევების ახალ დონეზე ავედით. პირადად მე კმაყოფილი ვარ შეგირდების შედეგებით. მადლობა მინდა ვუთხრა წარმატებული და ნაყოფიერი თანადგომისთვის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, ბატონ გია ნაცვლიშვილს, სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით ნამგალაურს და „ტაოპრივატბანკს". ეს ბანკი დიდი ხანია, რაც ქართულ კარატეს სპონსორია. ხსენებული ორგანიზაციების შემწეობით მსოფლიოსა და ევროპის არაერთ ჩემპიონატზე მოვხვდით, სადაც თავი გამოიჩინეს ჩვენმა კარატმენებმა. საქართველოს კარატეს ნაკრები ამჯერადაც მცირე იყო, თუმცა კვლავ საკმაოდ დიდი წარმატება გვერგო — 3 ოქროს და 1 ვერცხლის მედალი ვეტერანებში დავიმსახურეთ პოლონეთის თასთან ერთად. თასისთვის ბრძოლაში თვით მასპინძელი ქვეყანა დავამარცხეთ და ამით თვალსაჩინოდ ავიმაღლეთ ავტორიტეტი ევროპული კარატეს დიდ ოჯახში. ეს მართლა საამაყოა და, რა თქმა უნდა, გამარჯვება დედასაქართველოს მივუძღვენით",* — განაცხადა პოლონეთიდან დაბრუნებულმა საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრეზიდენტმა, **კახა ბასილიამ.**

**ნუგზარ ჭიაბერაშვილი,**
*საქართველოს საბრძოლო ხელოვნებათა კონფედერაციის პრესმდივანი*

ფრენბურთი

# ოლიმპიადისთვის მზადება დაიწყო

## საქართველოს ქალთა ეროვნული ნაკრები ფრენბურთში დიდ ბრიტანეთშია მიწვეული რამდენიმე ამხანაგური თამაშისა და ერთობლივი ვარჯიშების ჩასატარებლად

ეს ინფორმაცია გუშინ მოგვაწოდა საქართველოს ფრენბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ლევან ახვლედიანმა:**

*„დიდი ბრიტანეთის ქალთა ეროვნულმა ნაკრებმა ფრენბურთში სურვილი გამოთქვა, წლეულს მაისში რამდენიმე ამხანაგური თამაში გამართოს საქართველოს ქალთა ეროვნულ ნაკრებთან. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ეს მიწვევა. ლონდონის ოლიმპიადაზე დიდი ბრიტანეთი ერთიანი გუნდით წარდგება და აქედანვე დაიწყეს მზადება 2012 წლისთვის. იანვარში მათ უკვე უმასპინძლეს მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირს.*

*საქართველოს ეროვნული ნაკრების გამოსვლამ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში და დანიის ნაკრებთან გამარჯვებამ ფრენბურთის სამყაროში დიდი ინტერესი გამოიწვია. ჩვენი ეროვნული ნაკრების საშუალო ასაკი 19 წელია, შეიძლება ითქვას, რომ ყველაზე ახალგაზრდულია ევროპაში და საკმაოდ პერსპექტიულიც. ამიტომ ბრიტანელებმა დიდი სურვილი გამოთქვეს ამხანაგური თამაშები გამართონ საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან და მზად არიან დაფარონ საორგანიზაციო ხარჯები ავიაბილეთებისა და სავიზო მომსახურების გარდა.*

*ჩვენი ფედერაციის წლევანდელი ბიუჯეტი არ გვაძლევს საშუალებას გავემგზავროთ დიდ ბრიტანეთში, მაგრამ, იმედია, გამოჩნდებიან სპონსორები და შევძლებთ შეფილდში გამგზავრებას. უახლოეს დღეებში მივმართავთ საქართველოში არსებულ ბრიტანულ კომპანიებს ფინანსური დახმარებისათვის. ჩვენ კი მზად ვართ ნაკრების ეკიპირებაზე სპონსორი კომპანიის ლოგო განვათავსოთ".*

ჭადრაკი

# ჩიბურდანიძე გრანპრისთვის იბრძოლებს

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ წლევანდელიდან ვაუთა გრანპრის ტურნირები შემოიღო და ორი ეტაპი უკვე ჩატარდა. ახლახან კი იმავე მასშტაბის და მნიშვნელობის შეჯიბრების გამართვის ინფორმაცია გახმოვანდა ქალებისათვის. ასეთ ტურნირებში მსოფლიო ჭადრაკის ლიდერებს ირჩევენ, თუმცა გარკვეული სუბიექტურობა აქაც შეინიშნება: ქვეყანა, რომელიც გრანპრის მასპინძლობს, საკუთარ აზრსაც აძლევს გასაქანს. ამჯერად სწორედ ასეა და პირველ ეტაპზე, რომელიც სტამბოლში გაიმართება 6-21 მარტის ჩათვლით, არცთუ ძლიერი თურქი მოჭადრაკეც მიიღებს მონაწილეობას, მე-12 ნომრად **ბეთულ ქემრე ილდიზი** ითამაშებს. მისი რეიტინგი საკმაოდ დაბალია - 2214 და ცხადია, გამოკვეთილი აუტსაიდერი იქნება. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ თურქი ბოლო ადგილზე დაასრულებს ტურნირს. დანარჩენი თერთმეტის დარი მას არც გამოცდილება აქვს, არც ოსტატობა. შემადგენლობას დაწვრილებით ქვემოთ ჩამოვთვლი, იქამდე კი სიამოვნებით აღვნიშნავ, რომ ფიდემ ლეგენდარულ ქართველ მოჭადრაკეს, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონ **მაია ჩიბურდანიძეს** დასდო პატივი და პერსონალურად მიიწვია. მაიას რეიტინგი დღეისათვის 2516-ია და მეექვსეა განთესვით. პირველია **ჰამპი კონერუა** - 2621. მეორე ჩინელი ჰოუ იფანი - 2571; 3. **ანტუანეტა სტეფანოვა** - 2557 (ბულ); 4. **პია კრამლინგი** - 2548 (შვედ.); 5. **მარი სებაგი** -2529 (საფ); 7. **ჭაო სიუ** - 2508 (ჩინ); 8. **ჭუ ჩენი** (ყატ.); 9. **ელინა დანიელიანი** - 2496 (სომ); 10. **შენ იანგი** - 2448 (ჩინ); 11. **ზეინაბ მამედიაროვა** - 2362 (აზერ.) 12. ბეთულ ქემრე ილდიზი - 2214 (თურ.). თურქის მონაწილეობამ საერთო რეიტინგ - მაჩვენებელი კი დაუგდო ტურნირს, მაგრამ მაინც საკმაოდ მაღალი საშუალო ქულა გამოვიდა - 2488.

როგორც ხედავთ, საინტერესო პაექრობების მხილველნი გავხდებით, მაგრამ საკვირველი ერთი რამ არის: ამავე ვადებში სანკტ-პეტერბურგში ევროპის ქალთა ინდივიდუალური ჩემპიონატი ტარდება და რატომ დაამთხვიეს გრანპრის პირველი ტური ევროპის ჩემპიონატს, ყოვლად გაუგებარია. სამწუხაროდ, აღარაფერი შეიცვლება და ჩვენც ისღა დაგვრჩენია, რომ ორივე ტურნირს ერთად მივადევნოთ თვალი. თუმცა არც ამით მთავრდება საჭადრაკო „სამოთხე", - ევროპის ჩემპიონატი ვაჟებს შორისაც იმართება და ისიც იმავე ვადებში, თუმცა არა რუსეთში, არამედ სლოვენიაში, ცნობილ საკურორტო და საჭადრაკო ქალაქ ბუდვაში. ასე რომ, ჭადრაკის მოყვარულებს მარტის თვეში მოსაწყენად არ ეცლებათ.

**ზვიად შათირიშვილი**

# პრიზამდე მცირე დააკლდა

გერმანულ ნოიშტადში დასრულდა დიდი საერთაშორისო ღია ტურნირი, სადაც ორი ქართველი ქალბატონი თამაშობდა. სამწუხაროდ, **ბელა ხოტენაშვილმაც** და **ნინო ბაციაშვილმაც** შესაძლებლობებზე ცუდად იასპარეზეს და მათთვის შეუსაბამო ადგილები დაიკავეს: ბელამ 5,5 ქულით 82-ე ადგილზე დაასრულა ტურნირი, ნინომ კი 4,5 ქულას მოუყარა თავი, რაც მხოლოდ 153-ე ადგილისთვის გახდა საკმარისი. ბოლო ტურში ხოტენაშვილი შავებით ხვდებოდა გერმანელ მოჭადრაკეს, რომელსაც მაღალი რეიტინგი არ ჰქონდა, მაგრამ ჩვენებურმა მოგება ვერ მოახერხა - ყაიმი დაფიქსირდა. ბაციაშვილი კი ლამის მოყვარულ მოჭადრაკეს შეახვედრა წილისყრამ და როგორც წინა რეპორტაჟში ვთქვით, მისი დამარცხება არ უნდა გასჭირვებოდა. საბედნიეროდ, ასეც მოხდა და ნინომ ოდნავ გამოისწორა სატურნირო მდგომარეობა, თუმც გვარიან რეიტინგკლებას ვერაფრით ასცდება...

ტურნირზე ქალთა შორისაც თამაშდებოდა პრიზები. ხოტენაშვილს ბოლო ტურში რომ მოეგო, საპრიზოს შესწვდებოდა, მაგრამ ყაიმმა ამის საშუალება არ მისცა.

ქალთა შორის გამარჯვება 6,5 ქულით სლოვენიელმა **ანა მუზიჩუკმა** მოიპოვა. ტურნირი კი ჰოლანდიელმა **სერგეი ტივიაკოვმა** მოიგო, რომელმაც 7,5 ქულა დააგროვა და ერთპიროვნულად მოექცა ცხრილს სათავეში. მეორე ადგილზე 7ქულით გერმანელი საერთაშორისო ოსტატი **სებასტიან ბოგნერი** გავიდა, რაც ტურნირის მთავარ სენსაციად იქცა. მისი განთესვის ნომერი 36 იყო, რაც ამგვარ წარმატებას ასეთ წარმომადგენლობით ტურნირში ლამის გამორიცხავს. აქვე დავძენთ, რომ ათეულში ერთი საერთაშორისო ოსტატიც მოხვდა - სომეხი **ტიგრან ლარამიანი,** თუმცა ტიგრანი მაღალი რეიტინგის მოჭადრაკეა და განთესვითაც მე-13 იყო.

ხოტენაშვილი და ბაციაშვილი გერმანიიდან საბერძნეთში უნდა გამგზავრებულიყვნენ კიდევ ერთ საერთაშორისო ტურნირში სათამაშოდ.

**ზვიად შათირიშვილი**

სამთო-თხილამურობა — საქართველოს ჩემპიონატი

# გუდაურში მორჩა, ბაკურიანში იწყება

გუშინ გუდაურში სამთოთხილამურობაში გიგანტური სლალომის მეორე სტარტი კვლავ საქართველოს ნაკრების წევრთა უპირატესობით დასრულდა. პირველი ისევ ბაკურიანელი **იასონ აბრამაშვილი იყო,** მეორე გუდაურელი **ალეკო ბენიანიძე,** მესამე — ბაკურიანელი **კოტე ვახტანგიშვილი.**

ქალებში ადგილები ასე განაწილდა: 1. **ნინო წიკლაური** (გუდაური), 2. **ნატალია გავა** (ბაკურიანი) 3. **თეონა მელიქიშვილი** (გუდაური).

*„განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო 12 წლის მესტიელი ყმაწვილის* ***სოსო ჯაფარიძის*** *გამოსვლა. ფაქტობრივად, მან არა მხოლოდ თავის ასაკში, 16 წლამდე სხვა მონაწილეთა შორისაც იპირველა. არიან სხვა პერსპექტიული მოზარდებიც. სოსო ევროპაში მიმყავს ნაკრებთან ერთად და სხვასაც წავიყვან თუ თავს ვინმე გამოიჩენს. ახლა წინ ბაკურიანის სტარტებია"* — გვითხრა საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **გერა აბრამიშვილმა.**

დღეს ჩემპიონატი ბაკურიანში სლალომით გაგრძელდება.

**თენგიზ თომაშვილი**

ფიგურული ციგურაობა

# ბექა დღეს იწყებს, ელენე ზეგ



ელენე გედევანიშვილი

ბულგარეთის დედაქალაქ სოფიაში გუშინ დაიწყო და 28 თებერვლის ჩათვლით გასტანს მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატი ფიგურულ ციგურაობაში. ტურნირს სოფიას ულამაზესი არენა, „ზამთრის სპორტის სასახლე" მასპინძლობს, რომლის ყინულზეც ორი ქართველი მოციგურავე გამოვა: **ბექა შანყულაშვილი** და **ელენე გედევანიშვილი.**

გუშინ ყინულზე ცეკვების და წყვილთა თანრიგის შეჯიბრებების დრო იყო. ამ უკანასკნელ დისციპლინაში ქართული წარმოშობის **ნოდარ მაისურაძე** გამოდის **ლუბოვ ილიუშეჩკინასთან** დუეტში. ეს რუსული წყვილი მსოფლიოს ახალგაზრდული ჩემპიონატის ერთ-ერთი ფავორიტია.

დღეიდან ჭაბუკთა პირველობა მოკლე პროგრამის შესრულებით იწყება. ბექა შანყულაშვილი მე-3 ჯგუფში რიგით მე-13 ისრიალებს. ამ დისციპლინაში ფავორიტებად კანადელი **კევინ რეინოლდსი,** ამერიკელი **კურან ოი,** ფრანგი **ფლორენ ამოდიო** და რუსი **არტემ გრიგორიევი** მიიჩნევიან.

ელენე გედევანიშვილისთვის მსოფლიოს ჩემპიონატი 27 თებერვალს დაიწყება მოკლე პროგრამით. ჯერჯერობით არ გარკვეულა მონაწილეთა რიგითობა გოგონათა შორის. ელენე მხოლოდ იმიტომ ასპარეზობს ახალგაზრდებში, რომ დიდებში სასურველი შედეგი ვერ აჩვენა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მკლავჭიდი

# კიდევ ერთი ტურნირი

რამდენიმე თვეა, ბათუმის საზღვაო აკადემიაში გახშირდა ტურნირები მკლავჭიდში. ამჯერად, აჭარის მკლავჭიდის ფედერაციის საპატიო პრეზიდენტის, **მურად აბაშიძის** ტურნირს ჩაეყარა საფუძველი, რომელიც აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, ბათუმის მერიის და შპს "გზების" მხარდაჭერით გაიმართა. მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, ოზურგეთის, ზესტაფონის, ბათუმის, ქობულეთის, ხულოს, ზუგდიდის და ხობის 120 მკლავჭიდელი. ისინი ოთხ წონით კატეგორიაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მონაწილეთა შორის იყვენენ მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები.

**ქვარცხლბეკი**

**65 კგ**
1. ალეკო აბუთიძე (ქუთაისი)
2. ზაზა ფუტკარაძე (ბათუმი)
3. ვილენი გაბრვა (ხობი)

**75 კგ**
1. ზაზა თაბაგარი (თბილისი)
2. ზურა თავბერიძე (ოზურგეთი)
3. გიორგი ძიდელიძე (ბათუმი)

**85 კგ**
1. ირაკლი განთენაძე (ქუთაისი)
2. მირზა გორგოძე (ქუთაისი)
3. აჩიკო თევდორაძე (ქუთაისი)

**95 კგ**
1. თენგო ელდაშვილი (ძარელი)
2. გიგა ტაბიძე (ქუთაისი)
3. ლევან ხავთასი (ოზურგეთი)

**მძიმე წონა**
1. გენადი კიკვინია (ხობი)
2. ბესო ლომინაძე (ოზურგეთი)
3. გია ჭუფარაძე (ქუთაისი)

**მირანდა მიქაძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა



კალათბურთი

# ბოისა ზადარში პარასკევს ითამაშებს

გუშინ **ვლადიმერ ბოისას** ინტერვიუ შემოგთავაზეთ. იგი იმედს გამოთქვამდა, რომ უახლოეს დღეებში ხორვატულ "ზადარს" შეუერთდებოდა. მისი იმედიცა და ბედიც მენეჯერის მარიფათზე იყო დამოკიდებული.

ხორვატულ პრესაში გაჩნდა ქართველი კალათბურთელის აგენტის, **რობერტ იაბლანის** კომენტარი. იგი გვაიმედებს, რომ ვოვა "ზადარს" დღეს შეუერთდება.

გთავაზობთ მენეჯერის კომენტარის ქართულ თარგმანს: *"მთელი დღეა, ზადარსა და მენორკას შორის ვარ, სატრანსფერო საკითხების ბოლო დეტალებს ვაგვარებ. პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ არასწორია ზოგიერთის ნათქვამი, თითქოს ბოისა "ზადარში" იჯარის წესით გადადის და მის ხელფასს "მენორკა" და "ზადარი" სანახევროდ გადაიხდიან. საქმე სხვაგვარადაა – ესპანური კლუბის ხელმძღვანელობას კონტრაქტის განწყვეტაზე უკვე ველაპარაკეთ. აგვისტოში გაფორმებული ხელშეკრულებით, ბოისას "მენორკაში" სეზონის ბოლომდე უნდა ეთამაშა, მაგრამ კლუბის შეფები კონტრაქტის განწყვეტაზე უკვე დავითანხმეთ. ასე რომ, "ზადარში" ჩასვლის შემდეგ ვლადიმერი ახალ ხელშეკრულებას გააფორმებს, რომლის მიხედვით იგი სეზონის დარჩენილ ნაწილს ხორვატიაში გაატარებს. ორ კლუბსა და კალათბურთელს შორის ურთიერთობები ისე ავაწყვეთ, რომ ყველა მხარე კმაყოფილია."*

ხორვატი ჟურნალისტები დაინტერესდნენ კონკრეტული ვადებით – ბოისა "ზადარს" როდის შეუერთდებაო?

აგენტი პასუხობს: *"ყველა საკითხი გადაწყვეტილია. ვლადიმერ ბოისა ახალ თანაკლუბელებს ოთხშაბათს, ბელგრადში უნდა შეხვდეს. ხოლო პარასკევს, ადრიატიკის თასზე სერბული ფმპ-ს წინააღმდეგ ითამაშებს. ვფიქრობ, ბოისასთვის გუნდის გასაცნობად, დასასვენებლად და მწვრთნელის მითითებების მოსასმენად ორი დღე, მეტნაკლებად, საკმარისი იქნება. იგი ხომ ადრეც მუშაობდა "ზადარის" ამჟამინდელ თავკაც ზმაგო საგადინთან."*

ასე და ამგვარად, ბოისასთან ერთად ხორვატიას ნელ-ნელა ვუახლოვდებით. თუ საქმე ისე აეწყო, როგორც კალათბურთელის აგენტმა იაბლანმა აღნიშნა, მაშინ ვოვას ხილვა 27 თებერვალს, ფმპ-სთან მატჩის ოქმშიც შეგვეძლება. ეს შეხვედრა ადრიატიკის თასის ეგიდით გაიმართება. ამ შეჯიბრებაში ბოისას მომავალ კლუბს 15 გამარჯვება, 7 მარცხი აქვს და სატურნირო ცხრილში მე-5 ადგილზეა. "ზადარი" ევროთასზეც თამაშობს, ხოლო ხორვატიის ჩემპიონატში დანარჩენ 5 პრივილეგირებულ კლუბთან ერთად გაზაფხულიდან ჩაერთვება.

**ვაჟა სიმონიშვილი**



საქართველო-პოლონეთი

კადეტთა ნაკრები

# თურქეთის ტურნირი მოვილიეთ

ანკარაში მიმდინარე „ტურკ ტელეკომის" საერთაშორისო ტურნირზე საქართველოს 16–წლამდელთა ნაკრებმა ბოლო ორი მატჩიც დათმო.

ჯგუფური ეტაპის შემდეგ **გია კაზანჯიანის** გუნდს ჯგუფებში ჩარჩენილ დანარჩენ მეტოქეებთან – იტალიასთან და უკრაინასთან მოუხდა დაპირისპირება და სამწუხაროდ, ვერც ერთის ძლევა მოახერხეს.

იტალიასთან ქართველებმა 47:69 წააგეს. მატჩის ბედი პირველივე მეოთხედში გადაწყდა, რომელიც ჩვენიანებმა 6:21 დათმეს.

ტურნირის ბოლო მატჩში ქართველები უკრაინას იმ გუნდს შეხვდნენ, რომელთანაც ტურნირის მეორე მატჩში 9 ქულის სხვაობით დამარცხდნენ. ქართულ-უკრაინული დაპირისპირება ამჯერადაც მეტოქის სასარგებლოდ დასრულდა. კაზანჯიანის გუნდმა 52:73 წააგო და ტურნირი მოუგებლად დაასრულა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# ჩხატარაშვილი, ენადი და პლეი ოფი

გუშინ **ნიკა ჩხატარაშვილის** "ენადმა" კვიპროსის ჩემპიონატის ლიდერი "ინტერკოლეჯი" დაამარცხა. შეხვედრა დაძაბული იყო, ენადმა გამარჯვების მოპოვება ბოლო წუთზე მოახერხა. ქართველი ფორვარდის ანგარიშზე 37 წუთში 17 ქულა (4-დან 3 სამქულიანი, 5-დან 4 ორქულიანი), 7 მოხსნა, 4 პასი და სამი ჩაჭრა. ჩხატარაშვილმა გადამწყვეტი ბურთი შეხვედრის დამთავრებამდე ერთი წუთით ადრე ჩააგდო და გუნდი ორი ქულით წინ გაიყვანა. ამის შემდეგ ინტერკოლეჯმა ანგარიში გაათანაბრა და საბოლოოდ, "ენადს" გამარჯვება გამთამაშებელმა **პანდურის გრიგორისმა** ორქულიანით მოუტანა.

ბოლო დღეებში "ენადმა" შემადგენლობა მნიშვნელოვნად შეასუსტა: გუნდი ლეგიონერების უმეტესობამ დატოვა. კლუბში დარჩენილი უცხოელი მოთამაშეებიდან ერთ-ერთი ნიკა ჩხატარაშვილია. საქართველოს ნაკრების წევრის შედეგიანობა ასეთი ცვლილებების ფონზე ორმაგად სასიხარულოა.

ნიკა ჩხატარაშვილსა და "ენადს" პლეი ოფში გასასვლელად ერთი თამაშის მოგებაღა სჭირდებათ: მათ "ჰაპოელის" დამარცხება უნდა შეძლონ.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართველი NBA-ში



# იუტას ხმალი, ატლანტას ქისერი

ატლანტელმა "ქორებმა" ზედიზედ მეხუთე გასვლითი შეხვედრა ჩაატარეს და მესამედ დამარცხდნენ. ამჯერად "ატლანტას" ფარ-ხმალი იუტელმა "ჯაზმენებმა" დააყრევინეს. სიტყვები "ფარი" და "ხმალი" მხოლოდ ტექსტის შესალამაზებლად არ გამოგვიყენებია – "იუტამ" მართლაც იოლად აჯობა ჯორჯიელებს (108:89).

მატჩის ბედი მესამე პერიოდში მასპინძელთა სასარგებლოდ გადაწყდა: ვიდრე **ზაზა ფაჩულია** ორ საჯარიმოს ზუსტად ისროდა, "ჰოქსი" მეტოქეს 23 ქულით ჩამორჩებოდა – 64:87.

მეოთხე პერიოდში მწვრთნელმა, **მაიკ ვუდსონმა** ქართველი ცენტრი თითქმის შეუცვლელად ათამაშა და ატლანტელებმა სხვაობის მხოლოდ 19 ქულამდე შემცირება მოახერხეს – 89:108.

სხვათა შორის, ფაჩულიას თანაგუნდელებმა წინა მატჩი 98:108 დათმეს. ამ ლოგიკას თუ მივყვებით, მომდევნო შეხვედრა 78:108 უნდა წააგონ, მაგრამ, საბედნიეროდ, საკალათბურთო ციფრები ლოგიკას არ ექვემდებარება და იმედი დავიტოვოთ, რომ "ატლანტა" "დენვერ ნაგეთსთან" გასამართ გასვლით შეხვედრაში გამარჯვების გემოს გაიხსენებს. ეს მატჩი 25 თებერვალს შედგება.

დავუბრუნდეთ საკალათბურთო ციფრებს. "ჯაზთან" მატჩამდე "ატლანტა ჰოქსს" 32 მოგება და 23 მარცხი ჰქონდა. იუტელებს – 33 გამარჯვება და 23 მოგება. "ჰოქსის" გამარჯვების შემთხვევაში მოგებათა რაოდენობა გაწონასწორდებოდა – 33-33, მაგრამ როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ციფრების სიმბოლიკა საკალათბურთო შოუს უმნიშვნელო დეტალი აღმოჩნდა – ""იუტამ" 34-ედ, დამაჯერებლად გაიმარჯვა.

ზედიზედ ორი მარცხის მიუხედავად ზაზა ფაჩულიას თანაგუნდელები აღმოსავლეთის კონფერენციის სატურნირო ცხრილში მე–4 ადგილს ინარჩუნებენ. ისინი სამი მოგებით უსწრებენ მეხუთეადგილოსან "მაიამი ჰიტს".

| იუტა–ატლანტა | 108:89 |
| --- | --- |
| ზაზა ფაჩულია: 16 წუთი, 8 ქულა, 12 მოხსნა, 3 პასი, 1 ჩაჭრა, 1 დაფარება | |
| **I პერიოდი** | |
| 01:39 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 10:51 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:53 | ორქულიანი: 2ძ (28:38) |
| 09:53 | საჯარიმო: 1\1 (3ძ, 29:38) |
| 08:23 | ზაზა სმითმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 02:39 | ზაზამ ჰორფორდი შეცვალა |
| 02:16 | ფოლი: 1 |
| 01:59 | საჯარიმოები: 2\2 (5ძ, 66:87) |
| 01:13 | ფოლი: 1 |
| 01:03 | შეცდომა: 1 |
| 00:47 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| **IV პერიოდი** | |
| 10:45 | მოხსნა: შეტ-0, დაც-2 |
| 10:43 | შეცდომა: 2 |
| 10:36 | საჯარიმოები: 2\2 (7ძ, 71:93) |
| 08:46 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 08:46 | ორქულიანი: 9ძ (76:99) |
| 06:03 | დაფარება: 1 |
| 05:39 | ფოლი: 3 |
| 05:10 | მოხსნა: შეტ-1, დაც-3 |
| 04:07 | მოხსნა: შეტ-1, დაც-4 |
| 03:41 | მოხსნა: შეტ-1, დაც-5 |
| 02:56 | ზაზა მორისმა შეცვალა |

**ვაჟა სიმონიშვილი**

რაგბი

ერთა თასი

# ქართველები კანში, რუსები თურქეთში

საქართველოს მორაგბეთა ნაკრები ერთა თასის მორიგ შეხვედრას შაბათს, 28 თებერვალს, მადრიდში ესპანეთის ნაკრების წინააღმდეგ გამართავს. ბორჯღალოსნები საწვრთნელ შეკრებას საფრანგეთში, ლაჟვარდოვან სანაპიროზე, საკურორტო ქალაქ კანში გადიან.

როგორც უკვე ვწერდით, საქართველოს ნაკრების რიგებში ორი ცვლილებაა. შერკინების კვაჭის **აქვსენტი გიორგაძის** (კასტრი) ნაცვლად გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ტიმ ლეინმა** „აჟენის" შერკინების ბურჯ **ანტონ ფეიქრიშვილს** უხმო. ბოლო მატჩებში ფულ ბეკად გამწესებული **მერაბ კვირიკაშვილის** ნაცვლად კი, ნაკრების 24 კაციან შემადგენლობაში „ლელოს" შუამარბი ალექსანდრე **თოდუა იქნება.**

საქართველოს ნაკრები ვარჯიშებს ადგილობრივი სარაგბო კლუბის ბაზაზე მართავს. „კანი" საფრანგეთის ჩემპიონატის ფედერალ 2 დივიზიონში ასპარეზობს და მის შემადგენლობაში ოთხი ქართველი მორაგბე ირიცხება: **რეზო ბელქანია, ალექსანდრე მჭედლიშვილი, ილია კახოიძე და ზვიად მათიაშვილი.**

მზადებას შეუდგა ჩვენი გუნდის მეტოქეც, ესპანეთის ნაკრები. „ლომების" ინგლისელმა მწვრთნელმა **გედ გლინმა** საწვრთნელ შეკრებაზე 24 მორაგბეს უხმო, რომელთაგან სამი ლეგიონერია. ყველაზე მეტი წარმომადგენელი კი, სარაგბო კლუბ „მადრიდს" ჰყავს. ამ გუნდიდან ნაკრებში 10 მორაგბეა გამოძახებული.



### ესპანეთის ნაკრები

**სესარ რივერა, ხუან კანო, ხავიერ სანოსა, პაბლო ფეიხოო, ხუან გონსალესი, იონ ინსაუსტი, დავიდ მოტა, ხავიერ სალაზარი, სესარ სემპერე, მატიას ტუდელა** (ყველა მადრიდი). **სერხიო ესტებანი** (სანტბოიანა), **ხაიმე ნავა, სეხიო სოუტო, დიეგო პენა** (სამივე ელ სალვადორი). **ხოსე ბორხესი, ლეანდრო არამბურუ, სებასტიან ატორი** (სამივე კახასოლი), **მეთიუ კუკი** (ვალენსია), **ხუან ალვარესი** (ბერა ბერა), **დავიდ ერნანდესი, მარტინ პალუმბო** (ორივე გეტხო), **მარკო ფერერი** (კლერმონი), **რომაინ როკე** (ტოაკი), **მეთიუ ლოპესი** (მონ დე მარსანი).

შაბათსვე ერთა თასზე ტურის ცენტრალური შეხვედრა ბუქარესტში გაიმართება. რუმინეთის ეროვნული ნაკრები რუსთა გუნდს დაუპირისპირდება. ესენი ბორჯღალოსნების უმთავრესი კონკურენტები არიან ერთა თასისათვის და მსოფლიოს თასის საგზურისთვის ბრძოლაში. ორივე მათგანი ორი ტურის შემდეგ უდანაკარგოდ ასპარეზობს.

რუმინელთა ზელანდიელმა თავკაცმა **ელის მიჩენმა** სარუსეთო სამზადისისთვის 26 მორაგბეს უხმო. შემადგენლობაში კვლავ არ ჩანს პირველხაზელი **პეტრიშორ ტოდერაშკი,** ასევე დისკვალიფიცირებული შერკინების კვაჭი **მარიუს ტინკუ.** ტრავმის გამო დააკლდებათ „მუხის ფოთლებს" მესამეხაზელი **ოვიდიუ ტონიცა.**

რუსები უკვე კვირაზე მეტია შეკრებაზე თურქეთში იმყოფებიან. სავარაუდოდ, ტრავმირებული მესამეხაზელი **სლავა გრაჩოვის** გარდა, ისინი ბუქარესტში ყველა უძლიერეს რუს მორაგბეს მოუყრიან თავს.

### რუმინეთის ნაკრები

შერკინება: **ნიკოლაე ნერე** (სტიაუა), **მიჰაიტა ლაზარი** (იაში), **იონ პაულიკა** (ბასი), **რადუ ბასალაუ** (სტიაუა), **კატალინ ბეკა, ფლირინ ტასკა, სტელიან ბურეა** (სამივე დინამო), **დანიელ კარპო** (ფარული), **დანიელ იანუსი** (სტიაუა), **ალინ კოსტე** (ნარბონი), **ანდრეი გორკიოაია** (კლუჟი), **მიჰაი მაკოვეი** (ბაია მარე), **ვალენტინ პოპირლანი** (დინამო), **ფლორინ კოროდეანუ** (სენ მარსეინი).

უკანა ხაზი: **პეტრე მიტი** (მონტობანი), **იონუც დიმოფტე, კატალინ დესკალუ** (ორივე სტიაუა), **ადრიან ბარბულიკეანუ, ჩაბა გალი** (ორივე დინამო), **კატალინ ფერკუ, ადრიან ვლაიკუ** (ორივე სტიაუა), **ვალენტინ კალაფეტეანუ, ანდრეი ფილიპი** (ორივე დინამო), **იონუც ბოტეზაცუ** (ბაია მარე), **სტეფან კიუნტუ** (დინამო), **მადალინ ლემნარუ** (არადი).

| ერთა თასი |
| --- |
| **28 თებერვალი** |
| ესპანეთი-საქართველო |
| რუმინეთი-რუსეთი |

**ბესიკ ჯანგავაძე**

ჩოგბურთი

# ერთი ნაბიჯით და...

26 წლის **მაკა ჩახნაშვილი** (221) ახლოსაა ფლორიდის შტატის ქალაქ ქლეარუოთერის საერთაშორისო ტურნირის (50 ათასი $) ძირითად ბადეში გასვლასთან. მაკამ მეორე საკვალიფიკაციო წრეში „უაილდ ქარდით" მიწვეული 17 წლის ამერიკელი **კოკო ვანდევეგე** (474) დაამარცხა - 6:1, 7:6 (2). მე-6 ნომრად განთესილი ჩახნაშვილი ფინალურ წრეშია, სადაც მისი მეტოქე სერბი **ანა იოვანოვიჩია** (269), თუკი ამ ბარიერსაც დაძლევს, ჩვენებური ძირითად ბადეში გაალწევს.

ამ ტურნირის პირველი ჩოგანი ფრანგი **ჟული კოენია,** რომელიც მსოფლიო კლასიფიკაციაში 77-ე პოზიციაზეა. წყვილთა თანრიგში მაკა ბრაზილიელ **მარია-ფერნანდა ალვეშს** (454) შეუწყვილდა. ძირითადი ბადის პირველ წრეში ისინი გერმანელ ვანესა **ჰენკეს** (417) და ხორვატ **დარია იურაკს** (322) ეთამაშებიან.

ახალგაზრდულ მსოფლიო რეიტინგში **ნიკოლოზ ბასილაშვილი** 286 ქულით 66-ე ჩოგანია, **ლაზარე კუხალაშვილი** - 290-ე. გოგონებში მხოლოდ **ეკა გორგოძის** გამოყოფა შეიძლება, რომელიც 170 ქულით 221-ე პოზიციაზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ძიუდო


ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო


ავტორის ფოტო
ჩემპიონები

# პირველად შეიარაღებულ ძალებში

**სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტისა და თავდაცვის სამინისტროს ერთობლივი ორგანიზებით ძიუდოში საქართველოს შეიარაღებული ძალების პირველი პირად-გუნდური ტურნირი გაიმართა. შეჯიბრებას სპორტულმა კლუბმა „ორბმა" უმასპინძლა. მედლებისთვის ბრიგადების სხვადასხვა ბატალიონის 170 წარმომადგენელი იბრძოდა.**

— კარგ წამოწყებას ჩაუყარა საფუძველი საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, — მითხრა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ **დავით ნამგალაურმა**. — გენერალურმა შტაბმა დაამტკიცა სპორტული ღონისძიებების კალენდარი. ფეხბურთსა და რაგბიში დაინიშნა 18 ხელფასიანი მწვრთნელი, რაც სპორტის ამ ორი სახეობის განვითარებას ხელს შეუწყობს.

დაგეგმილი ღონისძიებების რეალიზება, როგორც ხედავთ, ძიუდოთი დაიწყო. სამინისტროს თხოვნით, საორგანიზაციო საკითხებში ჩვენი დეპარტამენტიც ჩაერთო. შეჯიბრების ორგანიზატორებს ვაჩუქეთ ორი ტატამი, 14 კიმონო, მედლების შვიდი კომპლექტი და დიპლომები, ასევე, თასი გუნდურ შეჯიბრებაში გამარჯვებულის დასაჯილდოებლად. შეიარაღებული ძალების სპორტსმენებს მომავალშიც გავუმართავთ ხელს.

ლევან კილაძე, უფროსი ლეიტენანტი, გაერთიანებული შტაბის სპორტის სამსახურის უფროსი: — საჯარისო ნაწილებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის გააქტიურება გადავწყვიტეთ, რათა შეიარაღებულ ძალებში ცხოვრების ჯანსაღი წესი უფრო ფართოდ დავნერგოთ, ბევრი სპორტსმენი მოვიზიდოთ. ამას წინათ ღონისძიებების კალენდარი დავამტკიცეთ. სპორტის 11 სახეობაში გავმართავთ პირველობებს. არ არის გამორიცხული სამომავლოდ ფეხბურთისა და რაგბის ეროვნულ ჩემპიონატებში ჩავებათ. დიდი მადლობა სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტს, ბატონ დავით ნამგალაურს, რომელმაც პირველი დღეებიდანვე თანადგომა გამოგვიცხადა, სპორტული ინვენტარი და ფორმები გვაჩუქა. მადლიერებით მინდა მოვიხსენიო, აგრეთვე, ძიუდოს ეროვნული ფედერაციის მესვეურები. მათი დახმარება რომ არა, დღევანდელი შეჯიბრების გამართვა გაგვიჭირდებოდა. ჩვენთვის დიდი თანადგომა იყო ისიც, რომ ტურნირს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრი ბატონი **ნიკა რურუა** დაესწრო. ვეცდებით, ორთაბრძოლები სხვა სახეობებშიც ასე ორგანიზებულად და მაღალ სპორტულ დონეზე გავმართოთ.

აქვე გაუწყებთ, რომ ძიუდოში პირველი ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორები შვიდ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ:

60 კგ. 1. ხვიჩა ხაფთანი, 2. გიორგი კარაპეტიანი. 3. გიორგი მარგალიტაშვილი და ზაზა ნიქაცაძე.

66 კგ. 1. მამუკა მაზმიშვილი, 2. იაგო ჩილინდრიშვილი, 3. ნიკოლოზ ხაბელაშვილი და თამაზ ხაბურზანია.

73 კგ. 1. ზურაბ დოლანაძე, 2. თემურ ხაბურზანია, 3. ოლეგ ბიწაძე და გრიგოლ მარგიანი.

81 კგ. 1. ალექსანდრე ჩახუნაშვილი, 2. გიორგი შიუკაშვილი, 3. გოჩა აბრამიშვილი და ალექსი ბოჭორიშვილი.

90 კგ. 1. მამუკა მარგიანი, 2. შალვა ხარაბაძე, 3. ირაკლი ნაკანი და გიორგი ღარიბაშვილი.

100 კგ. 1. კახაბერ მურაჩაშვილი, 2. იაგო ჯავახიშვილი, 3. რამაზ ნეფარიძე და ბაჩუკი ჩართოლანი.

მძიმე წონა: 1. დათო დარძული, 2. გელა ბეჭვაია, 3. ნუკრი რეზესიძე და გიორგი ტლაშაძე.

საერთო გუნდურ ჩათვლაში გამარჯვებისთვის მთავარი პრიზი სპეცდანიშნულების ბატალიონის ძიუდოისტებმა დაიმსახურეს.

ვაჟა დანელია

ჭიდაობა

# კიევით კმაყოფილები ბორჯომს მიაშურებენ


ზაზა თურმანიძე

**საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეებმა წლეულს საერთო ფიზიკური მომზადება ნახკაძორის (სომხეთი) მაღალმთიან კურორტზე გაიარეს. იქიდან დაბრუნებისთანავე უკრაინის დედაქალაქს მიაშურეს და მთავარი მწვრთნელის ზაზა თურმანიძის ხელმძღვანელობით კიევის საერთაშორისო ტურნირში ჩაებნენ. საპრიზო ადგილებისთვის 25 ქვეყნის საუკეთესო ფალავნები იბრძოდნენ. მათთან პაექრობაში ჩვენმა ბიჭებმა, როგორც უკვე გაუწყეთ, ერთი ვერცხლისა (დავით ოთიაშვილი) და ორი ბრინჯაოს (ბესიკ გოჩაშვილი, მალხაზ ქურდიანი) მედალი მოიხვეჭეს.**

სამშობლოში დაბრუნებულმა სპორტსმენებმა გუშინ ფალავანთა კლუბში პრესკონფერენცია გამართეს.

კახა გეწაძე, ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი: - შარშან ჩვენმა ბიჭებმა ოლიმპიურ თამაშებსა თუ ევროპის ჩემპიონატზე მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწიეს და ღირსეული ფურცლები ჩაწერეს ქართული სპორტის ისტორიაში. ახლა უკვე 2012 წლის თამაშებისთვის ვიწყებთ მზადებას. „ლონდონში უკეთ, ვიდრე პეკინში" — ასეთია სამერმისო დევიზი. სიტყვა საქმედ რომ ვაქციოთ, აქედანვე უნდა შევარჩიოთ ის მოჭიდავეები, რომლებიც დიდი ბრიტანეთის დედაქალაქში ქვეყნის სპორტულ ღირსებას დაიცავენ. ნაკრებისთვის საჭიროა ახალი შევსება. ამიტომ ეროვნული გუნდის ყველა კანდიდატი საერთაშორისო ტურნირებზე უნდა გამოვცადოთ. ამასწინანდელი თურქეთისა და კიევის საერთაშორისო შეჯიბრებები სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. პარალელურად ევროპის ჩემპიონატისთვისაც ვემზადებით, რომელსაც 31 მარტიდან ვილნიუსი უმასპინძლებს.

**ზაზა თურმანიძე:** - კიევის ტურნირი ჩვენთვის პირველი საშეჯიბრო ასპარეზობა იყო, ამიტომ, მართალი გითხრათ, ამდენ ჯილდოს არც ველოდი, თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ უკრაინის დედაქალაქში გუნდები, ფაქტობრივად, პირველი ნომრებით იყვნენ ჩამოსული — კონტინენტის ჩემპიონატის წინ ყველას აინტერესებდა, როგორ არიან მზად ფალავნები ამ მნიშვნელოვანი შეჯიბრებისთვის.

ნახკაძორის შემდეგ ხალიჩაზე ერთი კვირა მაინც რომ გვემუშავა, დარწმუნებული ვარ, ჯილდოები უფრო მრავალრიცხოვანი იქნებოდა.

25 თებერვლიდან ბორჯომში მეორე საწვრთნელ შეკრებას დავიწყებთ. ყველაფერს ვილონებთ, რათა ევროპის ჩემპიონატს ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას და სპორტის დეპარტამენტს, რომლებმაც შესაძლებლობა მოგვცეს, საერთაშორისო ტურნირებზე ფალავანთა მაქსიმალური რაოდენობა გამოვცადოთ. ეს დადებით შედეგს გამოიღებს.

**მალხაზ ქურდიანი:** — სასტარტო ტურნირზე ბრინჯაოს მედალი ურიგო არ არის, მაგრამ შეჯიბრების ბოლოს ვიგრძენი, რომ მეტი შემეძლო. 2006 წელს მოსკოვში ევროპის ჩემპიონატზე მოლდოველ ანდრი პერტელიტასთან დავმარცხდი. კიევში რევანში ავიღე. ერთიც მინდა ვთქვა: შარშან პეკინის ოლიმპიადის საგზურამდე ცოტა დამაკლდა, ამიტომ ახალ ოთხწლიან ოლიმპიურ ციკლში ყველაფერს გავაკეთებ, რათა ლონდონის თამაშების ლიცენზია მივიღო და ბრიტანეთის დედაქალაქშიც მედლისთვის ვიბრძოლო.

**დავით ოთიაშვილი:** — ბოლო ექვსი წელიწადია, ტრავმების გამო მნიშვნელოვან საერთაშორისო ტურნირებში არ მიჭიდავია. 2002 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალში ქართული წარმოშობის ოლიმპიურ ჩემპიონ დავით მუსულბესთან (ჩოხელთან) დავმარცხდი. მერე ტრავმა მივიღე, ორჯერ ოპერაცია გავიკეთე. შარშან უკეთ ვიგრძენი თავი და გერმანიას გავემგზავრე ქალაქ ბურგჰაუზენის კლუბში. ბუნდესლიგაში სექტემბრიდან 15 იანვრამდე 16 შეხვედრა მოვიგე და ის ერთადერთი ორთაბრძოლა ისევ მუსულბესთან დავთმე, რომელმაც პეკინში უკვე სლოვაკეთის სახელით ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

რაც შეეხება კიევის ტურნირს, საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი. მეორე ადგილით კმაყოფილი ვარ. ვეცდები, ევროპის ჩემპიონატზე უკეთ ვიასპარეზო...

*კონტინენტის პირველობამდე თვეზე ცოტა მეტი რჩება. საქართველოს თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ნაკრები მანამდე ორ საწვრთნელ შეკრებას გაივლის და შემდეგ დაზუსტდება ის შემადგენლობა, რომელიც მარტის მიწურულს ვილნიუსში გაემგზავრება.*

ვაჟა დანელია

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო

ხელბურთი

*ინტერვიუ რატი მსხვილიძესთან*

# ბრძოლა მეტალოპლასტიკას ძირითადისთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

**საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი რატი მსხვილიძე სულ ცოტა ხნის წინათ გახდა ლეგიონერი. მან სტუ-დან სერბულ "მეტალოპლასტიკას" მიაშურა. ეს მსხვილიძის მეორე უცხოური კლუბია. მანამდე იგი ისლანდიური "სტარნანის" ღირსებას იცავდა, ბოლოს კი დროებით სტუ-ში თამაშობდა. რატის სერბეთში შევეხმიანეთ და ახალ გუნდში მიღებულ შთაბეჭდილებებზე ვესაუბრეთ.**


რატი მსხვილიძე

**- როგორ მიმდინარეობს ახალ გუნდთან შეგუების პროცესი?**

- ყველაფერი ნორმალურადაა, "მეტალოპლასტიკაში" კარგად მიმიღეს, გუნდთან ადაპტაციას მალე ბოლომდე გავივლი და დარწმუნებული ვარ, შედეგიანად ავთამაშდები. სხვათა შორის, საკმაოდ ძველი და ტიტულოვანი კლუბია, თავის დროზე ევროპის ჩემპიონთა თასიც კი მოუგია.

**- სათამაშო პრაქტიკა საკმარისი გაქვს?**

- ჯერჯერობით, მოედანზე მცირე დროს ვატარებ. თუმცა უკვე რამდენიმე მატჩში მივიღე მონაწილეობა და მოედანი უგოლოდ არ დამიტოვებია. რაც მთავარია, ჩემთვის ჩვეულ, ინსაიდის პოზიციაზე მათამაშებენ. დარწმუნებული ვარ, მოედანზე მალე უფრო მეტ დროს გავატარებ. ფიზიკურად ცოტა მოვძლიერდები და ყველაფერი რიგზე იქნება. დღეში ორჯერ ვვარჯიშობთ, დიდი დატვირთვებია, რაც აუცილებლად წამადგება. აქ სკამზე დასაჯდომად ნამდვილად არ ჩამოვსულვარ და ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ "მეტალოპლასტიკასთვის" შეუცვლელი მოთამაშე გავხდე.

**- ქალაქს როგორ შეეგუე?**

- შაბაცი პატარა, მაგრამ მყუდრო და ლამაზი ქალაქია. აქ შესანიშნავი საყოფაცხოვრებო პირობები მაქვს, ხალხიც ძალიან თბილია. შაბაცში ხელბურთი თითქმის ყველას უყვარს და ხელბურთელებს ძალიან გვაფასებენ.

**- რა ხანგრძლივობის კონტრაქტი გააფორმე?**

- "მეტალოპლასტიკასთან" ორწლიანი ხელშეკრულება მაკავშირებს და უფრო დიდი ხნითაც სიამოვნებით დავრჩებოდი.

**- კონტრაქტის პირობებით კმაყოფილი ხარ?**

- დიახ, ჩემთვის ყველაფერი მისაღებია.

**- "მეტალოპლასტიკა" უფრო ძლიერი გუნდია თუ "სტარნანი"?**

- ალბათ, დაახლოებით ერთი დონის გუნდები არიან.

**- ისლანდიიდან რატომ წამოხვედი?**

- კლუბი გაკოტრდა და სხვა გამოსავალი აღარ მქონდა. სტუ-ს შემადგენლობაში უკონტრაქტოდ ვითამაშე, გუნდს მხოლოდ თბილისის მერიის თასზე დავეხმარე.

**- სერბეთის ჩემპიონატში რა მდგომარეობაა?**

- ჩემპიონატში 16 გუნდი მონაწილეობს, ჩვენ მესამე ადგილზე ვართ და ჩემპიონობის შანსი არ დაგვიკარგავს. თუმცა სავარაუდოდ, საპრიზო ადგილზე გასვლაც დამაკმაყოფილებელ შედეგად ჩაითვლება. სერბეთში სეზონი მაისში დასრულდება.

**- ევროთასებზე ხომ არ გამოდიხართ?**

- ამ სეზონში არა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, მომავალ სეზონში ევროტურნირები "მეტალოპლასტიკას" გარეშე არ ჩაივლის.

**- ბოლო სანაკრებო მატჩებს როგორ გაიხსენებ?**

- პოლონეთში ძალიან სასარგებლო ტურნე გვქონდა. მართალია, მასპინძლებთან სამივე თამაში წავაგეთ, მაგრამ ფასდაუდებელი გამოცდილება შევიძინეთ. იმედია, ეროვნული ნაკრები მალე შეიკრიბება, თორემ მთელი შრომა წყალში ჩაგვეყრება. სამწუხაროა, რომ უსახსრობის გამო, ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირზე ვერ გავედით. ამავე მიზეზით გადაიდო საქართველოს ჩემპიონატის დაწყება. მოკლედ, აშკარაა, რომ ქართული ხელბურთი მძიმე დღეშია. იმედია, ეს საშინელი პერიოდი მალე დასრულდება და ჩვენს სახეობას რალაც ეშველება.

ლევან ჯანეზაშვილი

გამოიწერეთ
ნებისმიერი ნომრიდან და
მიიღეთ თქვენთვის სასურველ
მისამართზე ფასნამატის გარეშე!
3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი
„ელვა ჯი"
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

სპორტული ფედერაციების საყურადღებოდ!
„ლელო" ქართული სპორტის მემატიანეა, მაგრამ თქვენ ამიერიდან შესაძლებლობა გეძლევათ, სპეციალური გვერდების მომზადებით, მომავალს უფრო ვრცლად შემოუნახოთ თქვენი სპორტის სახეობის დღევანდელობა და წინსვლა, ფედერაციის ღვაწლი.
დაწვრილებითი ცნობებისთვის ისარგებლეთ ჩვენი გაზეთის მე-2 გვერდზე საცნობარო ბლოკში მითითებული კავშირის ნებისმიერი საშუალებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჰოკეი

NHL. რეგულარული ჩემპიონატი

| დალასი–სან ხოსე | 0:1 |
|---|---|

0:0, 0:0, 0:1

გოლი: 0:1 სეტოგუჩი-25 (ქლოუ-28, ერჰოფი-22).

## კვირის სამი ვარსკვლავი

ჰოკეის ეროვნული ლიგის ხელმძღვანელობამ გასული კვირის პირველ ვარსკვლავად "ფილადელფია ფლაიერზის" ფორვარდი **მაიკ რიჩარდსი** დაასახელა. ამ თავდამსხმელმა ორ მატჩში 8 ქულა (3 გოლი+5 პასი) დააგროვა და გასული შვიდი დღის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. რიჩარდსმა "ბაფალოსთან" მატჩში (6:3) ხუთი ქულა მიითვალა, რითაც კარიერის რეკორდი დაამყარა. სხვათა შორის, "ფილადელფიას" ფორვარდი ლიგის ლიდერია რიცხობრივ უმცირესობაში გატანილი გოლებით - გასულ კვირას მან ეს მაჩვენებელი შვიდ შაიბამდე აიყვანა.

მეორე ვარსკვლავის სტატუსი "ფლორიდა პანტერზის" გოლკიპერ **ტომაშ ვოკოუნს** ერგო. მატჩში მან ორი "შათაუტი" შეასრულა და ჯამში 118 დარტყმიდან 115 მოიგერია. ჩეხ მეკარეს წლევანდელ სეზონში ექვსი "მშრალი" მატჩი დაუგროვდა.

მესამე ვარსკვლავი გახდა "ჩიკაგო ბლეკ ჰოქსის" გოლკიპერი **კრისტობალ იუე**. ამერიკული კლუბის სათადარიგო მეკარემ "ფლორიდას" წინააღმდეგ 31 დარტყმა მოიგერია და სეზონში მესამე "შათაუტი" შეასრულა.

აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ბოსტონი | 60 | 40 | 12 | 8 | 88 |
| 2. ვაშინგტონი | 60 | 38 | 17 | 5 | 81 |
| 3. ნიუ ჯერსი | 60 | 38 | 19 | 3 | 79 |
| 4. ფილადელფია | 57 | 31 | 17 | 9 | 71 |
| 5. მონრეალი | 60 | 31 | 22 | 7 | 69 |
| 6. რეინჯერსი | 61 | 31 | 23 | 7 | 69 |
| 7. ფლორიდა | 59 | 30 | 21 | 8 | 68 |
| 8. ბაფალო | 60 | 31 | 23 | 6 | 68 |
| 9. კაროლინა | 61 | 31 | 25 | 5 | 67 |
| 10. პიტსბურგი | 61 | 29 | 26 | 6 | 64 |
| 11. ტორონტო | 60 | 22 | 26 | 12 | 56 |
| 12. ოტავა | 58 | 22 | 27 | 9 | 53 |
| 13. ტამპა ბეი | 60 | 20 | 28 | 12 | 52 |
| 14. ატლანტა | 60 | 21 | 33 | 6 | 48 |
| 15. აილენდერსი | 59 | 18 | 35 | 6 | 42 |

დასავლეთი

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. სან ხოსე | 58 | 41 | 8 | 9 | 91 |
| 2. დეტროიტი | 60 | 39 | 13 | 8 | 86 |
| 3. კალგარი | 59 | 35 | 18 | 6 | 76 |
| 4. ჩიკაგო | 58 | 34 | 16 | 8 | 76 |
| 5. ვანკუვერი | 59 | 30 | 21 | 8 | 68 |
| 6. კოლამბუსი | 60 | 30 | 24 | 6 | 66 |
| 7. დალასი | 59 | 29 | 23 | 7 | 65 |
| 8. მინესოტა | 58 | 30 | 24 | 4 | 64 |
| 9. ედმონტონი | 59 | 29 | 25 | 5 | 63 |
| 10. ანაჰაიმი | 61 | 29 | 27 | 5 | 63 |
| 11. ნეშვილი | 60 | 28 | 28 | 4 | 60 |
| 12. ლოს ანჯელესი | 58 | 25 | 24 | 9 | 59 |
| 13. ფინიქსი | 60 | 27 | 28 | 5 | 59 |
| 14. სტ. ლუისი | 59 | 25 | 26 | 8 | 58 |
| 15. კოლორადო | 60 | 28 | 31 | 1 | 57 |

ბომბარდირები

გოლი+პასი

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 87 (27+60) |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 79 (23+56) |
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 77 (43+34) |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 74 (25+49) |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 70 (35+35) |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 69 (20+49) |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 68 (15+53) |
| მარკ სავარი (ბოს) | 65 (21+44) |
| პატრიკ ელიაში (ნ-ჯერ) | 64 (23+41) |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 64 (15+49) |

გოლები

| | |
|---|---|
| ალექსანდ ოვეჩკინი (ვაშ) | 43 |
| ზაკ პარიზე (ნ-ჯერ) | 35 |
| ჯეფ კარტერი (ფილ) | 34 |
| მარიან ჰოსა (დეტ) | 33 |
| პატრიკ მარლო (ს-ხოს) | 33 |
| ტომაშ ვანეკი (ბაფ) | 32 |
| ილია კოვალჩუკი (ატლ) | 30 |
| დენი ჰიტლი (ოტა) | 29 |
| მაიკლ კამალერი (კალ) | 29 |

პასები

| | |
|---|---|
| ევგენი მალკინი (პიტ) | 60 |
| სიდნი კროსბი (პიტ) | 56 |
| ჯო ტორნტონი (ს-ხოს) | 53 |
| ნიკლას ბექსტრიომი (ვაშ) | 49 |
| რაიან გეტცლაფი (ანა) | 49 |
| პაველ დაციუკი (დეტ) | 49 |
| ჰენრიკ სედინი (ვან) | 45 |
| მარკ სავარი (ბოს) | 44 |
| ბრაიან რაფალსკი (დეტ) | 42 |
| პატრიკ ელიაში (ნ-ჯერ) | 41 |

# რეინჯერსმა მწვრთნელი შეიცვალა



რეგულარული ჩემპიონატის მსვლელობისას ჰოკეის ეროვნული ლიგის კიდევ ერთმა კლუბმა შეიცვალა მთავარი მწვრთნელი. "ნიუ იორკ რეინჯერსის" ხელმძღვანელობამ პოსტიდან გაუშვა **ტომ რენი**. მართალია, ნიუიორკული კლუბი ჯერაც პლეი ოფის ზონაში იმყოფება, მაგრამ ბოლო 12 ტურში 10 მატჩი წააგო და რენის გადაყენების მიზეზიც სწორედ ეს გახდა.

რამდენიმე საათში რენის შემცვლელის ვინაობა გახდა ცნობილი. მინიმუმ სეზონის ბოლომდე "რეინჯერსს" ცნობილი სპეციალისტი **ჯონ ტორტორელა** უხელმძღვანელებს, რომელიც ამ ზამთრამდე ზედიზედ ექვსი სეზონი "ტამპა ბეი ლაითნინგს" ავარჯიშებდა და ამ გუნდს 2004 წელს სტენლის თასი მოაპოვებინა.

*"ჩვენს რამდენიმე ჰოკეისტს არ შეესაბამება რენის მიერ არჩეული სტილი. ჩემი აზრით, ტორტორელა სწორედ ის მწვრთნელია, რომელიც ახლა ჩვენს კლუბს სჭირდება,* - ამბობს "რეინჯერსის" გენერალური მენეჯერი **გლენ სატერი**. - *მჯერა, რომ ახალი მწვრთნელის ხელმძღვანელობით გუნდი უფრო მეტი ენთუზიაზმით დაიწყებს თამაშს".*

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# სერ ჩარლზს ხუთი დღით ჩააყუდებენ

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ყოფილ ვარსკვლავს **ჩარლზ ბარკლის** ხუთდღიანი პატიმრობა მიესაჯა. ამჟამად ტელეკომენტატორად მომუშავე ლეგენდარული კალათბურთელი სასამართლოს წინაშე მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის გამო წარდგა. სერ ჩარლზი სასჯელის მოხდას 2009 წლის 21 მარტიდან დაიწყებს.



გარდა ამისა, ბარკლი დაახლოებით 2 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმას გადაიხდის და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ მკურნალობის კურსს ჩაიტარებს.

ბარკლი პოლიციამ 2008 წლის 31 დეკემბერს, არიზონის შტატის ქალაქ სკოტსდეილში მაშინ დააკავა, როცა ყოფილი კალათბურთელი ღამის კლუბიდან შინ ბრუნდებოდა. ალკოჰოლის ტესტმა ორგანიზმში სპირტიანი სასმელის დადგენილზე ორჯერ მეტი დოზა დააფიქსირა.

სასამართლოს ასეთი მკაცრი სასჯელი იმით არის განპირობებული, რომ წარსულში ბარკლი ორჯერ გამოიჭირეს მანქანის არაფხიზელ მდგომარეობაში მართვის დროს.

თავად კალათბურთელმა სასამართლოს გადაწყვეტილებას დამსახურებული უწოდა და განაცხადა, რომ მისთვის ეს პატიმრობა სასარგებლოც კი იქნება.

*"საჭესთან ნასვამი დაჯდომა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება და ეს ყველამ უნდა იცოდეს,* - მოჰყავს სერ ჩარლზის სიტყვები სააგენტო AP-ის. - *იმედი მაქვს, ჩემი დანაშაული სხვა ადამიანებს დაიცავს მსგავსი საქციელისგან. თუ გულახდილად ვილაპარაკებთ, სასამართლო გადაწყვეტილება ჩემზე პოზიტიურად იმოქმედებს. არ ვთვლი, რომ სპირტიანი სასმელებისადმი მიდრეკილება მაქვს, მაგრამ მაინც საინტერესო იქნება პროფესიონალთა აზრი".*

ჩარლზ ბარკლიმ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში 16 სეზონი გაატარა და "ფილადელფიას", "ფინიქსის" და "ჰიუსტონის" შემადგენლობაში თამაშობდა. საშუალოდ მატჩში ის 22.1 ქულასა და 12.0 მოხსნას აგროვებდა. 1993 წელს ფორვარდი სეზონის საუკეთესო მოთამაშედ აღიარეს, 1992 წელს კი ბარსელონის ოლიმპიადის გამარჯვებული გახდა. 2006 წელს, ბარკლი კალათბურთის დიდების დარბაზში შეიყვანეს.

# რაკოჩევიჩი NBA-ში ბრუნდება



2009-10 წლების სეზონში NBA-ის ევროპული ლეგიონი კიდევ ერთი კალათბურთელით შეივსება. ესპანეთის "ტაუგრესის" სერბ მცველს **იგორ რაკოჩევიჩს** აღმოსავლეთი კონფერენციის ერთ-ერთი კლუბი დაუკავშირდა და სამწლიანი კონტრაქტის სანაცვლოდ 12 მილიონი დოლარი შესთავაზა. როგორც ესპანური პრესა წერს, სერბმა უკვე მიიღო მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში დაბრუნების გადაწყვეტილება.

*"მე მეგონა, რომ NBA-ში ჩემი კარიერა ექვსი წლის წინ დასრულდა, როცა სეზონის მსვლელობისას "მინესოტა" დავტოვე. მაგრამ ახლა საინტერესო წინადადება მივიღე და მისი წინასწარი განხილვის შემდეგ, ამერიკაში დაბრუნება გადავწყვიტე. ალბათ, ეს ჩემს კარიერაში უკანასკნელი მსხვილი კონტრაქტია",* - განაცხადა 30 წლის რაკოჩევიჩმა, რომელმაც 2002-03 წლების სეზონში 42 მატჩი ჩაატარა "ტიმბერვულვზის" რიგებში.

"ტაუგრესის" ხელმძღვანელობა კალათბურთელს მოქმედი კონტრაქტის ორი წლით გახანგრძლივებას სთავაზობდა, მაგრამ უარი მიიღო. წელს რაკოჩევიჩი ევროლიგაში საშუალოდ 20 ქულას აგროვებს, ესპანეთის ჩემპიონატში კი ანალოგიური მაჩვენებელი 20.7 ქულას შეადგენს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

| ნიუ ჯერსი–ფილადელფია | 98:96 |
|---|---|

19:31, 32:20, 23:24, 24:21

ნ-ჯ: დ. ჰარისი (39+8 პასი), დულინგი (16), ვ. კარტერი (10).

ფ: იგუოდალა (21+9 მოხსნა), ა. მილერი (17+10 პასი), ტ. იანგი (14+3 ჩაჭრა), გრინი (14), დალემბერი (13+10 მოხსნა+3 დაფარება), ლ. უილიამსი (10).

| ნიუ იორკი–ინდიანა | 123:119 |
|---|---|

23:20, 28:31, 42:36, 30:32

ნ-ი: რობინსონი (41+8 მოხსნა), ელ ჰარინგტონი (27+7 მოხსნა), დ. ლი (20+13 მოხსნა), ჩენდლერი (15).

ი: ჯეკი (33), მ. დენიელსი (28), მერფი (19+21 მოხსნა), ბ. რაში (14).

| დენვერი–ბოსტონი | 76:114 |
|---|---|

20:29, 17:31, 21:26, 18:28

დ: სმიტი (19), ენტონი (18), კლეიზა (10), პეტრო (9+10 მოხსნა).

ბ: რ. ალენი (26), პირსი (22), პოუ (16), რონდო (14+8 მოხსნა+8 პასი).

| იუტა–ატლანტა | 108:89 |
|---|---|

27:21, 39:31, 27:17, 15:20

ი: რ. ბრიუერი (19+3 ჩაჭრა+3 დაფარება), მილსეპი (16+12 მოხსნა), კორვერი (16), დ. უილიამსი (15+10 პასი), ჰარპრინგი (15).

ა: ჯო ჯონსონი (15), ჰორფორდი (14), მიურეი (13), მ. ევანსი (12), ჯ. სმიტი (11).

| საკრამენტ–ნ. ორლეანი | 105:112 |
|---|---|

24:29, 23:32, 27:23, 31:28

ს: მარტინი (32), ნოჩიონი (19+3 ჩაჭრა), გარსია (17+6 პასი), ჰოვსი (13+14 მოხსნა).

ნ-ო: პოლი (27+13 პასი+3 ჩაჭრა), დ. უესტი (24+9 მოხსნა+4 დაფარება), სტოიაკოვიჩი (18+8 მოხსნა), ტ. ჩენდლერი (15+10 მოხსნა), პოუსი (13), რ. ბატლერი (12).

| კლივლენდი–გ. სტეიტი | 118:105 |
|---|---|

27:27, 33:28, 29:24, 29:26

კ: ზ. რენდოლფი (27+11 მოხსნა), ე. გორდონი (27+7 მოხსნა), ბ. დევისი (25+9 მოხსნა+10 პასი+4 ჩაჭრა), ფ. ჯონსი (11), რ. დევისი (10).

გ-ს: ს. ჯექსონი (28), უოტსონი (16), კროუფორდი (15), აზუბუიკე (10), მაგეტი (10+7 მოხსნა).

## კვირის მოთამაშეები

"ორლანდო მეჯიქის" ცენტრი **დუაიტ ჰოვარდი** და "ლოს ანჯელეს ლეიკერსის" ფორვარდი **პაუ გასოლი** გასულის კვირის საუკეთესო მოთამაშეებად დასახელდნენ.

აღმოსავლეთი კონფერენციის ლაურეატმა ჰოვარდმა საშუალოდ მატჩში 25.5 ქულა, 15.0 მოხსნა (საუკეთესო შედეგი ლიგაში) და 4.3 დაფარება მიითვალა.

დუაიტმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი "შარლოტთან" შეხვედრაში. მან 45 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა და ამას 19 მოხსნა და 8 დაფარება დაუმატა. 2001 წლის შემდეგ პირველად მოხდა, როცა ერთმა მოთამაშემ მატჩში მინიმუმ 40 ქულა, 15 მოხსნა და 5 დაფარება მიითვალა. ბოლოს ასეთი შედეგი შაკილ ო'ნილს ჰქონდა.

დასავლეთში საუკეთესო პაუ გასოლი ზედიზედ მეორედ გახდა კვირის ლაურეატი. მისი საშუალო სტატისტიკური მაჩვენებლები 20.3 ქულას, 10.8 მოხსნასა და 6.5 შედეგიან გადაცემას შეადგენდა. ესპანელმა "ლეიკერსს" ზედიზედ ოთხი მატჩი მოაგებინა.



აღმოსავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. კლივლენდი | 54 | 43 | 11 | 79.6 |
| 2. ბოსტონი | 58 | 46 | 12 | 79.3 |
| 3. ორლანდო | 55 | 41 | 14 | 74.5 |
| 4. ატლანტა | 56 | 32 | 24 | 71.0 |
| 5. მაიამი | 55 | 29 | 26 | 52.7 |
| 6. დეტროიტი | 54 | 27 | 27 | 50.0 |
| 7. ფილადელფია | 55 | 27 | 28 | 49.1 |
| 8. მილუოკი | 59 | 28 | 31 | 47.5 |
| 9. ჩიკაგო | 56 | 25 | 31 | 44.6 |
| 10. ნიუ ჯერსი | 57 | 25 | 32 | 43.9 |
| 11. ნიუ იორკი | 56 | 24 | 32 | 42.9 |
| 12. ინდიანა | 59 | 24 | 35 | 40.7 |
| 13. შარლოტი | 56 | 22 | 34 | 39.3 |
| 14. ტორონტო | 58 | 22 | 36 | 37.9 |
| 15. ვაშინგტონი | 56 | 13 | 43 | 23.2 |

დასავლეთი

| | თ | მ | წ | % |
|---|---|---|---|---|
| 1. ლეიკერსი | 56 | 46 | 10 | 82.1 |
| 2. სან ანტონიო | 54 | 37 | 17 | 68.5 |
| 3. დენვერი | 57 | 37 | 20 | 64.9 |
| 4. პორტლენდი | 55 | 35 | 20 | 63.6 |
| 5. ჰიუსტონი | 56 | 35 | 21 | 62.5 |
| 6. ნიუ ორლეანი | 55 | 33 | 22 | 60.0 |
| 7. დალასი | 55 | 33 | 22 | 60.0 |
| 8. იუტა | 57 | 34 | 23 | 59.6 |
| 9. ფინიქსი | 55 | 31 | 24 | 56.4 |
| 10. გ. სტეიტი | 57 | 20 | 37 | 35.1 |
| 11. მინესოტა | 55 | 18 | 37 | 32.7 |
| 12. მემფისი | 55 | 15 | 40 | 27.3 |
| 13. კლიპერსი | 57 | 14 | 43 | 24.6 |
| 14. ოკლაჰომა | 56 | 13 | 43 | 23.2 |
| 15. საკრამენტო | 58 | 12 | 46 | 20.7 |

ქულები

| | |
|---|---|
| დუეინ უეიდი (მაი) | 28.8 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 28.7 |
| კობი ბრაიანტი (ლეი) | 27.6 |
| კევინ დურანი (ოკლ) | 26.2 |
| დირკ ნოვიცკი (დალ) | 25.3 |
| დენი გრეინჯერი (ინდ) | 25.0 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 23.1 |
| ბრენდონ როი (პორ) | 22.8 |
| კრის ბოში (ტორ) | 22.3 |
| დევინ ჰარისი (ნ-ჯერ) | 21.9 |

მოხსნები

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 14.2 |
| დევიდ ლი (ნ-იორკ) | 11.9 |
| ტრო მერფი (ინდ) | 11.7 |
| ანდრის ბიედრინში (გ-სტე) | 11.6 |
| ელ ჯეფერსონი (მინ) | 11.0 |
| ემეკა ოკაფორი (შარ) | 10.8 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 10.7 |
| იაო მინი (ჰიუ) | 9.6 |
| კრის ბოში (ტორ) | 9.6 |
| პაუ გასოლი (ლეიკ) | 9.5 |

პასები

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 10.8 |
| დერონ უილიამსი (ნ-ორლ) | 10.2 |
| სტივ ნეში (ფინ) | 9.8 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 8.5 |
| ხოსე კალდერონი (ტორ) | 8.4 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 8.4 |
| ბაირონ დევისი (კლივ) | 8.1 |
| კრის დუჰონი (ნ-იორ) | 7.9 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 7.2 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 7.1 |

ჩაჭრები

| | |
|---|---|
| კრის პოლი (ნ-ორლ) | 2.8 |
| ჯეისონ კიდი (დალ) | 2.2 |
| დუეინ უეიდი (მაი) | 2.1 |
| მარიო ჩელმერსი (მაი) | 2.0 |
| რაჟონ რონდო (ბოს) | 2.0 |
| ლებრონ ჯეიმსი (კლივ) | 1.8 |
| ანდრე იგუოდალა (ფილ) | 1.7 |

დაფარებები

| | |
|---|---|
| დუაიტ ჰოვარდი (ორლ) | 3.0 |
| მარკუს კემბი (კლივ) | 2.4 |
| რონი ტურიაფი (გ-სტე) | 2.2 |
| კრის ანდერსენი (დენ) | 2.1 |
| ჯერმეინ ო'ნილი (ტორ) | 2.0 |
| ტიმ დანკანი (ს-ანტ) | 1.9 |
| ბრუკ ლოპესი (ბოს) | 1.9 |
| ენდრიუ ბინუმი (ლეი) | 1.9 |

ჭადრაკი

პრეტენდენტთა მატჩი

# ბრძოლა მსოფლიოს ჩემპიონობისა და... რეკორდისთვის!

სოფიაში გრძელდება პრეტენდენტთა მატჩ-ტურნირი **ვესელინ ტოპალოვსა და გატა კამსკის** შორის. გუშინ მეექვსეჯერ მიუსხდნენ დაფას მოჭადრაკეები. ანგარიში ხუთი ტურის შემდეგ ტოპალოვს მიჰყავდა - 3:2, მეექვსეში თეთრებით ამერიკელი დიდოსტატი თამაშობდა და ინტრიგაც საკმაოდ დიდი იყო - შეძლებდა თუ არა კამსკი ანგარიშის გათანაბრებას. როგორც ადრე ვწერდით, ბულგარელის გუნდი უკეთ მუშაობს, რის ხარჯზეც სადებიუტო უპირატესობას იღებს ვესელინი. გუშინაც ამგვარი რამ ვიხილეთ, თუმცა არა ისეთი გამოკვეთილი, რომ მოგება შეძლებოდა ბალკანელს: ერთგვარი სიურპრიზი შესთავაზა და კარო-კანის დაცვა აირჩია. კამსკიმ განსაკუთრებული ვერაფერი მოიძია და პოზიცია მალევე გათანაბრდა. ერთი დრო თითქოს ინიციატივაც აილო ხელში ტოპალოვმა, მაგრამ მოსაგებად საკმარისი გზების მოძიება ვერც მან შეძლო. ბევრიც აღარ უფიქრიათ პრეტენდენტებს და 43-ე სვლაზე ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიში 3,5:2,5-ია ტოპალოვის სასარგებლოდ. მეშვიდე, ბოლოსწინა პარტია, ხვალ, 26 თებერვალს გაიმართება და შესაძლოა, ბოლოც კი გახდეს, - თუკი ვესელინი მოიგებს, მეტოქისთვის მიუწვდომელი გახდება. ამ შემთხვევაში, ცხადია, მერვე პარტია არ გათამაშდება.

მართალია, მეექვსე პარტია არცთუ თვალსასეირო გამოდგა, მაგრამ სანაცვლოდ სოფიიდან ერთი ძალიან საყურადღებო ინფორმაცია მივიღეთ. ბულგარელთა რიგით მეორე მოჭადრაკემ, **კირილ გეორგიევმა** მსოფლიოს რეკორდი დაამყარა ერთობლივი თამაშის სეანსში: ერთდროულად 360(!) დაფაზე ითამაშა, რასაც თოთხმეტი საათი და 8 წუთი მოანდომა. მსოფლიო რეკორდი ხანგრძლივობაში არ ფიქსირდებოდა - პარტიათა მოგებები მიიღებოდა მხედველობაში. თუმცა, ძვირფასო მკითხველო, ცოტა უნდა შევჩერდეთ და ზოგიერთი რამ განვმარტოთ. საქმე ის არის, რომ რამდენიმე პოპულარული საჭადრაკო საიტი სხვადასხვა ინფორმაციას ავრცელებს. ბატონ კირილს ერთმა ინტერნეტგამოცემამ 310 მოგება მიაწერა, რაც თურმე ძველ რეკორდს, რომელიც **ჟუჟა პოლგარს** ეკუთვნოდა, ერთი მოგებით სჯობდა. სხვა გამოცემებმა ისიც დაწერეს, თითქოს ბულგარელმა დიდოსტატმა 450 დაფაზე ითამაშა. სამწუხაროდ, გაუგებარი რჩებოდა, თუ რომელი იყო ოფიციალური ინფორმაცია. თუმცა „სპორტექსპრესის" საჭადრაკო მიმომხილველმა, **იური ვასილიევმა**, რომელიც სპეციალურად წერს საჭადრაკო საიტ „ჩესსპრო.რუ-სათვის," გეორგიევთან მცირე ინტერვიუ ჩაწერა. იქ კი რეკორდსმენი სულ სხვა ციფრებს ასახელებს: მისი თქმით, მან მოიგო 280 პარტია, წააგო ექვსი და დაუზავდა 74 მონაწილეს. გამოდის, რომ რეკორდი არ შემდგარა, თუმცა კირილ ბატონი აცხადებს, რომ რეკორდის დასამყარებლად საჭირო იყო პარტიათა 80 პროცენტის მოგება, მან კი 88 პროცენტი დააგროვა. ბოდიშს კი ვიხდით ყველას წინაშე, მაგრამ როგორც ჩანს ან თავად გეორგიევს აერია რაღაც, ანაც სხვები სცოდავენ. გეორგიევს რომ არეოდა, კიდევ გასაგებია - კაცი თოთხმეტი საათი თამაშობდა ჭადრაკს და 20 კილომეტრზე მეტი გაიარა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ დამკვირვებლებს ელემენტარული მათემატიკა ხომ კარგად უნდა სცოდნოდათ, როცა რეკორდსმენობას ანიჭებდნენ ბალკანელს?!. 360 პარტიიდან 280-ის მოგება ზუსტად 77.7 პროცენტია. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ასე დავთვალეთ. თუმცა რომც ვცდებოდეთ, 88 პროცენტი რეკორდისთვის საკმარისი ვერაფრით გახდებოდა, რადგანაც ჟუჟა პოლგარის მაჩვენებელი ბევრად აღემატება გეორგიევისას - ჟუჟამ 326 პარტიიდან 309-ში იმარჯვა, რაც 94,8 პროცენტს უდრის. ესეც ჩვენი გამოთვლით, თუმცა, კარგად მიხვდება მკითხველი, რომ დათვლა არ გაგვჭირვებია. ფაქტია, რომ არც ერთი ახალი მონაცემი სარეკორდო არ არის. ალბათ რაღაც სხვაგვარი შეცდომაა, რომელშიც, იმედია, მალევე გაგვარკვევენ. თუმცა, თავისთავად ის ფაქტი, რომ ასეთი მცდელობა იყო, მისასალმებელი და საინტერესოა. გეორგიევი ორი თვის განმავლობაში ემზადებოდა სარეკორდოდ; ძირითადად, ფიზიკურ კონდიციებს იმაღლებდა და ამ მიზნით ყოველდღიურად ტყეში ექვს კილომეტრს დადიოდა. როგორც საინფორმაციო წყაროები გვარწმუნებენ, გეორგიევს გარჯა დაუფასდა. დაბოლოს, სეანსში უმეტესად მოყვარული მოჭადრაკეები და მაქსიმუმ პირველთანრიგოსნები მონაწილეობდნენ. გაგიკვირდებათ და, მღვდელმსახურმაც კი გამოხატა თამაშის სურვილი და შეერკინა კიდეც დიდოსტატს. ამ დაპირისპირების შედეგზე არაფერს გვატყობინებენ, მაგრამ სურათი კი გვაახლეს და ჩვენც სიამოვნებით გაჩვენებთ.

**ზვიად შათირიშვილი**



ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ამხანაგური მატჩები** | |
| ვეილე-სილკებორგი | 1:1 |
| ლილესტრიომი-ტრომსიო | 1:3 |
| ვოლერენგა-რუზინი | 1:3 |
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| კრ. პალასი-ბირმინგემი | 0:0 |
| **I ლიგა** | |
| ბრაიტონი-ნორთჰემპტონი | 1:1 |
| ჩელტენემი-მილუოლი | 1:3 |
| კოლჩესტერი-სტოკპორტი | 1:0 |
| ქრიუ-იეოვილი | 2:0 |
| ოლდჰემი-როვერსი | 0:2 |
| პიტერბრო-კარლაილი | 1:0 |
| საუთენდი-სკანთორპი | 2:0 |
| სუინდონი-ჰარტლპული | 0:1 |
| **II ლიგა** | |
| აკრინგტონი-ლუტონი | 0:0 |
| დაგენჰემი-ბორნმუთი | 0:1 |
| დარლინგტონი-როჩდეილი | 1:2 |
| გრიმსბი-მორეკამბი | 2:3 |
| **კონფერენსი** | |
| ქროული-ლიუისი | 5:1 |
| გრეისი-კემბრიჯი | 0:1 |
| ჰისტონი-ბაროუ | 2:0 |
| ნორთვიჩი-კეტერინგი | 0:0 |
| რაშდენი-იორკი | 2:0 |
| სტეივენიჯი-უოკინგი | 1:0 |
| ტორკი-ფორესტ გრინი | 3:3 |
| **ინგლისის თასი** | |
| ქოვენთრი-ბლექბერნი | 1:0 |
| ფულჰემი-სუონსი | 2:1 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| ვეენდამი-ომნივორლდი | 0:2 |
| **შოტლანდია** | |
| **III დივიზიონი** | |
| ბირუიკი-ანენი | 1:1 |
| **უნგრეთი** | |
| დიორი-ჰალადაში | გადაიდო |
| **კალათბურთი** | |
| **ევროთასი** | |
| უნიქსი-ზადარი | 69:71 |
| ხიმკი-პანელინიოსი | 101:94 |
| მარუსი-დინამო (მ) | 76:80 |
| ცრვენა ზვეზდა-ჰემოფარმი | 65:91 |
| ერტლანდი-ლეტუვოს რიტასი | 70:79 |
| ბენეტონი-ტურკ ტელეკომი | 89:87 |
| ბილბაო-შარლერუა | 82:78 (ო) |
| ვალენსია-აზოვმაში | 68:66 |
| **ევროჩელენჯი** | |
| ცსკ ვვს-მონსი | 73:77 (ო) |
| ლოკომოტივი-ურალ გრეიტი | 86:84 |
| ტრიუმფი-ამსტერდამი | 76:75 |
| აელ-კახასოლი | 88:78 |
| კიევი-ოლდენბურგი | 64:54 |
| ეიფელ ტაუერსი-ლიეჟი | 67:58 |
| შოლე-ტელეკომი | 71:54 |
| **ჰოკეი** | |
| **კჰლ** | |
| ავანგარდი-აკ ბარსი | 1:3 |
| ხიმიკი-ლადა | 0:2 |
| ლოკომოტივი-მეტალურგი (მ) | 6:2 |
| სევერსტალი-ს. იულაევი | 0:4 |
| სკა-ტრაქტორი | 2:2 |
| სპარტაკი-მვდ | 5:2 |
| **[illegible]** | |
| ბრონი-ზალცბურგი | 1:3 |
| გრაცი-ვენა | 2:3 |
| ინსბრუკი-კლაგენფიურტი | 3:1 |
| ლინცი-ვილახი | 3:2 |
| **გერმანია** | |
| აისბარენი-ნიურნბერგი | 7:2 |
| ჰამბურგი-აუგსბურგი | 5:3 |
| **დანია** | |
| ოდენსე-ნორდსილანდი | 4:3 |
| სენდერიისკი-ესბერგი | 9:1 |
| ჰერნინგი-ოლბორგი | 5:2 |
| **სლოვაკეთი** | |
| ჟილინა-ბისტრიცა | 7:3 |
| კეჟმაროკი-მარტინი | 3:4 |
| კოშიცე-სკალიცა | 6:1 |
| პოპრადი-ნიტრა | 2:2 |
| სლოვანი-მიკულაში | 4:0 |
| ტრენჩინი-ზვოლენი | 0:4 |
| **ფინეთი** | |
| ლუკო-ჰპკ | 2:4 |
| სეი პა-პელიკანსი | 4:3 |
| ტაპარა-იოკერიტი | 0:3 |
| ტპს-კიეკო | 1:4 |
| ჰიფკ-ილვესი | 5:0 |
| იუვიასკიულა-კალპა | 5:5 |
| **ჩეხეთი** | |
| ზნოიმო-კლადნო | 5:3 |
| ბუდეიოვიცე-ბოლესლავი | 2:2 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-სიოდერტალე | 7:5 |
| ჰვ71-ბრიუნესი | 3:1 |
| იორგორდენი-აიკ | 2:2 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. აკაპულკო** | |
| გრანოლერსი-ფონინი | 7:6, 7:5 |
| მარტინი-დანიელი | 6:4, 7:5 |
| ალმაგრო-გონსალესი | 6:4, 6:2 |
| **ATP. დელრეი ბიჩი** | |
| მიულერი-სვიტინგი | 7:6, 6:2 |
| სელა-პეტცშნერი | 6:3, 6:1 |
| სპეიდი-გრემელმაირი | 2:6, 7:5, 6:1 |
| კუნიცინი-კოროლიოვი | 4:6, 6:7 |
| ჰიუტი-ლუ | 5:7, 6:2, 2:6 |
| გოლუბევი-კინგი | 6:2, 6:4 |
| ჰაასი-შარდი | 6:7, 3:6 |
| დენტი-ზვერევი | 4:6, 3:6 |
| **ATP. დუბაი** | |
| ბენეტო-მელცერი | 1:6, 6:3, 6:3 |
| კოლშრაიბერი-ლამერი | 6:1, 6:1 |
| სიმონი-გარიბი | 5:7, 6:4, 6:4 |
| გასკე-საფინი | 6:3, 5:7, 6:3 |
| ტროიცკი-ბოლელი | 3:6, 4:6 |
| იუჟნი-ჰერნიხი | 6:4, 1:6, 4:6 |
| ანდრეევი-დე ვოესტი | 6:4, 6:0 |
| შუტლერი-კლემანი | 6:1, 3:6, 3:6 |
| ჯოკოვიჩი-ჩიპოლა | 6:3, 6:2 |
| ტურსუნოვი-სეპი | 6:1, 6:4 |
| **WTA. აკაპულკო** | |
| იოჰანსონი-დე ლოს რიოსი | 6:4, 6:1 |
| მაირი-ანი | 6:4, 6:7, 4:6 |
| შავაი-ორლიკი | 7:5, 7:5 |
| პენეტა-კორიტცევა | 6:3, 6:1 |

ჩოგბურთი. დევისის თასი

# დელ პოტრო და ნალბანდიანი ერთმანეთს მტრობენ

არგენტინის ნაკრების ახალმა კაპიტანმა **მოდესო ვასკესმა** დევისის თასის პირველი რაუნდისთვის ეროვნულ ნაკრების შემადგენლობა დაასახელა. ჰოლანდიასთან მატჩში გუნდის პირველი ნომერი მსოფლიოს რეიტინგის მე-12 ჩოგბურთელი **დავიდ ნალბანდიანი** იქნება. 6-8 მარტს არგენტინის ნაკრების ღირსებას აგრეთვე დაიცავენ: **ხუან მონაკო** (56-ე ნომერი), **ხუან-იგნასიო ჩელა** (162) და **ლუკას არნოლდი** (39-ე ნომერი წყვილების კლასიფიკაციაში).

დევისის თასის შარშანდელი ფინალისტის რიგებში ვერ ვხედავთ მსოფლიოს მეშვიდე ჩოგან **ხუან მარტინ დელ პოტროს**. როგორც ვასკესი აცხადებს, დელ პოტროს ნაკრებში არყოფნა თავად ჩოგბურთელთან იყო შეთანხმებული: *„ჩვენ საკმარისი ძალები გვაქვს იმისთვის, რომ ხუან მარტინის გარეშე გავიმარჯვოთ. ეს იყო ორმხრივი გადაწყვეტილება, რადგან ამ მომენტისთვის უკეთესი იქნება, თუ დელ პოტრო საკუთარ კარიერას მიხედავს. ის ნებისმიერ ეტაპზე მზად არის ჩვენთვის დახმარების გასაწევად".*

თუმცა არგენტინული პრესა ირწმუნება, რომ დელ პოტროს უარის მიზეზი დავიდ ნალბანდიანთან დაძაბული ურთიერთობა გახლავთ.

არგენტინისა და ჰოლანდიის მერვედფინალი ბუენოს აირესში გაიმართება.

TV პროგრამა

## 25 თებერვალი. ოთხშაბათი

### რუსთავი 2

**23:40** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. რეალი-ლივერპული (LIVE).
**02:50** ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ჩელსი-იუვენტუსი.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

**07:55** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**09:00** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**09:55** არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**10:55** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ლიონი-ბარსე ლონა.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ინტერი-მანჩესტერ იუნაიტედი.
**15:20** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ატლეტიკო-პორტუ.
**17:20** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:35** საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
**18:35** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**19:05** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ლიონი-ბარსელონა.
**21:05** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**21:25** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. არსენალი-რომა.
**23:25** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩები. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
**01:45** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ჩელსი-იუვენტუსი.
**03:50** ლიბერტადორესის თასი. მიმოხილვა.
**04:45** ლიბერტადორესის თასი. ჯგუფური ეტაპი. გრემიო (ბრაზილია)-უნივერსიდად დე ჩილე (ჩილე) (LIVE).
**06:45** ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. I მატჩი. ვილიარეალი-პანათინაიკოსი.

### EUROSPORT

**11:30** სნუკერი. უელსის ლია პირველობა. ფინალი.
**13:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. პირველი მატჩების მიმოხილვა.
**14:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. გუნდური სპრინტი. კვალიფიკაცია. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
**15:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. სპრინტი. ფინალი. ქალები/კაცები. ლიბერეცი. ჩეხეთი.
**16:00** თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. გუნდური სპრინტი. ფინალი. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
**17:30** სნუკერი. უელსის ლია პირველობა. ფინალი.
**19:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს ჩემპიონატი. HS134. ვარჯიში. ლიბერეცი. ჩეხეთი (LIVE).
**21:00** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**21:15** თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. გუნდური სპრინტი. ფინალი. ლიბერეცი. ჩეხეთი.
**22:30** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:45** მულტისპორტი.
**23:05** ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. კონკური. ვიგო. ესპანეთი.
**00:05** ცხენოსნობა. მსოფლიოს თასი. კონკური. გიოტებორგი. შვედეთი.
**01:05** ცხენოსნობა. ახალი ამბები.
**01:10** გოლფი. US PGA-ის ტური.
**02:10** გოლფი. ევროპის ტური.
**02:40** გოლფ-კლუბი.
**02:45** აფროსნობა. იახტ-კლუბი.
**02:55** მულტისპორტი.
**03:00** სპორტული კურორტი. ტელეჟურნალი.
**03:15** სპორტული მეგზური. ტელეჟურნალი.
**03:30** თხილამურებით რბოლა. მსოფლიოს ჩემპიონატი. გუნდური სპრინტი. ფინალი. ლიბერეცი. ჩეხეთი.

### EUROSPORT-2

**10:30** ახალი ამბები.
**11:30** სნოუბორდი. უნივერსიადა. ჰარბინი. ჩინეთი (LIVE).
**13:00** ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. სკიკროსი. შვედეთი.
**14:00** ახალი ამბები.
**14:30** კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. IV ტური. ბენეტონი (იტალია)-ტურკ ტელეკომი (თურქეთი).
**15:30** ახალი ამბები.
**16:00** ექსტრემალური სპორტი.
**16:30** ახალი ამბები.
**17:00** ტრამპლინიდან ხტომა. უნივერსიადა. K125. ჰარბინი. ჩინეთი.
**18:00** ფეხბურთი. უეფას თასი. 1/16 ფინალი. პირველი მატჩების მიმოხილვა.
**19:00** კალათბურთი. ევროთასი. 1/8 ფინალი. IV ტური. ხიმკი (რუსეთი)-პანელინიოსი (საბერძნეთი).
**19:45** ახალი ამბები.
**20:00** ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. სკიკროსი. შვედეთი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** სნოუბორდი. ნორვეგია.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** რესტლინგი.
**23:30** კალათბურთი. ევროლიგა. ქალები. 1/4 ფინალი (LIVE).
**01:15** ხელბურთი. ჩემპიონთა ლიგა. კაცები. II ეტაპი. III ტური. კილი (გერმანია)-სვენდბორგი (დანია).
**02:00** ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი

# კუბიდან მეხუთე მოკრივე გაიქცა




54-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში ორგზის ოლიმპიური ჩემპიონი, კუბელი **გილერმო რიგონდო** ამერიკაში გაიქცა. 28 წლის მოკრივე მაიამიში დაფუძნდა, სადაც პროფესიულ კრივში კარიერის დაწყებას აპირებს. **ოდლანიერ სოლისის, იურიორკის გამბოას, იან ბარტელემისა** და **ერისლანდი ლარას** შემდეგ, რიგონდო მეხუთე კუბელი მოკრივეა, ვინც პროფესიული რინგის გამო სამშობლო მიატოვა.

2007 წელს, რიგონდომ ერთხელ უკვე სცადა გაქცევა. მან ოლიმპიურ ნაკრებში თავის ყოფილ პარტნიორთან ერისლანდი ლარასთან ერთად ბრაზილიისკენ აიღო გეზი, მაგრამ ისინი კუბაში დააბრუნეს. ამ ინციდენტის შემდეგ, კუბის ნაკრებმა ჩიკაგოში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობაზე უარი განაცხადა, რადგან ხელმძღვანელობა ნაკრების წევრებისადმი ამერიკელი პრომოუტერების გადამეტებულ ინტერესს მოერიდა. მოგვიანებით, ლარამ მაინც მოახერხა გაქცევა - ჯერ ამერიკაში, შემდეგ კი გერმანიაში, სადაც ადგილობრივი პრომოუტერის **აჰმედ ონერის** გუნდში ჩაირიცხა.

გილერმო რიგონდომ 2000 წელს სიდნეისა და 2004 წელს ათენის ოლიმპიადებზე ორი ოქრო მოიპოვა. ის აგრეთვე ორგზის მსოფლიოს ჩემპიონიცაა (2001, 2005). ამ კუბელს პეკინის ოლიმპიადაზეც უნდა ესასპარეზა, მაგრამ ნაკრებში სწორედ იმის გამო არ შეიყვანეს, რომ მისგან გაქცევის მორიგ მცდელობას ელოდნენ.

ამერიკაში რიგონდო პრომოუტერულ კომპანია Arena Box-Promotion-თან ითანამშრომლებს. ამ კომპანიის კლიენტები არიან სხვა კუბელი მოკრივეები - ლარა, გამბოა და სოლისი.

ფოტო-ინფო






ზედა ფოტოზე დევიდ ბექჰემის შუათანა და უმცროსი ვაჟები - რომეო და კრუზ ბექჰემები არიან გამოსახულნი. მეორე ფოტოზე რომეოს ვხედავთ და თუ ამ სურათს ქვედა ფოტოს შევადარებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ შუათანა მამის კვალის მიჰყვება.

აი, კრუზი კი თავისი მოქმედებით იმ ფეხბურთელებს ჰგავს, რომლებიც მთელი კარიერის განმავლობაში მამამისზე ნადირობდნენ. არა, ეს კრუზი დევიდის შვილი არ არის...




ჩოგბურთი

ინტერვიუ ანა ივანოვიჩთან



# პოდიუმს კორტი მირჩევნია

**ამ კვირას სერბმა ვარსკვლავმა ანა ივანოვიჩმა ინტერვიუ მისცა გაზეთ Gulf News-ს. დუბაის ტურნირზე დამარცხების შემდეგ, როლან გაროსის ჩემპიონი განაწყენებული ჩანდა და ყველაფერზე ლაპარაკობდა ჩოგბურთის გარდა. გთავაზობთ ამ საუბრის სრულ ტექსტს.**

**- ყოველი წარმატებული ჩოგბურთელი პერიოდულად ადრენალინის ჭარბ დოზას გამოყოფს. თქვენს შემთხვევაში როგორ ხდება? მაგალითად, ბოლო დროს რა იყო თქვენი ყველაზე ექსტრავაგანტური შენაძენი?**

- რამდენიმე თვის წინ ესპანეთში სახლი შევიძინე. ვერ ვიტყვი, რომ ეს განსაკუთრებით ექსტრავაგანტური საქციელი იყო, მაგრამ კარგი ინვესტიცია ნამდვილად არის.

**- რა დროს ხარჯავთ ტურნირებისთვის ჩაცმულობის მოსაფიქრებლად და ტურნირებამდე რა ტესტებს გადის თქვენი კაბები?**

- არაფრის მოფიქრება არ მჭირდება, ამას ჩემ ნაცვლად "ადიდასი" აკეთებს. საჩოგბურთო უნიფორმის დიზაინში მათ დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ - ახლა ამ ფირმის მოდელები გაცილებით მომწონს, ვიდრე ერთი წლის წინ.

რა თქმა უნდა, ჩემი აზრი ასევე მნიშვნელოვანია. ჩვეულებისამებრ, დიზაინერები ასარჩევად რამდენიმე მოდელს მთავაზობენ. მთავარია სპორტულ კაბაში მოხერხებულად ვგრძნობდე თავს, ამიტომაც ბუნებრივია, რომ ახალ უნიფორმას ვარჯიშებზე ვიცვამ ხოლმე. და თუ თავს კომფორტულად ვგრძნობ, ამ კაბით ოფიციალურ მატჩებზეც გავდივარ.

**- კარიერის მწვერვალამდე დიდი გზა გაიარეთ: მოსწავლიდან დაწყებული პროფესიონალი მოთამაშით დამთავრებული. რა იყო ამ გზაზე ყველაზე დიდი წინააღმდეგობა?**

- სამწუხაროდ, ჩემს სამშობლოში, სერბეთში ვარჯიში შეუძლებელი გახლდათ, რადგან სპორტული ობიექტები თითზე ჩამოსათვლელი იყო. სერიოზულად მომზადებისთვის და რალაცის შესწავლისთვის შვეიცარიაში გამგზავრება მომიხდა.

გარდა ამისა, ომი და ბელგრადის დაბომბვა - ჩემპიონის მოსამზადებლად სერიოზული ხელისშემშლელი ფაქტორები იყო! მაგრამ მე არასოდეს დამიწუწუნია და არ მითქვამს - რა რთულია ასეთ პირობებში ცხოვრება და ვარჯიში. უბრალოდ მივდიოდი და ჩოგბურთს ვთამაშობდი.

**- მოდაზე ვილაპარაკოთ. რომელი დიზაინერების ტანსაცმელს ატარებთ?**

- მიყვარს ისეთი ბრენდები, როგორებიცაა Chanel, Prada, Mark Jacobs და Louis Vuitton.

**- საყვარელი ტანსაცმელი თუ გაქვთ?**

- რა თქმა უნდა, ეს არის კაბა რობერტო კავალისგან.

**- არის თუ არა თქვენს გარდერობში "ძველი, შემოწმებული" ტანსაცმელი, რომელიც ნებისმიერ სიტუაციაში გამოგადგებათ?**

- ისევე როგორც ქალების უმრავლესობას, მეც მაქვს ერთი პატარა შავი კაბა. მას არაერთხელ გამოვუყვანივარ რთული სიტუაციიდან.

**- რისი ჩაცმა არ შეიძლება არავითარ შემთხვევაში საზეიმო მიღებაზე?**

- ჯინსებისა და მაისურის. ამ კომბინაციით იქ წასვლა კატეგორიულად გამორიცხულია!

**- ჩოგბურთის მოყვარულებს კორტზე მოდის კანონმდებლად მიაჩნიხართ. ასეთ გამონათქვამებზე როგორი რეაქცია გაქვთ?**

- ასეთი ფრაზების მოსმენა მომწონს, მაგრამ მოდის კანონმდებლად საკუთარ თავს არ მივიჩნევ. პირველ რიგში, პროფესიონალი მოთამაშე ვარ და არასოდეს მივატოვებ ჩოგბურთს ფოტოსესიების სანაცვლოდ.

**- მოდის სფეროში მისაბაძი მაგალითი თუ გყავთ?**

- ჯესიკა ალბას ძალიან კარგი სტილი აქვს არჩეული.

**- კორტსა და პოდიუმს შორის არჩევანის გაკეთება რომ მოგიწიოთ, რომელს აირჩევდით და რატომ?**

- ერთმნიშვნელოვნად კორტს ავირჩევდი - მე ხომ ჩოგბურთის პროფესიონალი მოთამაშე ვარ. მოედანზე ბრძოლა უფრო მომწონს, ვიდრე სხვა საქმე.

**- მოგვიყევით იმაზე, რაც მსოფლიომ ანას შესახებ არ იცის...**

- მაგალითად, მე მაქვს ბლოკნოტი, სადაც წიგნებიდან საყვარელ ფრაზებს ვიწერ.

**- როგორ ისვენებთ? მაგალითად, გიყვართ თუ არა სერიალების ყურება?**

- ტურნირებს ჩემს ცხოვრებაში დიდი დრო მიაქვს და როცა თავისუფალი დროის იშვიათი წუთები მიჩნდება, ვარჩევ ის საკუთარ ოთახში მარტო გავატარო. საღამოობით, თითქმის ყოველთვის ჩემს გუნდთან ერთად ვვახშმობ.

ტელევიზორს, რა თქმა უნდა, ვუყურებ. ყველაზე მეტად თრილერები მიყვარს. სერიალებიდან ვუყურებ - "გაქცევას", "24 საათს", "დაკარგულებს"... მაგრამ უკვე დიდი ხანია, ჩემს საყვარელ სერიალად "მეგობრებს" ვაღიარებ. გარდა ამისა, ბევრს ვკითხულობ და DVD-ზე ფილმებს ვუყურებ.

ტურნირებს შორის პაუზებისას, ყველა ჩემს გართობას ვივიწყებ და საკუთარ თავს მთლიანად ოჯახსა და მეგობრებს ვუთმობ.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**



